დანართი №6

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(შპს კერძო სკოლა ალმასის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება, ადმინისტრაციული წარმოების მითითებით)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:

- კესო ბოყოველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

წევრ(ებ)ი:

- ნინო შიუკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
- ირინა გოგონაია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
- მეგი ტალახაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
- ნათია ქათამაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
- თამარ ძველაია - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
- მაია სიხარულიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
- ბელა დურგლიშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
- ნინო საღარაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

- ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
- ლელა მანგოშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი ყუჭრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**შპს კერძო სკოლა ალმასი**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**202059431**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ქ. თბილისი**
ფაქტობრივი მისამართი	**გლდანის მასივი, II მიკრო/რაიონი, N45ა**
საფოსტო ინდექსი	**0167**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**almasi.edupage.org**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**skolaalmasi@gmail.com**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	**0 3 22 68 80 85**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 25 ნოემბრის MES 8 24 0001518390 ბრძანება
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	11 და 12 დეკემბერი, 2024 წელი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.
სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 25 ნოემბრის MES 8 24 0001518390 ბრძანების საფუძველზე, მიმდინარე წლის 11 და 12 დეკემბერს განხორციელდა გეგმური მონიტორინგი შპს კერძო სკოლა ალმასში (შემდგომში - სკოლა/დაწესებულება) და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, როგორც პირდაპირ (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები), ასევე, დისტანციურ ფორმატში (საგნობრივი ექსპერტები). ექსპერტთა ჯგუფი, ვიზიტამდე, გაეცნო სკოლის მიერ წინასწარ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. ვიზიტის ფარგლებშიც, ექსპერტთა ჯგუფმა, შეისწავლა ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მატერიალური და სასწავლო რესურსები. ვიზიტის პროცესში ექსპერტები კომუნიკაციაში იმყოფებოდნენ სკოლის წარმომადგენლებთან და განხორციელდა არაერთი ინტერვიუ სასკოლო საზოგადოების წევრებთან.
საგნობრივ ექსპერტებს, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა განეხორციელებინათ სასწავლო პროცესში გამოყენებული კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსების, ასევე, ადამიანური რესურსის (პედაგოგები) კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენა მოქმედ კანონმდებლობასთან. ზემოაღნიშნული განხორციელდა მატერიალური რესურსებისა და სასკოლო გარემოს დათვალიერების, ინტერვიუების, თანამშრომელთა პირადი საქმეების, სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან პედაგოგების პორტირებული მონაცემების განხილვის, ასევე, იმ ფოტომასალის საფუძველზე, რომელიც ვიზიტის შემდეგ ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ გადაეგზავნათ ექსპერტებს. სხვა საგნობრივ ექსპერტებთან ერთად, ინტერვიუირება და სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლა განახორციელა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივმა ექსპერტმა დაწყებითი კლასების საგნებთან (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება) მიმართებით. კოორდინირებული მუშაობის შედეგად, საგნობრივი ექსპერტების მიერ განხორციელდა დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმების შევსება და შეფასებების ასახვა. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტის შეფასებით, დაწყებით საფეხურზე მასწავლებლებს გააზრებული აქვთ გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, როგორ უნდა განახორციელონ შუალედური სასწავლო მიზნები, თუმცა, სასურველია, გაითვალისწინონ გარკვეული რჩევები. კერძოდ, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტის შეფასებით, სასურველია სამომავლოდ, ქართული ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და მე და საზოგადოების საგნობრივი მიმართულების კურიკულუმებში (I-IV) სრულყოფილად აისახოს კონტექსტმგალითები, მრავალფეროვანი რესურსები. ხოლო, შემოქმედებითი დავალებების მიღწევების შესაფასებლად შეიქმნას კონკრეტული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
240	**150**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. დაწესებულებამ, ასევე, წარმოადგინა თანდართული დოკუმენტაცია მტკიცებულებების სახით. ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ,

● *სრულად აღმოიფხვრა ხარვეზი მესამე სტანდარტის შემდეგ ინდიკატორთან მიმართებით:3.7.1.1, მეოთხე სტანდარტის ინდიკატორთან მიმართებით: 4.2.2.1 და 4.2.2.2; რის შედეგადაც აღნიშნული ინდიკატორები შეფასდა როგორც ,,შეესაბამება'';*

● *პირველი სტანდარტის ინდიკატორები: 1.1.1.2; 1.1.1.3; 1.1.1.4; მესამე სტანდარტის ინდიკატორები: 3.2.1.2; 3.3.1.1; 3.3.2.1; 3.3.2.2; 3.4.1.1; 3.4.1.2; 3.4.1.8; 3.5.1.1; 3.5.1.4; 3.6.1.1; - შეფასდა როგორც ,, მეტწილად შეესაბამება'';*

● *პირველი, მესამე და მეოთხე სტანდარტების რიგ ინდიკატორებთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, მათ შორის რიგ შემთხვევაში შესაბამისობის გეგმით დამდგარი იყო შესრულების ვადა, თუმცა არ იყო გადმოგზავნილი შესაბამისი/საკმარისი მტკიცებულებები, ხოლო, ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა წარსულში დამდგარი ფაქტების შეფასებას. ასევე, აღნიშნულ ინდიკატორებთან მიმართებით გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ნაწილობრივ იქნა გაზიარებული. თუმცა, ვინაიდან არგუმენტირებული პოზიციით ხარვეზი სრულად არ იქნა აღმოფხვრილი*

ინდიკატორის საბოლოო შეფასება არ შეცვლილა და შეფასდა როგორც ,,არ შეესაბამება''. ეს ინდიკატორებია: პირველი სტანდარტი: 1.2.1.4; მესამე სტანდარტი: 3.1.1.1; 3.1.1.2; 3.1.2.1; 3.1.2.3; 3.1.2.4; 3.4.1.3; 3.6.1.2; 3.6.3.5; 3.7.1.2; მეოთხე სტანდარტი: 4.1.2.2; 4.2.2.3;

მეორე სტანდარტთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. დაწესებულებამ, ასევე, წარმოადგინა თანდართული დოკუმენტაცია მტკიცებულებების სახით. აღსანიშნავია, რომ შესაბამისობის გეგმით სკოლას თითოეულ ხარვეზთან მიმართებით შესრულების ვადა განსაზღვრული ჰქონდა 2025 წლის 01 თებერვლამდე. შესაბამისად, არგუმენტირებული პოზიციის ექსპერტების მიერ გაცნობისას, შესრულების ვადები იყო დამდგარი. აქედან გამომდინარე, მეორე სტანდარტის ის ინდიკატორები, რომელთა მიმართაც სკოლის მიერ გამოგზავნილი ხარვეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სრულად არ იქნა გაზიარებული საგნობრივი ექსპერტების მიერ, დარჩა კვლავ ხარვეზად და შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.

კერძოდ, მეორე სტანდარტთან მიმართებით სრულად აღმოიფხვრა ხარვეზი: 2.1.2.3 (დაწყებითი საფეხური); 2.1.2.5; 2.2.2.3 (სამივე საფეხური);
საბოლოო შეფასება არ შეცვლილა და შეფასდა როგორც ,,არ შეესაბამება'' შემდეგ ინდიოკატორებთან მიმართებით: 2.1.1.2; 2.1.1.3; 2.1.1.4; 2.1.2.1; 2.1.2.2; 2.2.1.3; 2.2.2.4 (სამივე საფეხური); 2.1.2.3; 2.2.1.1 (საბაზო-საშუალო საფეხური);

შედეგად, ოთხივე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,არ შეესაბამება''.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N1.2.1.4	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია*	*სკოლის სტრუქტურაში, დებულებაში არ არის თანამდებობები, რომელთა დასახელებებიც სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირების გრაფაში. აგრეთვე, აღნიშნულ თანამდებობებზე სკოლაში არ არიან დასაქმებულები/ შრომით ურთიერთობაში მყოფი პირები.* ***(იხილეთ ინდიკატორის დეტალური აღწერა).***
სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*ხარვეზი*

ინდიკატორი N3.1.1.1	*სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;*	**სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ არ არის განსაზღვრული, რაც მდგომარეობს შემდეგში:** 1. *სკოლის სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ პასუხისმგებელ ერთეულად მითითებულია მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფი, თუმცა ასეთი ჯგუფის ფუნქციების განსაზღვრისა და საქმიანობის განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულება სკოლას არ წარმოუდგენია.* 2. *სკოლის სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ პასუხისმგებელ პირად მითითებულია სპეციალური მასწავლებელი, თუმცა სკოლის სტრუქტურა და დებულება აღნიშნულ თანამდებობას არ ითვალისწინებს. ასევე, აღნიშნულ თანამდებობაზე სკოლაში არ არის კადრი დასაქმებული.* 3. *დირექტორს ჰყავს ორი მოადგილე. ზოგიერთ მარეგულირებელ დოკუმენტაციაში გვხვდება - სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილის პოზიცია (მაგ. სასკოლო სასწავლო გეგმაში ნახსენებია, რომ კათედრების საქმიანობაზე კონტროლი ევალება სწორედ დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში).სკოლის დებულებით მოადგილეების ფუნქციები არ არის გამიჯნული;* 4. *სკოლას განსაზღვრული არ ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი/პირები.* 5. *სკოლას განსაზღვრული არ ჰყავს ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე უფლებამოსილი პირი.* 6. *პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები (კერძოდ, მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის საკითხი) ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, ასევე, წინააღმდეგობაშია დირექტორის ფუნქციებთან.* 7. *სკოლის ზოგიერთი მასწავლებლები ასწავლიან რამდენიმე საგანს, ასევე, სკოლის დარაჯი ამავდროულად არის სკოლის დამლაგებელიც. თუმცა, აღნიშნულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ეხება მხოლოდ ერთ პოზიციას. კერძოდ, მასწავლებლის ხელშეკრულებებში არ არის დაკონკრეტებული ყველა ის საგანი, რომელსაც ასწავლის, ხოლო მეორე შემთხვევაში გაფორმებულია მხოლოდ დარაჯის ხელშეკრულება.*

		შესაბამისად, ფუნქციები არ არის მკაფიოდ რეგულირებული სკოლის ხელშეკრულებებში.
ინდიკატორი N3.1.1.2	*სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.*	*სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს ვერ შეუწყობს სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, რადგან ფაქტობრივად, რიგ შემთხვევებში გაურკვეველია სტრუქტურული ერთეულების ფორმირების, მათი შემადგენლობის და ფუნქციების საკითხები. ასევე, სკოლის სამოქმედო გეგმაში პასუხისმგებელ პირებში მითითებულია თანამდებობა, თუმცა სკოლის სტრუქტურა და დებულება აღნიშნულ თანამდებობას არ ითვალისწინებს. ასევე, აღნიშნულ თანამდებობაზე სკოლაში არ არის კადრი დასაქმებული.* *სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება არ ემთხვევა სკოლის მიერ განხორციელებულ პრაქტიკულ მმართველობით საქმიანობას. შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სკოლის საქმიანობის შედეგად საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნების მიღწევას* ***(იხილეთ ინდიკატორის დეტალური აღწერა).***
ინდიკატორი N3.1.2.1	*პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;*	*პერსონალის მართვის პროცესები არ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.* ***(იხილეთ ინდიკატორის დეტალური აღწერა).***
ინდიკატორი N3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;*	**პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები არ უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით, რაც მდგომარეობს შემდეგში:** 1. *სკოლამ ვერ წარმოადგინა კანონმდებლობით და შიდა მარეგულირებელი აქტით გათვალისწინებული, ვაკანტურ ადგილზე მასწავლებლის დასაქმებისათვის საჭირო, დოკუმენტაცია სრულყოფილად. მაგ.: კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანებები.* 2. *სკოლამ ვერ წარმოადგინა ექიმის კონკურსის ჩაშლის მასალები და ექთნის მიღების დამადასტურებელი საკონკურსო დოკუმენტაცია.* 3. *თანამშრომელთა პირად საქმეებში სრულყოფილად არ არის განთავსებული დოკუმენტაცია, კერძოდ, დიპლომი და ნასამართლეობის ცნობები*

		(წასამართლეობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ). ***(ხარვეზებთან მიმართებით იხილეთ ინდიკატორის დეტალური აღწერა)***
ინდიკატორი N3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;*	1. *სპორტისა და მათემატიკის პედაგოგების კვალიფიკაცია არ არის შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან.* 2. *სკოლამ ვერ წარმოადგინა ერთი მასწავლებლის დიპლომი; შესაბამისად, ვერ მოხერხდა მისი კვალიფიკაციის შემოწმება და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა.* ***(იხილეთ ინდიკატორის დეტალური აღწერა)***
ინდიკატორი N3.4.1.3	*სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;*	**სკოლა არ უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, რაც მდგომარეობს შემდეგში:** 1. *სკოლას არ ჰყავს განსაზღვრული საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირები და შესაბამისად არ არის თვალსაჩინო ადგილას განთავსებული მათი ტელეფონის ნომრები და ვინაობა;*
ინდიკატორი N3.6.1.2	*ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.*	*სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ლაბორატორიის ხელმძღვანელი შეიმუშავებს კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობის განრიგს. სკოლამ ვერ წარმოადგინა ტექნოლოგიებით სარგებლობის განრიგი.* ***(იხილეთ ინდიკატორის დეტალური აღწერა)***
ინდიკატორი N3.6.3.5	*ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი),*	*ვებ-გვერდზე არ არის განთავსებული სტანდარტის შესაბამისი ინდიკატორით გათვალისწინებული შემდეგი ინფორმაცია: პროგრამების სახელწოდებები, რომელზეც ხორციელდება საგანმანათლებლო პროცესი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, სკოლის ფინანსური მდგრადობის შესახებ ინფორმაცია და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები, რომელიც სკოლას გაკეთებული აქვს 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმასთან მიმართებით.*

	სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
ინდიკატორი N3.7.1.2	*სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.*	*სკოლას არ აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ სკოლამ ვერ წარმოადგინა ფინანსური მართვის, კერძოდ, შემოსავლისა და ხარჯის დაგეგმვის, ფინანსების მონიტორინგის სისტემის არსებობის შიდა მოქმედი მექანიზმი.*
სტანდარტი N4	***მოსწავლეთა მხარდაჭერა***	***ხარვეზი***
ინდიკატორი N4.1.2.2	*სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;*	*სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის-ამორიცხვის ბრძანებების ნაწილი არ არის გამოცემული უფლებამოსილი პირის მიერ და წარმოადგენს არარა აქტებს.* ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***
ინდიკატორი N4.2.2.3	*სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.*	*სკოლა არ ახორციელებს აქტივობებს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების გაწევისათვის. შესაბამისად, სკოლამ ვერ წარმოადგინა გაწეული მომსახურების შეფასებები და შედეგები, რომელსაც გამოიყენებს მომსახურების გაწევის ხარისხის გაუმჯობესებისათვის*

სტანდარტი N2	***სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)***	***ხარვეზი***
ინდიკატორი N2.1.1.2	*კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი*** *კურიკულუმში ასახული არ არის სასკოლო საზოგადოების ინტერესებ სკოლამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები.*
ინდიკატორი N2.1.1.3	*კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი***

		კურიკულუმი არ არის შემუშავებული სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლამ ვერ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების ეტაპზე სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი.
ინდიკატორი N2.1.1.4	*კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი*** *გაზიარება უნდა განხორციელდეს შემუშავების დაწყების ეტაპიდანვე, რათა მიღწეული იყოს გაზიარების არსი და მიზანი. სკოლამ ვერ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოებასთან კურიკულუმის გაზიარების დამადასტურებელი მტკიცებულებები.*
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;*	***სახელმწიფო ენა*** *საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს, თუმცა სახელმწიფო ენის მიმართულებით დაწყებითი საფეხურის მე–4 კლასში მუშავდება მხოლოდ ერთი შემოქმედებითი პროდუქტი, ხოლო მე–5 კლასში ბუნდოვანია, რა სახის შემოქმედებითი პროდუქტი უნდა დამუშავდეს გრაფაში შეტანილი ფორმულირებით – „ჩემი საყვარელი ცხოველი“.* ***საბუნებისმეტყველო*** ✓ *შესაბამისობის გეგმაში მითითებული „შესრულების“ მტკიცებულებად არ არის წარმოდგენილი ბუნებისმეტყველების V-VI კლასების კურიკულუმები თემებისა და სამიზნე ცნებების მითითებით ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად.*
ინდიკატორი N2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;*	***სახელმწიფო ენა*** *საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შუალედური მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს, თუმცა სახელმწიფო ენის მიმართულებით დაწყებითი საფეხურის მე–4 კლასში მუშავდება მხოლოდ ერთი შემოქმედებითი პროდუქტი, ხოლო მე–5 კლასში ბუნდოვანია, რა სახის შემოქმედებითი პროდუქტი უნდა დამუშავდეს გრაფაში შეტანილი ფორმულირებით – „ჩემი საყვარელი ცხოველი“.*

ინდიკატორი N2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;*	***საბუნებისმეტყველო*** *შესაბამისობის გეგმაში მითითებული „შესრულების“ მტკიცებულებად არ არის წარმოდგენილი:* *ბუნებისმეტყველება, I-IV განმავითარებელი და ბუნებისმეტყველება - V-VI - განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (კონკრეტული საკითხების საფუძველზე სამიზნე ცნებებთან მიმართებაში), შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები, შემაჯამებელი დავალების შედეგების ანალიზი.*
ინდიკატორი N2.2.2.4	*სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.*	***ფიზიკური აღზრდა და სპორტი*** *სკოლას დაწყებით საფეხურზე არ ჰყავს საგნონრივი კურიკულუმის განხორციელებისთვის შესაბამისი ადამიანური რესურსი.* ***მათემატიკა*** *სკოლას არ ჰყავს კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.*

სტანდარტი N2	***სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)***	***ხარვეზი***
ინდიკატორი N2.1.1.2	*კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი*** *კურიკულუმში ასახული არ არის სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები.*
ინდიკატორი N2.1.1.3	*კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი*** *კურიკულუმი არ არის შემუშავებული სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლამ ვერ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების ეტაპზე სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი.*

ინდიკატორი N2.1.1.4	*კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი*** *გაზიარება უნდა განხორციელდეს შემუშავების დაწყების ეტაპიდანვე, რათა მიღწეული იყოს გაზიარების არსი და მიზანი. სკოლამ ვერ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოებასთან კურიკულუმის გაზიარების დამადასტურებელი მტკიცებულებები.*
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;*	***საბუნებისმეტყველო*** *ფიზიკის VII კლასის კურიკულუმში არ არის მითითებული ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო (ავტორი, გამომცემლობა);* *სამივე საგნის - ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია - კურიკულუმის ჩარჩოში, რესურსების კომპონენტში არ არის მითითებული სკოლის სასწავლო პრაქტიკაში აპრობირებული რეალური ლაბორატორიული სამუშაოების/ სადემონსტრაციო ცდების რესურსები (მასალები, მოწყობილობები, ექსპერიმენტის დასახელებით), აღნიშნული საგნების თეორიულ-ექსპერიმენტული ბუნებიდან გამომდინარე მხოლოდ ვირტუალური ლაბორატორია/ვიდეოექსპერიმენტები ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი სტანდარტებით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად საკმარისი არ არის.* *სამივე საგნის - ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია - კურიკულუმის ჩარჩოში სავალდებულო სასწავლო თემები და სამიზნე ცნებები გაწერილი არ არის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. კურიკულუმები მოსაყვანია შესაბამისობაში საბაზო საფეხურის საგნობრივ სტანდარტებთან.*
ინდიკატორი N2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;*	***სპორტი*** *საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში გაწერილი სასწავლო თემები შესაბამისობაში არ მოდის სასწავლო საგნის საათობრივ დატვირთვასა და სემესტრულ გადანაწილებას შორის. სკოლის მიერ წარმოდგენილი საათობრივი ბადიდან გამომდინარე ვერ მოხერხდება იმ*

		სპორტის სახეობების შესწავლა რაც გაწერილია საბაზო საფეხურის კურიკულუმებში, რაც თავის მხრივ ხელს შეუშლის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებსა და შედეგების მიღწევას.
ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;*	***საბუნებისმეტყველო*** • *კაბინეტში <u>არ არის გამწოვი კარადა,</u> რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფრო სრულყოფილ დაცვას ცდის/ექსპერიმენტის შედეგად გამოყოფილი ნივთიერებების ზემოქმედებისაგან.* • *შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოდგენილი ინვენტარის დოკუმენტაციის მიხედვით (ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიის აღჭურვილობის ნასყიდობის ხელშეკრულება, 14.06.2011წ., დანართი 1) 2011 წელს სკოლას შეძენილი აქვს გარკვეული ხარჯვადი მასალა, როგორიც არის ლაკმუსის ქაღალდი, ფილტრის ქაღალდი, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, რეზინის ხელთათმანები. დოკუმენტაციის მიხედვით არ ჩანს გამოყენების შემდეგ დახარჯული მასალის აღდგენის მიზნით განხორციელებული შესყიდვების დამადასტურებელი საბუთები; ასევე, ქიმიური რეაქტივების შეძენისა და განახლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ან ვადაგასული რექტივების უტილიზაციის წესი, ჩამოწერის აქტები, სხვ.*
ინდიკატორი N2.2.1.1	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;*	***სპორტი*** *საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი თემები სპორტის სახეობები, კერძოდ მაგიდის ჩოგბურთი შესაბამისობაში არაა სკოლის ინფრასტრუქტურასთან, სკოლას არ აქვს მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა, რაც ხელს შეუშლის სასწავლო პროცესის განხორციელებას დაგეგმილის შესაბამისად.*

ინდიკატორი N2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;*	***საბუნებისმეტყველო*** *წარმოდგენილ მასალაში არ არის საგნების მიხედვით (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (კონკრეტული საკითხების საფუძველზე სამიზნე ცნებებთან მიმართებაში), ქულების გრადაციის ჩვენებით (რა კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში იწერება 10 ქულა, 9 ქულა, 8 ქულა, და ა.შ.).*
ინდიკატორი N2.2.2.4	*სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.*	***მათემატიკა*** *სკოლას არ ჰყავს კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N2.1.1.2	*კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი*** *კურიკულუმში ასახული არ არის სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები.*
ინდიკატორი N2.1.1.3	*კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი*** *კურიკულუმი არ არის შემუშავებული სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლამ ვერ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების ეტაპზე სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი.*
ინდიკატორი N2.1.1.4	*კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი*** *გაზიარება უნდა განხორციელდეს შემუშავების დაწყების ეტაპიდანვე, რათა მიღწეული იყოს გაზიარების არსი და მიზანი. სკოლამ ვერ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოებასთან კურიკულუმის გაზიარების დამადასტურებელი მტკიცებულებები.*

ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;*	***საბუნებისმეტყველო*** *1. წარმოდგენილი არ არის არჩევითი საგნების - სამედიცინო ბიოლოგია, ქიმიური ტექნოლოგიები, კონსერვაციული ბიოლოგია - კურიკულუმები. შპს ალმასი - სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, 2024-2025 სასწ.წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია აღნიშნული არჩევითი საგნები.* *2. კურიკულუმები მოსაყვანია შესაბამისობაში საშუალო საფეხურის საგნობრივ სტანდარტებთან. საგნების - ფიზიკა, ბიოლოგია - კურიკულუმის ჩარჩოში სავალდებულო სასწავლო თემები და სამიზნე ცნებები გაწერილი არ არის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის მიხედვით.* *მაგალითისათვის, ფიზიკის სტანდარტის მიხედვით, X კლასში სავალდებულო თემებია: 1) ელექტროსტატიკა, 2) მუდმივი დენის კანონები; სკოლის კურიკულუმში კი წარმოდგენილი სასწავლო თემებია: 1) ელექტროსტატიკა; 2) ელექტრული დენი; 3) მაგნიტური ველი;* *ამავე კურიკულუმში (ფიზიკა, X კლასი) სამიზნე ცნებების გრაფაში მოცემულია სტანდარტისგან განსხვავებული მრავალფეროვანი/მრავალრიცხოვანი სამიზნე ცნებები, თუმცა სტანდარტის თანახმად, თითოეული თემის ფარგლებში დასამუშავებელია 4 ცნება: მატერია, ენერგია, ძალა, ფიზიკური პროცესი.* *3. საშაულო საფეხურის - ფიზიკისა და ბიოლოგიის - კურიკულუმის ჩარჩოში, რესურსების კომპონენტში არ არის მიეთითებული სკოლის სასწავლო პრაქტიკაში აპრობირებული რეალური ლაბორატორიული სამუშაოების/ სადემონსტრაციო ცდების რესურსები (მასალები, მოწყობილობები, ექსპერიმენტის დასახელებით), აღნიშნული საგნების თეორიულ-ექსპერიმენტული ბუნებიდან გამომდინარე მხოლოდ ვირტუალური ლაბორატორია/ვიდეოექსპერიმენტები ეროვნული*

		სასწავლო გეგმის შესაბამისი სტანდარტებით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად საკმარისი არ არის.
ინდიკატორი N2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;*	***საბუნებისმეტყველო*** *სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალა არ შეიცავს მტკიცებულებებს, რომლის საფუძველზე შესაძლებელია დასკვნის გამოტანა საშუალო საფეხურზე საგნების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) საათობრივი დატვირთვის შემცირების პირობებში შედეგზე გასვლის შესაძლებლობის შესახებ. მტკიცებულების სახით სკოლის მიერ წარმოსადგენია:* • *მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტების ნიმუშები / ნამუშევრები (პრეზენტაციები, პოსტერები, მაკეტების ფოტოები, დაკვირვების დღიურები და ა.შ., ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში)* • *საბუნებისმეტყველო საგნებში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) გაკვეთილი/გაკვეთილების შეფასების შევსებული ფორმები (კათედრის ხელმძღვანელის ან/და ხარისხის ჯგუფის /სკოლის ხარისხის სამსახურის მიერ ან/დაკოლეგების ან/და სკოლის ადმინისტრაციის მიერ - გაკვეთილზე დასწრების შედეგად);* • *მასწავლებლების ანგარიშები (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია), რომლებშიც მოცემულია არგუმენტირებული მსჯელობა საათობრივი დატვირთვის შემცირების პირობებში შედეგზე გასვლის შესაძლებლობის შესახებ* • *სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა 2023-2024წ. კათედრის მუშაობის ანგარიში და ანალიზი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაზუსტებით, საათობრივი დატვირთვის შემცირების პირობებში შედეგზე გასვლის შესაძლებლობის შესახებ ;* • *საბუნებისმეტყველო საგნების (ბიოლოგია ქიმია, ფიზიკა) წინა სასწავლო წლის კურიკულუმის რევიზიის ან გადახედვის დამადასტურებელი დოკუმენტები, რის საფუძველზეც მიღებულ იქნა დასკვნა საათების შემცირების პირობებში პროგრამული მასალის მოსწავლეთა მიერ ათვისების შესაძლებლობის თაობაზე*

		სპორტი *საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში გაწერილი სასწავლო თემები შესაბამისობაში არ მოდის სასწავლო საგნის საათობრივ დატვირთვასა და სემესტრულ გადანაწილებას შორის. სკოლის მიერ წარმოდგენილი საათობრივი ბადიდან გამომდინარე ვერ მოხდება იმ სპორტის სახეობების შესწავლა რაც გაწერილია საბაზო საფეხურის კურიკულუმებში, რაც თავის მხრივ ხელს შეუშლის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებსა და შედეგების მიღწევას.*
ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;*	***საბუნებისმეტყველო*** • *კაბინეტში არ არის დამონტაჟებული გამწოვი კარადა. კარადა უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფრო სრულყოფილ დაცვას ცდის/ექსპერიმენტის შედეგად გამოყოფილი ნივთიერებების ზემოქმედებისაგან.* • *შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოდგენილი ინვენტარის დოკუმენტაციის მიხედვით (ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიის აღჭურვილობის ნასყიდობის ხელშეკრულება, 14.06.2011წ., დანართი 1) 2011 წელს სკოლას შეძენილი აქვს გარკვეული ხარჯვადი მასალა, როგორიც არის ლაკმუსის ქაღალდი, ფილტრის ქაღალდი, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, რეზინის ხელთათმანები. დოკუმენტაციის მიხედვით არ ჩანს გამოყენების შემდეგ დახარჯული მასალის აღდგენის მიზნით განხორციელებული შესყიდვების დამადასტურებელი საბუთები; ასევე, ქიმიური რეაქტივების შეძენისა და განახლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ან ვადაგასული რექტივების უტილიზაციის წესი, ჩამოწერის აქტები, სხვ.*
ინდიკატორი N2.2.1.1	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;*	***სპორტი*** *ხარვეზი: საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი თემები სპორტის სახეობები, კერძოდ მაგიდის ჩოგბურთი შესაბამისობაში არაა სკოლის ინფრასტრუქტურასთან, სკოლას არ აქვს მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა, რაც ხელს შეუშლის სასწავლო პროცესის განხორციელებას დაგეგმილის შესაბამისად.*

ინდიკატორი N2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;*	***გუნებისმეტყველება*** *სკოლის მიერ არ არის წარმოდგენილი - საგნების მიხედვით (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (კონკრეტული საკითხების საფუძველზე, სამიზნე ცნებებთან მიმართებაში), ქულების გრადაციის ჩვენებით (რა კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში იწერება 10 ქულა, 9 ქულა, 8 ქულა, და ა.შ.)*
ინდიკატორი N2.2.2.4	*სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.*	***მათემატიკა*** *სკოლას არ ჰყავს კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N1.1.1.2	*სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;*	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში განახორციელოს მისიასა და ხედვაში პრიორიტეტად უსაფრთხო სოციო-კულტურული სივრცის უზრუნველყოფა.*

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N1.1.1.3	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;*	*სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, უზრუნველყოს სკოლის ფილოსოფიის გადახედვა/შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.*
ინდიკატორი N1.1.1.4	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;*	*სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, უზრუნველყოს სკოლის ფილოსოფიის სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარება.*
სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;*	*სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, უზრუნველყოს სკოლის დირექტორისა და მრჩევლის პირადი საქმის მოწესრიგება და საჭირო დოკუმენტაციით სრულყოფა.*
ინდიკატორი N3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;*	*სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, უზრუნველყოს სკოლის მრჩევლის დიპლომის წარმოდგენა.*
ინდიკატორი N3.2.1.2	*პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;*	*სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, უზრუნველყოს პერსონალის საჭიროებების გამოვლენა, პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება და პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.*
ინდიკატორი N3.3.1.1	*სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;*	*სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სკოლაში მიმდინარე ყველა ძირითად, მმართველობით და დამხმარე პროცესებთან მიმართება, თითოეულ პროცესთან მიმართებით ხარისხის უზრუნველყოფაში მონაწილე პირების განსაზღვრა, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა, პერიოდულობის განსაზღვრა რა*

		ვადებში მოხდება ხარისხის შემოწმება და მიღებულ რეკომენდაციებზე რეაგირება.
ინდიკატორი N3.3.2.1	*სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;*	*სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, უზრუნველყოს მართვის პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაციის სრულიად სასკოლო საზოგადოებისათვის (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი) გაზიარება.*
ინდიკატორი N3.3.2.2	*უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.*	*სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);*	*სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, უზრუნველყოს:* *1. ავტოფარეხთან ღობის სიმაღლის აწევა/მოწყობა, და დაზიანებული სკოლის მოქსოვილი ბადის შეკეთება/შეცვლა - ე.წ. სეტკა.* *2. ვიდეოსათვალთვალო სისტემის გამართვა, რათა შესაძლებელია იყოს სკოლის სრული სივრცის კონტროლი.*

ინდიკატორი N3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტის აღჭურვა საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანების შესაბამისი ინვენტარით;*
ინდიკატორი N3.4.1.3	*სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;*	*სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, უზრუნველყოს:* *1. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმება;* *2. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრა.*
ინდიკატორი N3.4.1.8	*სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.*	*სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, უზრუნველყოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და შესაბამისად, შეფასების შედეგების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის გამოყენება.*
ინდიკატორი N3.5.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;*	*სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, უზრუნველყოს სკოლის სანიტარული კვანძებში პრივატულობის. დაცვა, კერძოდ, საპირფარეშოებში კაბინების იზოლირება და კარებების დამონტაჟება.*
ინდიკატორი N3.5.1.4	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;*	*სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, უზრუნველყოს ადაპტირებული საპირფარეშოს მოწყობა, კერძოდ, მოაწესრიგოს კარების ზღურბლი, რათა ეტლით შესაძლებელი იყოს საპირფარეშოში შესვლა, ასევე, დაცალოს საპირფარეშო დამლაგებლისათვის საჭირო ინვენტარის, ნივთების, ქიმიური საშუალებებისგან და ყველა სხვა არასაჭირო ნივთებისგან.*

ინდიკატორი N3.6.1.1	*ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.*	*სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, უზრუნველყოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დახმარებით ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვა.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.5	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;*	***სკოლას მიეცა რჩევა*** *მეტი ხელმისაწვდომობისათვის, თვალსაჩინო ადგილას, სკოლის შენობაში/საინფორმაციო დაფაზე გამოაკრას შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები, ასევე, ვებ-გვერდზე განათავსოს უფრო თვალსაჩინო განყოფილებაში.*
ინდიკატორი N1.2.1.1	*სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს*	***სკოლას მიეცა რჩევა*** *„სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში“ სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავების ეტაპები იყოს მეტად თანმიმდევრული და სისტემატიზირებული.*
ინდიკატორი N1.2.2.2	*მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;*	***სკოლას მიეცა რჩევა,*** *უფრო მკაფიოდ და ნათლად ჩამოაყალიბოს იმ პირთა ვინაობა, ვინც შესაძლებელია მოიაზრებოდეს დირექტორის მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფში.*
სტანდარტი N3	***სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა***	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.1.1	*სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;*	***მიეცა რჩევა,*** *უზრუნველყოს კათედრების მუშაობის მარეგულირებელი დოკუმენტის ცალკე შემუშავება, რათა გაბნეულად არ იყოს კათედრის მუშაობის მექანიზმი დარეგულირებული და თავიდან აიცილოს დოკუმენტაციაში ურთიერთსაწინააღმდეგო ჩანაწერები.*
ინდიკატორი N3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და*	***სკოლას მიეცა რჩევა,*** *სკოლის მიერ დადგენილი, პირად საქმეში შესანახი დოკუმენტაციის ნუსხა შესაბამისობაში მოიყვანოს კანონმდებლობასთან და*

	დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	*ერთნაირად დაარეგულიროს შინაგანაწესსა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში.*
ინდიკატორი N3.1.2.6	*სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.*	***<u>სკოლას მიეცა რჩევა.</u>*** *დასაქმებულების წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და წახალისების ფორმების გამოყენების შემთხვევაში განახორციელოს მათი დოკუმენტირება.*
ინდიკატორი N3.2.1.1	*სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;*	***<u>სკოლას მიეცა რჩევა.</u>*** *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში, ასევე, გაითვალისწინოს მასწავლებლების გარდა სხვა თანამშრომლების პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირებისა და საჭიროებების გამოვლენის მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის დებულებით, ასევე, გაითვალისწინოს სხვა თანამშრომლების შესრულებული სამუშაოს მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების შემდგომ განსახორციელებელი ღონისძიებები.*
ინდიკატორი N3.2.1.5	*წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.*	***<u>სკოლას მიეცა რჩევა.</u>*** *შეიმუშაოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით ინიციატივის დაყენების და მასზე რეაგირების მარეგულირებელი შიდა წესები.*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ*	***<u>სკოლას მიეცა რჩევა</u>*** • *დაასაქმოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფას.* • *მომავალში ლაბორატორიაში უზრუნველყოს გამდინარე წყლის გამოყენების შესაძლებლობა.*

	ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
ინდიკატორი N3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	***სკოლას მიეცა რჩევა*** *დამტკიცებული პირველადი დახმარების აღმოჩენის წესის დანართი (სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა) მოიყვანოს საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.*
ინდიკატორი N3.5.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;*	***სკოლას მიეცა რჩევა,*** *სკოლის შიდა აზომვითი ნახაზები შესაბამისობაში მოიყვანოს ფაქტობრივ მდგომარეობასთან.*
ინდიკატორი N3.5.1.3	*სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით*	***სკოლას მიეცა რჩევა,*** *ბიბლიოთეკის საქმიანობა განსაზღვროს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს საბიბლიოთეკო რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობა.*
ინდიკატორი N3.5.1.4	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;*	***სკოლას მიეცა რჩევა*** *სკოლა აღიჭურვოს რესურს ოთახის მოსაწყობად საჭირო ინვენტარით და სასწავლო რესურსებით, იმისათვის, რომ შექმნას მზაობა სსსმ მოსწავლის მისაღებად.*
ინდიკატორი N3.6.3.1	*სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით*	*სკოლას მიეცა* ***რჩევა*** *ვებ-გვერდზე განაახლოს კალენდარი. ასევე, უზრუნველყოს სოციალურ ქსელში შექმნილ სკოლის გვერდზე ინფორმაციის განახლება.*
სტანდარტი N4	***მოსწავლეთა მხარდაჭერა***	***რჩევა***
ინდიკატორი N4.1.1.1	*სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;*	***სკოლას მიეცა რჩევა****, მოსწავლეებისთვის ტელეფონების ჩამორთმევის საკითხი დაარეგულიროს იმგვარად, რომ არასასწავლო მიზნით ტელეფონის გამოყენების უფლება შეზღუდოს სასწავლო პროცესის განმავლობაში.*

ინდიკატორი N4.1.1.2	*მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;*	***<u>სკოლას მიეცა რჩევა</u>*** *უზრუნველყოს მოსწავლეების და მშობლების უფრო მეტად ინფორმირება მოქმედი სასკოლო რეგულაციების შესახებ და აღნიშნული რეგულაციები განათავსოს საჯაროდ, სკოლის საინფორმაციო დაფასა და ვებ-გვერდზე.*
ინდიკატორი N4.1.2.2	*სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;*	***<u>სკოლას მიეცა რჩევა</u>*** *გამოცემულ ბრძანებებში ბრძანებებში მიუთითოს ბრძანების გასაჩივრების ადგილის - თბილისის საქალაქო სასამართლოს სწორი მისამართი და გასაჩივრების ვადა.*
ინდიკატორი N4.1.2.3	*სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;*	***<u>სკოლას მიეცეს რჩევა</u>****, რომ სკოლამ დამატებითი სავალდებულო საგნის შესახებ ინფორმაციის მეტი საჯაროობისათვის გამოიყენოს მის ხელთ არსებული საშუალებები და ინფორმაცია განათავსოს სკოლის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.*
ინდიკატორი N4.2.1.1	*სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;*	***<u>სკოლას მიეცა რჩევა:</u>*** *1. მოსწავლის ადაპტაციის მარეგულირებელ დოკუმენტში დააკონკრეტოს თუ რომელ მოადგილეს ევალება ადაპტაციის მექანიზმის დაცვის კონტროლი.* ***2.*** *მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მარეგულირებელ დოკუმენტში ასახოს სასწავლო პროცესის განმავლობაში, ადაპტაციის პრობლემის გამოვლენის და მიზეზის დადგენის გზები ნებისმიერ მოსწავლესთან მიმართებით, განსაზღვროს აღნიშნულ პროცესში ჩართული მხარეები და ადაპტაციის განხორციელების პროცედურა.*
ინდიკატორი N4.2.1.6	*მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.*	***<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u>*** *რომ კითხვების მრავალფეროვნებით მოახდინოს სკოლაში ზოგადად მიმდინარე პროცესების, მატერიალურ რესურსების, უსაფრთხოების და სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მათი ანალიზი.*
ინდიკატორი N4.2.2.2	*სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და*	***<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u>*** *კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების შესახებ ინფორმაცია გახადოს მაქსიმალურად ხელმისაწვდომი,*

	სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;	*მიაწოდოს კლასების დამრიგებლებს და მოსწავლეებს. ასევე, განსაზღვროს მომსახურების განხორციელებაში ჩართული პასუხისმგებელი პირები და შეიმუშაოს მომსახურების კონკრეტული გეგმა/განრიგი.*
ინდიკატორი N4.2.2.3	*სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.*	***სკოლას მიეცა რჩევა,*** *მიმდინარე წლიდან განახორციელოს მიწოდებული სერვისის შეფასება და შედეგები გაითვალისწინოს მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად.*
ინდიკატორი N4.2.3.1	*სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;*	***სკოლას მიეცა რჩევა,*** *2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი მომწესრიგებელი ნორმები შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროა მიერ 2018 წლის 21 თებერვლის 16/ნ ბრძანების დანართით დამტკიცებულ ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესებთან, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმებთან. გარდა ამისა,* ***სკოლას მიეცა რჩევა,*** *განაახლოს 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები.*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;*	***მათემატიკა*** *სასურველია მე-5 და მე-6 კლასის კურიკულუმში ჩაემატოს ,,შემოქმედებითი დავალების'' შესაბამისი გრაფა/კომპონენტი.* ***უცხო ენა*** *სასურველია სასწავლო პროექტების განხორციელება, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს უცხო ენის სწავლებაში. ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს შექმნას, ზრდის მოსწავლეების ჩართულობას და მოტივაციას, უვითარებს მოსწავლეებს 21-ე საუკუნეში წარმატებული ცხოვრებისათვის აუცილებელ უნარებს და კომპეტენციებს.*

		საბუნებისმეტყველო ✓ *სასურველია: დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში, რესურსების კომპონენტში მიეთითოს სკოლის სასწავლო პრაქტიკაში შესაძლებელი და აპრობირებული რეალური ლაბორატორიული სამუშაოების/ სადემონსტრაციო ცდების რესურსები (მასალები, მოწყობილობები, ექსპერიმენტის დასახელება). მაგალითად, II კლასში, თემის „ჰაერი როგორც გარემო“ ფარგლებში, ცდის „მე ვგრძნობ ჰაერს”რესურსი - მარაო; ცდის „რისი სუნი აქვს ჰაერს?“ რესურსი - ლიმონი, ფორთოხალი, სუნამო; და სხვ.* ✓ *სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში, სატიტულო ნაწილში დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა (სრული რეკვიზიტების - დასახელების, ავტორების, გამომცემლობის, წლის მითითებით);* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *მე-3; მე-4 კლასის მე და საზოგადოების კურიკულუმში წარმოდგენილ ყველა შემოქმედებით დავალებას შერჩეული ჰქონდეს შესაბამისი კონტექსტ-მაგალითი. ჩვენი საქართველოს კურიკულუმებში ქვეცნებები საკითხებიდან გამომდინარე სავალდებულო თემებში კონკრეტული და მრავალფეროვანი იყოს, მაგ.: მე-6 კლასში კურიკულუმში სამიზნე ცნება საზოგადოების ფარგლებში ქვეცნების დონეზე ყველა საკითხთან წარმოდგენილია კულტურული მემკვიდრეობის დაცვა; სამიზნე ცნება მეურნეობასთან ქვეცნების დონეზე მხოლოდ სოფლის მეურნეობის დარგი და ა.შ.* ***ფიზიკური აღზრდა და სპორტი*** *სასურველია, მეორე კლასის კურიკულუმში თემაში ,,მოძრავი თამაშები სიარულის, რბენის, ხტომის, ტყორცნის ელემენტებით“ დაკონკრეტდეს და მიეთითოს სპორტის სახეობა.*
ინდიკატორი N2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;*	***უცხო ენა***

		სასურველია სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირება მისი სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად, რაც მოაზრებს მოსწავლის აკადემიური მიღწევების/სწავლის პროგრესის ამსახველი პროფილის შექმნას. ***საბუნებისმეტყველო*** ✓ *ბუნებისმეტყველების კურიკულუმში კლასების მიხედვით მოცემულია შემოქმედებითი დავალების იდეა (თემების ფარგლებში), თუმცა, სასურველია შემოქმედებითი დავალების გარათის, თემატური მატრიცის, მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტების ნიმუშები / ნამუშევრების (პრეზენტაციები, პოსტერები, დიორამის, მაკეტების ფოტოები, დაკვირვების დღიურები და ა.შ) წარმოდგენა* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *სასურველია მე-3 კლასის მე და საზოგადოების კურიკულუმს ერთვოდეს შერჩეული შემოქმედებითი დავალებების პირობები, კრიტერიუმები, ისე როგორც ახლავს მე-4 კლასის მე და საზოგადოების კურიკულუმს (ერთ-ერთი შემოქმედებითი დავალების), რომლის მიხედვითაც მასწავლებელი ჩამოაყალიბებს დავალების განხორციელებისათვის საჭირო ეტაპებსა და ნაბიჯებს.* ***ფიზიკური აღზრდა და სპორტი*** • *სასურველია მეორე კლასის კურიკულუმში თემაში ,,მოძრავი თამაშები სიარულის, რბენის, ხტომის, ტყორცნის ელემენტებით“ დაკონკრეტდეს და მიეთითოს სპორტის სახეობა.* • *სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მიეთითოს საგნისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა.*
ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;*	***საბუნებისმეტყველო*** ✓ *სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში, სატიტულო ნაწილში დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, დასახელებისას*

		დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა (სრული რეკვიზიტების - დასახელების, ავტორების, გამომცემლობის, წლის მითითებით);
ინდიკატორი N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.*	***მათემატიკა*** სასურველია ყველა კლასის კურიკულუმს დაემატოს მე-3 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკისა და ეტაპებად გაწერილი შემოქმედებითი დავალების მსგავსი ჩანაწერი. სამომავლოდ, შემოქმედებითი დავალებების მიღწევების შესაფასებლად, შექმნან კონკრეტული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ***უცხო ენა*** *სასურველია თითოეული თემის ფარგლებში შემუშავდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება სამიზნე ცნებებს და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს.* ***ფიზიკური აღზრდა და სპორტი*** *სასურველია პედაგოგებმა შეფასების რუბრიკების შექმნისას გაითვალისწინონ სამიზნე ცნებებთან მიმართება, რუბრიკებს მისცენ მეტი კონკრეტიკა და დეტალურად აღწერონ კრიტერიუმის მიღწევა. ასევე, სასურველია პედაგოგებმა შექმნან შერჩეული სპორტის სახეობების შესაბამისი შეფასების რუბრიკები .* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *სასურველია მე და საზოგადოებაში, ჩვენ საქართველოში კურიკულუმიდან გამომდინარე, შუალედური მიზნების-შემოქმედებითი დავალებების მიღწევების შესაფასებლად შეიქმნას კონკრეტული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.*
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის სამართლიანი	**ესთეტიკური აღზრდა** *სასურველია, შეფასების რუბრიკები იყოს მრავალფეროვანი, სასწავლო თემების და საკითხების შესაბამისად შექმნილი და მორგებული*

		შესასრულებელ ამოცანებს, რომელშიც ნათლად გამოჩნდება გრძელვადიან მიზანზე ორიენტირება.
ინდიკატორი N2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;*	***საბუნებისმეტყველო*** *სასურველია, ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმით (კლასების მიხედვით) წარმოდგენილი დამხმარე რესურსების ჩამონათვალს - ტელესკოლის გაკვეთილები, ანიმაციები, სხვა ინტერნეტ-რესურსები, დაემატოს რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები, თუნდაც ყოფა-ცხოვრებაში გამოყენებული მასალები.* *კურიკულუმში აღნიშნული რესურსების დაფიქსირება ხელს შეუწყობს რეალური ცდების სისტემატურ გამოყენებას ბუნებისმეტყველების სასწავლო პროცესში, კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.*
ინდიკატორი 2.2.2.3	*სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით*	**ესთეტიკური აღზრდა** *სასურველია, სკოლა აღჭურვილი იყოს ტექნიკური საშუალებების საკმარისი რაოდენობით (ლეპტოპი, ხმის გამაძლიერებელი, პროექტორი), რათა სასწავლო პროცესში გამოყენებულ იქნას მრავალფეროვანი რესურსი.*
ინდიკატორი N2.4.1.2	*კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი*** *გამომდინარე იქიდან, რომ სკოლამ პირველად შექმნა სასკოლო კურიკულუმი და შესაბამისად, ჯერ ვერ შეძლებდა მონიტორინგსა და შეფასებას, სასწავლო წლის ბოლოს, იხელმძღვანელოს სასკოლო კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით, განახორციელოს მონიტორინგი და შეფასების საფუძველზე დაგეგმოს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმი.*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;*	***მათემატიკა*** *სასურველია, თითოეულ კურიკულუმს დაემატოს მასში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალების იდეის შესაბამისი დანართები, სადაც გამოკვეთილი იქნება განხორციელების ეტაპები, შეფასების რუბრიკებთან ერთად.* ***უცხო ენა*** *სასურველია სასწავლო პროექტების განხორციელება, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს უცხო ენის სწავლებაში. ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს შექმნას, ზრდის მოსწავლეების ჩართულობას და მოტივაციას, უვითარებს მოსწავლეებს 21-ე საუკუნეში წარმატებული ცხოვრებისათვის აუცილებელ უნარებს და კომპეტენციებს.* ***საბუნებისმეტყველო*** • *სასურველია: სამივე საგნის - ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია - კურიკულუმის ჩარჩოში, სატიტულო ნაწილში დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო; დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა (სრული რეკვიზიტების - დასახელების, ავტორების, გამომცემლობის, წლის მითითებით);* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *მე-7 კლასის ისტორიის კურიკულუმში სავალდებულო თემაში (ანტიკური და გვიან ანტიკურ ხანა) დამუშავდეს სამიზნე ცნება ისტორიული წყარო/ინტერპრეტაცია.* *მე-7; მე-8 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმებში გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები (მაგ: „ინიციატივა და მეწარმოება“, „სოციალიზაცია“) და მე-8 კლასის გეოგრაფიის სამიზნე ცნებები (მაგ: გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი), შედეგები შეიცვალოს , მიმდინარე - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოქალაქეობის, გეოგრაფიის სტანდარტის შესაბამისად ისე როგორც აქვს სკოლას მე-9 კლასის მოქალაქეობის და გეოგრაფიის მე-7 ; მე-9 კლასის კურიკულუმებში.*

		მე-7 კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში ანტარქტიდის სავალდებულო თემის ფარგლებში კონტექსტ მაგალითების სვეტში კონტექსტ მაგალითის ნაცვლად წარმოდგენილია სამიზნე ცნების სიღრმისეული გააზრების კრიტერიუმები. ჩასწორდეს, რომ არ ქმნიდეს ბუნდოვანებას. ***ესთეტიკური აღზრდა*** *სასურველია, მუსიკის და ხელოვნების კურიკულუმებში ჩანდეს ყველა დასამუშავებელი თემა, ცნება, შემოქმედებითი პროდუქტი, სასწავლო რესურსი.*
ინდიკატორი N2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;*	***მათემატიკა*** *თითოეულ კურიკულუმს დაემატოს მასში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალების იდეის შესაბამისი დანართები, სადაც გამოკვეთილი იქნება განხორციელების ეტაპები, შეფასების რუბრიკებთან ერთად.* ***უცხო ენა*** *სასურველია სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირება მისი სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად, რაც მოიაზრებს მოსწავლის აკადემიური მიღწევების/სწავლის პროგრესის ამსახველი პროფილის შექმნას.* ***საბუნებისმეტყველო*** *სამივე საგნის კურიკულუმში მოცემულია შემოქმედებითი დავალების იდეა, თუმცა, სასურველია შემოქმედებითი დავალების გარათის, თემატური მატრიცის, მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტების ნიმუშები / ნამუშევრების (პრეზენტაციები, პოსტერები, მაკეტების ფოტოები, დაკვირვების დღიურები და ა.შ წარმოდგენა* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები***

		მე-7 კლასის ისტორიის კურიკულუმის დანართში , რომელშიც შემოქმედებითი დავალების ეტაპები აქტივობებით არის წარმოდგენილი კონკრეტულად აღწერდეს აქტივობის შინაარსს - კონკრეტული კითხვებისა და დავალებების გათვალისწინებით. საბაზო საფეხურის ისტორიის, მოქალაქეობის ყველა კურიკულუმს ერთვოდეს შემოქმედებითი დავალების განხორციელების დანართი. შემოქმედებითი დავალების პროდუქტი მოსწავლეებთან ერთად შეიქმნას ეტაპობრივად, ნაბიჯებად საგაკვეთილო პროცესის თანმიმდევრულად, გეოგრაფიის კურიკულუმის დანართებში , ჩანდეს მასწავლებელმა რა შეცვალა, რა მოარგო სკოლის, კლასის საჭიროებასა და ინტერესს. ***სპორტი*** *სასურველია, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში მიეთითოს საგნისთვის განსაზღვრული თემის/საკითხების საათობრივი დატვირთვა.*
ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *სასურველია მე-8 კლასის ისტორიის კურიკულუმის მეორე სავალდებულო თემაშიც, სასწავლო რესურსების სვეტში აისახოს შერჩეული სასწავლო რესურსი, შესაბამისი პარაგრაფებისა და გვერდების გათვალისწინებით. სასურველია კურიკულუმში გარდა ძირითადი სახელმძღვანელოსი, შემოქმედებითი დავალების განსახორციელებლად და სწავლის შედეგის მისაღწევად დამატებითი სხვა რესურსებიც იყოს გათვალისწინებული.*
ინდიკატორი N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.*	***უცხო ენა*** *სასურველია თითოეული თემის ფარგლებში შემუშავდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება სამიზნე ცნებებს და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს.*

		საზოგადოებრივი მეცნიერებები *საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი კურიკულუმიდან გამომდინარე, შუალედური მიზნების-შემოქმედებითი დავალებების მიღწევების შესაფასებლად შეიქმნას კონკრეტული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორია.* *მე-9 კლასის დასავლეთი საქართველოს შეფასების ბარათში, ცხრილში სამიზნე ცნებები დაზუსტდეს (მაგ: „გეოგრაფიული მდებარეობის დახასიათება“ ვერ იქნება სამიზნე ცნება)* ***სპორტი*** *სასურველია საბაზო საფეხურის შეფასების რუბრიკები გაიწეროს საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი თემების შესაბამისად. ხოლო, შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით.*
ინდიკატორი N2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;*	***საბუნებისმეტყველო*** *სასურველია, ელექტრონული რესურსები (დასახელება, წვდომის ლინკი) აისახოს ფიზიკისა და ბიოლოგიის VII, VIII, IX კლასების კურიკულუმებში. ქიმიის კურიკულუმში - VIII, IX კლასები - მითითებულია ელექტრონული რესურსები - ტელესკოლის გაკვეთილები, სხვა ინტერნეტ-რესურსები, უმეტეს შემთხვევაში ლინკების (წვდომის) ჩვენებით; ფიზიკის კურიკულუმებში VII, VIII, IX კლასები, ფიქსირდება მხოლოდ ზოგადი ჩანაწერი რესურსების გრაფაში - არაძირითადი: ინტერნეტი); ბიოლოგიის კურიკულუმში ელექტრონული რესურსები საერთოდ მითითებული არ არის; შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ კათედრაზე გაზიარებულ იქნას ქიმიის საგნობრივ კურიკულუმში ელექტრონული რესურსების ასახვის გამოცდილება და შესაბამისი ელექტრონული რესურსები (დასახელება, წვდომის ლინკი) აისახოს ფიზიკისა და ბიოლოგიის VII, VIII, IX კლასების კურიკულუმებში.* ✓ *სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს სამივე საგანში ლაბორატორიული მოწყობილობების და მასალების/ქიმიური რეაქტივების, ფიზიკური ხელსაწყოების შეძენა-შევსებას რეალური*

		სადემონსტრაციო და სასწავლო ცდებისა და ექსპერიმენტებისათვის; ასევე, სასურველია, რომ ქიმიური რეაქტივები ორგანიზებული იყოს შენახვის ჯგუფების მიხედვით/კლასების მიხედვით (მარტივი ნივთიერებები - ლითონები და არალითონები; არაორგანული ნივთიერებები ნაერთთა კლასები - ოქსიდები, მჟავები, ტუტეები/ფუძეები, მარილები; ორგანული ნივთიერებები); დამზადებულ ხსნარებს ჰქონდეთ ეტიკეტები; ✓ *სასურველია, ფიზიკის მოწყობილობებს შენახვის ადგილების, სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები (მექანიკური, სითბური, ოპტიკური მოვლენების, ელექტრობის შესასწავლად და სხვ.);* ✓ *სასურველია, ბიოლოგიის ისეთ რესურსებს, როგორიცაა ორგანოთა მულაჟები, ჰერბარიუმები, სხვადასხვა კოლექციები, შენახვის ადგილების და /ან სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები;* ✓ *სასურველია, შეძლებისდაგვარად, გაიმიჯნოს სასწავლო სივრცე და საპრეპარატორო, რეაქტივებისა და მასალების შენახვის კარადებით;* *სასურველია, მომზადდეს საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და კლასების მიხედვით რეალური ექსპერიმენტების კართოთეკა (ბარათზე: ცდის/ლაბ.სამუშაოს დასახელება, მასალები/რეაქტივები, მოწყობილობები, სამუშაოს პროტოკოლი/მსვლელობა), რაც ხელს შეუწყობს სკოლის პირობებში რეალური ცდების/ ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებას (ამისთვის სკოლაში გარკვეული საწყისი ინფრასტრუქტურული პირობებია: კაბინეტში შეყვანილია წყალი (ნიჟარა, ელექტროგაყვანილობა), თუმცა, სასურველია, ქიმიის კაბინეტის ცალკე გამოყოფა.*
ინდიკატორი 2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის სამართლიანი*	***ესთეტიკური აღზრდა*** *სასურველია, კათედრაზე შემუშავდეს შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკე (განმსაზღვრელი, განმავითარებელი), რომელიც მორგებული იქნება, პირველ რიგში, შესასწავლ თემებს და საკითხებს.*

ინდიკატორი 2.2.2.3	*სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით*	***ესთეტიკური აღზრდა*** *სასურველია, სკოლა აღჭურვილი იყოს ტექნიკური საშუალებების საკმარის რაოდენობით (ლეპტოპი, ხმის გამაძლიერებელი, პროექტორი), რათა სასწავლ პროცესში გამოყენებულ იქნას მრავალფეროვანი რესურსი.*
ინდიკატორი N2.4.1.2	*კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი*** *გამომდინარე იქიდან, რომ სკოლამ პირველად შექმნა სასკოლო კურიკულუმი და შესაბამისად, ჯერ ვერ შეძლებდა მონიტორინგსა და შეფასებას, სასწავლო წლის ბოლოს, იხელმძღვანელოს სასკოლო კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით, განახორციელოს მონიტორინგი და შეფასების საფუძველზე დაგეგმოს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმი.*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;*	***მათემატიკა*** *სასურველია, თითოეულ კურიკულუმს დაემატოს მასში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალების იდეის შესაბამისი დანართები, სადაც გამოკვეთილი იქნება განხორციელების ეტაპები, შეფასების რუბრიკებთან ერთად.* ***უცხო ენა*** *სასურველია სასწავლო პროექტების განხორციელება, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს უცხო ენის სწავლებაში. ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს შექმნას, ზრდის მოსწავლეების ჩართულობას და მოტივაციას, უვითარებს მოსწავლეებს 21-ე საუკუნეში წარმატებული ცხოვრებისათვის აუცილებელ უნარებს და კომპეტენციებს.* ***ბუნებისმეტყველება***

		სასურველია: სამივე საგნის - ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია - კურიკულუმის ჩარჩოში, სატიტულო ნაწილში დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო; დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა (სრული რეკვიზიტების - დასახელების, ავტორების, გამომცემლობის, წლის მითითებით); ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *სასურველია მე-10 და მე-11 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმებში გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები (მაგ: „სოციალიზაცია“; „ინიციატივა და მეწარმოება“,) შეიცვალოს, მიმდინარე - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოქალაქეობის სტანდარტის შესაბამისად ისე როგორც სკოლას აქვს მე-12 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმში.*
ინდიკატორი N2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;*	***მათემატიკა*** *თითოეულ კურიკულუმს დაემატოს მასში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალების იდეის შესაბამისი დანართები, სადაც გამოკვეთილი იქნება განხორციელების ეტაპები, შეფასების რუბრიკებთან ერთად.* ***უცხო ენა*** *სასურველია სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირება მისი სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად, რაც მოიაზრებს მოსწავლის აკადემიური მიღწევების/სწავლის პროგრესის ამსახველი პროფილის შექმნას.* ***საბუნებისმეტყველო*** *სამივე საგნის კურიკულუმში მოცემულია შემოქმედებითი დავალების იდეა, თუმცა, სასურველია შემოქმედებითი დავალების ბარათის, თემატური მატრიცის, მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტების ნიმუშები / ნამუშევრების (პრეზენტაციები, პოსტერები, მაკეტების ფოტოები, დაკვირვების დღიურები და ა.შ) წარმოდგენა* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *სასურველია, მე-10 კლასის გეოგრაფიის კურკულუმის დანართში , ჩანდეს მასწავლებელმა რა შეცვალა, რა მოარგო სკოლის, კლასის საჭიროებასა და*

		ინტერესს . საშუალო საფეხურის ისტორიის, მოქალაქეობის და გეოგრაფიის მე-11; მე-12 კლასის ყველა კურიკულუმს ერთვოდეს შემოქმედებითი დავალების განხორციელების ამსახველი დოკუმენტი. შემოქმედებითი დავალების პროდუქტი მოსწავლეებთან ერთად შეიქმნას ეტაპობრივად, ნაბიჯებად საგაკვეთილო პროცესის თანმიმდევრულად. *სასურველი, მე-11 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმში მკაფიოდ გამოჩნდეს რომელი საკითხი კონკრეტულად რომელ გრძელვადიან მიზნებს მიემართება; შემოქმედებითი დავალება კონკრეტულად რომელ გრძელვადიანი მიზნის/მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს.* *მე-11 კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით ცხრილის ბოლო ნაწილი (10 კლასის მეორე სავალდებულო თემაა დარჩენილი) დანართით ამოსაღებია.* *მე-12 კლასის საქართველოს ისტორიის და ისტორიის კურიკულუმი განცალკევდეს და სავალდებულო თემები და მისი შინაარსი ჩამოყალიბდეს საშუალო საფეხურის მე-12 კლასი ისტორიის სტანდარტის შესაბამისად.* ***სპორტი*** *სასურველია საშუალო საფეხურის კურიკულუმებში მიეთითოს საგნისთვის განსაზღვრული თემის/საკითხების საათობრივი დატვირთვა.*
ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;*	***ბუნებისმეტყველება*** *სასურველია, საბუნებისმეტყველო საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) თეორიულ-ექსპერიმენტული ბუნებიდან გამომდინარე, რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსების სისტემური დაფიქსირება საგნობრივ (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმებში;* *ყველა საგნის - ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - წარმოდგენილ კურიკულუმებში რესურსები სტანდარტულად მოიცავს ძირითადი რესურსის სახით გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს, როგორც წესი, შესაბამისი გვერდების მითითებით (გარდა ფიზიკა, VII, VIII, IX კლასები - სახელმძღვანელოს გვერდები მითითებული არ არის);* *ამასთან, სამივე საგნის (ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია) წარმოდგენილ კურიკულუმებში არ ფიქსირდება რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები, თუმცა, საბუნებისმეტყველო საგნების კაბინეტის*

		ვირტუალურმა დათვალიერებამ აჩვენა რეალური ცდებისთვის გარკვეული ინფრასტრუქტურისა და რესურსების არსებობა. ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *მე-10 კლასის საქართველოს ისტორიის პირველ სავალდებულო თემაში და ისტორიის კურიკულუმის, სასწავლო რესურსების სვეტში აისახოს შერჩეული სასწავლო რესურსი კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით, შესაბამისი პარაგრაფებისა და გვერდების გათვალისწინებით. სასურველია კურიკულუმებში გარდა ძირითადი სახელმძღვანელოსი, შემოქმედებითი დავალების განსახორციელებლად და სწავლის შედეგის მისაღწევად დამატებითი სხვა მრავალფეროვანი რესურსებიც იყოს გათვალისწინებული.*
ინდიკატორი N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.*	***უცხო ენა*** *სასურველია თითოეული თემის ფარგლებში შემუშავდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება სამიზნე ცნებებს და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს.* ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** *საშუალო საფეხურის საზოგადოებრივი კურიკულუმიდან გამომდინარე, შუალედური მიზნების-შემოქმედებითი დავალებების მიღწევების შესაფასებლად შეიქმნას კონკრეტული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელშიც გათვალისიწნებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორია.* ***სპორტი*** *სასურველია საშუალო საფეხურის შეფასების რუბრიკები გაიწეროს საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი თემების შესაბამისად. ხოლო შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით.*
ინდიკატორი 2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის სამართლიანი*	**ესთეტიკური აღზრდა** *სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მორგებული იყოს შესასრულებელ პროექტს. მოსწავლისთვის მიცემულ*

		წერილობით კომენტარში ნათლად ჩანდეს, შესასრულებელი დავალების პირობა, მიღწეული შედეგი და გასაუმჯობესებელი მხარეები.
ინდიკატორი N2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;*	**ბუნებისმეტყველება** *სასურველია, ელექტრონული სასწავლო რესურსები (დასახელება, წვდომის ლინკი) აისახოს ფიზიკისა და ბიოლოგიის კურიკულუმებში. აღსანიშნავია, რომ ქიმიის კურიკულუმში - საშუალო საფეხურის ყველა კლასის მიხედვით - მითითებულია ელექტრონული რესურსები - ტელესკოლის გაკვეთილები, CK-12, სხვა ინტერნეტ-რესურსები, უმეტეს შემთხვევაში ლინკების (წვდომის) ჩვენებით; ფიზიკის კურიკულუმებში - X, XI, XII კლასები - ფიქსირდება მხოლოდ ზოგადი ჩანაწერი რესურსების გრაფაში - არაძირითადი: ინტერნეტი); ბიოლოგიის კურიკულუმში ელექტრონული რესურსები მითითებული არ არის (გარდა XII კლასისა); შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ კათედრაზე გაზიარებულ იქნას ქიმიის საგნობრივ კურიკულუმში ელექტრონული რესურსების ასახვის გამოცდილება და შესაბამისი ელექტრონული რესურსები (დასახელება, წვდომის ლინკი) აისახოს ფიზიკისა და ბიოლოგიის კურიკულუმებში.* *სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს სამივე საგანში ლაბორატორიული მოწყობილობების და მასალების/ქიმიური რეაქტივების შეძენა-შევსებას რეალური სადემონსტრაციო და სასწავლო ცდებისა და ექსპერიმენტებისათვის;* *ასევე, სასურველია, რომ ქიმიური რეაქტივები ორგანიზებული იყოს შენახვის ჯგუფების მიხედვით/კლასების მიხედვით (მარტივი ნივთიერებები - ლითონები და არალითონები; არაორგანული ნივთიერებები ნაერთთა კლასები - ოქსიდები, მჟავები,*

		ტუტეები/ფუძეები, მარილები; ორგანული ნივთიერებები); დამზადებულ ხსნარებს ჰქონდეთ ეტიკეტები; *სასურველია, ფიზიკის მოწყობილობებს შენახვის ადგილების, სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები (მექანიკური, სითბური, ოპტიკური მოვლენების, ელექტრობის შესასწავლად და სხვ.);* *სასურველია, ბიოლოგიის ისეთ რესურსებს, როგორიცაა ორგანოთა მულაჟები, ჰერბარიუმები, სხვადასხვა კოლექციები, შენახვის ადგილების და /ან სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები;* *✓ სასურველია, შეძლებისდაგვარად, გაიმიჯნოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სასწავლო სივრცე და საპრეპარატორო (რეაქტივებისა და მასალების შენახვის კარადებით);* *სასურველია, მომზადდეს საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და კლასების მიხედვით რეალური ექსპერიმენტების კართოთეკა (ბარათზე: ცდის/ლაბ.სამუშაოს დასახელება, მასალები/რეაქტივები, მოწყობილობები, სამუშაოს პროტოკოლი/მსვლელობა), რაც ხელს შეუწყობს სკოლის პირობებში რეალური ცდების/ ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებას (ამისთვის სკოლაში გარკვეული საწყისი ინფრასტრუქტურული პირობებია: კაბინეტში შეყვანილია წყალი (ნიჟარა, ელექტროგაყვანილობა), თუმცა, სასურველია, ქიმიის კაბინეტის ცალკე გამოყოფა.*
ინდიკატორი 2.2.2.3	*სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ*	***ესთეტიკური აღზრდა*** *სასურველია, სკოლა აღჭურვილი იყოს ტექნიკური საშუალებებით საკმარისი რაოდენობით (ლეპტოპი, პროექტორი, ხმის გამაძლიერებელი და სხვ..), რათა სასწავლო პროცესში გამოყენებულ იქნას მრავალფეროვანი რესურსი.*

	რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	
ინდიკატორი N2.4.1.2	*კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.*	***ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი*** *გამომდინარე იქიდან, რომ სკოლამ პირველად შექმნა სასკოლო კურიკულუმი და შესაბამისად, ჯერ ვერ შეძლებდა მონიტორინგსა და შეფასებას, სასწავლო წლის ბოლოს, იხელმძღვანელოს სასკოლო კურიკულუმის შექმნისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით, განახორციელოს მონიტორინგი და შეფასების საფუძველზე დაგეგმოს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმი.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)* *ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი და ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ ინფორმაცია. შედეგად დადგინდა შემდეგი:*

ქვესტანდარტი 2.1. (ა) - *ექსპერტთა რეკომენდაციით, უსაფრთხოების დაცვის მიზნით მეოთხე სართულზე ასასვლელი კიბეები კაპიტალურად ისე უნდა გადაიღობოს, რომ მოსწავლემ ვერ შეძლოს გადასვლა.*

შესრულების სტატუსი: შესრულდა. *ადგილზე დათვალიერებით დადასტურდა, რომ სკოლას მეოთხე სართულზე ასასვლელი აქვს დალუქული. ასევე, წარმოდგენილია ფოტო მასალა.*

ქვესტანდარტი 2.1. (დ) - *სკოლას მიეცა რეკომენდაცია ლაბორატორიაში დამონტაჟდეს წყლის ონკანი და ლაბორატორიული ინვენტარი განთავსდეს ისეთ დახურულ (ან გამჭვირვალე) კარადაში, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომი არ იქნება მოსწავლეთათვის.*

შესრულების სტატუსი: შესრულდა. *ლაბორატორიაში სკოლამ დაამონტაჟა მოწყობილობა, რომელიც იძლევა წყლის გამოყენების საშუალებას.*

ქვესტანდარტი 2.5. - *სტანდარტის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეივსოს სკოლის ვებ - გვერდის მენიუში არსებული განყოფილებები.*

შესრულების სტატუსი: არ შესრულდა. *ვებ-გვერდზე არ არის განთავსებული სტანდარტის შესაბამისი ინდიკატორით გათვალისწინებული შემდეგი ინფორმაცია: პროგრამების სახელწოდებები, რომელზეც ახორციელებს საგანმანათლებლო პროცესს, მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, სკოლის ფინანსური მდგრადობის შესახებ ინფორმაცია და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები, რომელიც სკოლას გაკეთებული აქვს 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმასთან მიმართებით.*

ქვესტანდარტი 26. (გ) – *სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეიძინოს გასინჯვისას პრივატულობის უზრუნველყოფის მიზნით ტიხრული შირმა ან გამყოფი ბარიერით (ფარდით) გამოყოს პაციენტის გასასინჯი სივრცე.*

შესრულების სტატუსი: შესრულდა. *ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ სკოლას აქვს გამყოფი ბარიერით (ფარდით).*

ქვესტანდარტი 2.6. (დ) – *ვიზიტის დროს სკოლის ტერიტორია არ იყო სრულად შემოღობილი. მოსწავლეებს შეეძლოთ თავისუფლად გასვლა სკოლის ტერიტორიიდან, ხოლო გარეშე პირებს შემოსვლა. სკოლის ადმინისტრაციასა და მშობლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მშობლებს აქვთ ინფორმაცია მოსწავლეების მიერ სკოლის ტერიტორიის ზოგიერთ შემთხვევაში დატოვების შესახებ. მოსწავლის გარკვეული დროით სკოლის ტერიტორიიდან გასვლას მშობლები და დამრიგებლები ერთმანეთთან ზეპირსიტყვიერად ათანხმებენ. დირექტორის განმარტებით, აღნიშნული ფაქტი გამოწვეულია სასადილო სივრცის დროებითი დაკეტვით. ექსპერტთა აზრით, დარღვეულია მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის პრინციპები. გამომდინარე აქედან, გაიცა რეკომენდაცია*
სკოლის ტერიტორიის შემოღობვის, მოსწავლეთა მიერ სკოლის ტერიტორიის დატოვების კონტროლის მექანიზმის შემუშავებისა და მათი საჭიროების გადაჭრის შესახებ (სასადილო სივრცის ამუშავება).

შესრულების სტატუსი: არ შესრულდა. *სკოლის ტერიტორია შემოღობილია, სკოლამ ასევე, წარმოადგინა ფოტო მასალა, რომ მოხდა სკოლის გვერდით ღობის სრულად რეაბილიტაცია და ახლის აშენება. თუმცა, არსებობს რიგი მონაკვეთები, სადაც დაბალია ღობის სიმაღლე (ფაქტობრივად ავტოფარეხის უკანა კედელი წარმოადგენს სკოლის ღობეს და სკოლას ცალკე დამოუკიდებელი დამცავი მექანიზმი არ აქვს) და მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აძვრეს მაგ.: ავტოფარეხის სახურავზე. გარდა ამისა, ერთ ადგილას დაზიანებულია სკოლის მოქსოვილი ბადე - ე.წ. სეტკა. ასევე, სკოლაში არ ფუნქციონირებს კვების ობიექტი.*

ქვესტანდარტი 2.6. (ე) – *სკოლის შენობაში არ იყო გამოკრული ვიდეომეთვალყურეობის განხორციელების შესახებ საინფორმაციო-გამაფრთხილებელი ნიშანი, დერეფნებში გასასვლელის მიმართულების ნიშნები და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ნომერი (112). სტანდარტის მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით სკოლას მიეცა რეკომენდაცია ზემოთ აღნიშნული შენიშვნების გამოსწორების შესახებ.*

შესრულების სტატუსი: შესრულდა. *სკოლაში გამოკრულია 112-ის ნომერი, ვიდეომონიტორინგის შესახებ მანიშნებელი ნიშნები და გასასვლელის მიმართულების ნიშნები.*

ქვესტანდარტი 2.9. - *სკოლაში ბრძანებები იწერება ხელნაწერი ფორმით, რომლებსაც ცალკეულ შემთხვევებში არ აქვთ კონკრეტული რეკვიზიტები. მაგ.: ბრძანების გასაჩივრების ვადა, საჩივრის წარდგენის დაწესებულება და მისი მისამართი. გამომდინარე აქედან, ექსპერტებმა რეკომენდაციით მიმართეს სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რათა განხორციელებულიყო შესაბამისობა ,,ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსთან". გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების რეგულირების, დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების დოკუმენტაციაზე დატანილი იყოს დამტკიცების რეკვიზიტები.*

შესრულების სტატუსი: არ შესრულდა. *სკოლაში ბრძანებები იწერება გეჭდურად, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში ისინი კვლავ არ შეიცავს ადმინისტრაციული კოდექსით სავალდებულო რეკვიზიტებს.*

ქვესტანდარტი 3.2. - *სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.*

შესრულების სტატუსი: არ შესრულდა. *სკოლამ ვერ წარმოადგინა მასწავლებელთა შერჩევის მასალები, საკონკურსო კომისიის ოქმები, კომისიის შექმნის ბრძანება და სხვა.*

ქვესტანდარტი 3.3. - *სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შინაგანაწესში დააკონკრეტოს, რომელ დისციპლინურ საკითხს, რა შემთხვევაში გამოიყენებს დასაქმებულთან მიმართებაში.*

შესრულების სტატუსი: შესრულდა. *სკოლის შინაგანაწესში დაკონკრეტებულია რომელი დისციპლინური სახდელი რა შემთხვევაში გამოიყენება.*

ქვესტანდარტი 3.5. - *სკოლას მიეცა რეკომენდაცია სამეცნიერო საწარმოო ფირმა ,,ალმასის" მასწავლებელთა პროფესიონალური განვითარების, შეფასებისა და წახალისების სისტემა., შესაბამისობაში მოვიდეს „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N241 დადგენილებასთან.*

შესრულების სტატუსი: შესრულდა. *„მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N241 დადგენილება ვრცელდებოდა ყველა კერძო სკოლაზე. თუმცა, ის აღარაა*

სავალდებულო შესასრულებლად, თუკი სკოლას ექნება შემუშავებული, საკუთარი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი. სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების პოლიტიკა, რომელიც მოიცავს რეკომენდაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში და სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია სკოლის მისია და ხედვა. სკოლის მისიაში გაცხადებულია, რომ მოამზადოს მოსწავლეები მომავალი წარმატებული ცხოვრებისათვის, რათა მათ შეძლონ სწრაფცვალებად გარემოში ადაპტაცია. ამასთან, აღზარდოს კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედებითი უნარებით აღჭურვილი, მიზანდასახული ახალგაზრდები, რომლებიც წვლილს შეიტანენ, როგორც საქართველოს, ასევე, მსოფლიოს განვითარებასა და კეთილდღეობაში. სკოლის ხედვის მიხედვით კი, მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა თანამედროვე გარემოში მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები და ხელი შეუწყონ მათ განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ სკოლის მისიაში და ხედვაში პიროვნულ განვითარებასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზეა აქცენტი გაკეთებული, რომლებიც გამომდინარეობენ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან და არ ეწინააღმდეგებიან მას. ***შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.***

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სკოლის მისიასა და ხედვაში ძირითადად აქცენტი გაკეთებულია მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე. სკოლა მიზნად ისახავს აღზარდოს კომუნიკაბელური, თავისუფლად და გლობალურად მოაზროვნე მოქალაქეები, მოამზადოს ისინი დამოუკიდებელი

ცხოვრებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა პრიორიტეტად ასახელებს თანამედროვე სივრცის შექმნას, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენაზე და მათ განვითარებაზე, მისიასა და ხედვაში არ არის აქცენტი გაკეთებული დასახული მიზნების მისაღწევად უსაფრთხო გარემოს შექმნის მნიშვნელობაზე.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ერთი მხრივ, სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი როლი - შექმნას სივრცე, სადაც ყველა ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე, თუმცა, მეორე მხრივ, სკოლის მიერ გაცხადებულ მისიასა და ხედვაში პრიორიტეტად არ იკვეთება უსაფრთხო სოციო-კულტურული სივრცის უზრუნველყოფა. <u>შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

სკოლამ დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა, რომ სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდება სკოლის ფილოსოფიის სასკოლო საზოგადოებისათვის წერილობითი მიწოდება/გაზიარება და უკუკავშირის მიღება. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.02.2025-15.06.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა „მეტწილი".

აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით სკოლას დამატებით არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, თუმცა ვადა, რომელიც სკოლას მითითებული აქვს შესაბამისობის გეგმაში ჯერ არ არის დამდგარი. სკოლას შესაძლებლობა აქვს 2025 წლის 15 ივნისამდე განახორციელოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობები. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", შეიცვალა შეფასებით - „მეტწილად შეესაბამება".

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა დოკუმენტი სახელწოდებით ,,სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია''. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დადგენილია თუ რა ეტაპებითა და წესებით უნდა განხორციელდეს სკოლაში სტრატეგიული დაგეგმვა (სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს). დოკუმენტის მიხედვით სტრატეგიული დაგეგმვის პირველ ეტაპზე ხდება სკოლის პერსონალის, ბენეფიციარებისა (მშობლები, მოსწავლეები) და სხვა დაინტერესებული პირებისაგან ინფორმაციის შეგროვება დაწესებულების შიდა პროცესების, დამოკიდებულებებისა და ხედვების შესახებ. პირველი საფეხურის დასრულების შემდგომ, მიღებული და დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება სიტუაციის ანალიზი. ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით კი ხორციელდება უკვე არსებული ხედვის, მიზნების, მისიის გადახედვა/დახვეწა. დოკუმენტის თანახმად, პროცესის სრულყოფილად წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის ადმინისტრაცია/დირექტორი, რომელიც აკადემიურ

პერსონალთან, დასაქმებულებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციების შედეგად მიღებული უკუკავშირების გათვალისწინებით აყალიბებს ხედვისა და ღირებულებების საბოლოო რედაქციას.

გარდა „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიისა'', დირექტორის ბრძანებით სკოლას შექმნილი ჰქონდა შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ, დირექტორი, დირექტორის მრჩეველი, მოადგილეები, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, სამეურნეო და ტექნიკური ბაზის მენეჯერი. სკოლამ, წარმოადგინა მისია, ხედვა, ღირებულებების სამუშაო ჯგუფის N1 ოქმი და სკოლის თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის სხდომის N2 ოქმი. პირველ ოქმში საერთოდ არაა დასახელებული დამსწრე წევრების ვინაობა, ხოლო მეორე ოქმში დამსწრე პირები არიან სკოლის დირექტორი, მოადგილეები, 3 მასწავლებელი და ერთი მშობელი.

სკოლაში განხორციელებული ინტერვიუების ეტაპზე, დადასტურდა, რომ სკოლის მოსწავლეები და მშობლები არ იცნობდნენ სკოლის მისიას. მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ სკოლას გააჩნდა ხედვა და არ იცოდნენ ხედვის შინაარსიც. სკოლას სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად არ აქვს წარმართული მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესი. ასევე, შემუშავებული ფილოსოფიის განხილვა განხორციელებულია სხვადასხვა ჯგუფების მიერ. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ზემოხსენებული ჯგუფები ვერ უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობას, მათ შორის ვერც მოსწავლეების მონაწილეობას.

სკოლამ ვერ წარმოადგინა „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში“ აღწერილი შემუშავების პროცედურის შესაბამისი მასალები (მაგ.: პერსონალის, ბენეფიციარებისა (მშობლები, მოსწავლეები) და სხვა დაინტერესებული პირებისაგან ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი), რომლითაც დადასტურდებოდა, რომ არსებული ხედვა და მისია შემუშავდა სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობით და მოსაზრებების გათვალისწინებით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლის ფილოსოფიის გადახედვა/შემუშავება არ განხორციელებულა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლამ უნდა უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მათი შეხედულებებისა და ინტერესების გათვალისწინებით ფილოსოფიის ფორმირება, კერძოდ, დირექციის/ადმინისტრაციის გარდა პროცესში უნდა ჩართოს თანამშრომელი, მოსწავლე, მშობელი, რომლებიც შეძლებენ სასკოლო საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების დაფიქსირებას. საბოლოოდ, აღნიშნული პროცესი შესაძლებელს გახდის მისია, ხედვა და ღირებულებები ჩამოყალიბდეს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის აზრის გათვალისწინებით. <u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

სკოლამ დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა, რომ სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდება სკოლის ფილოსოფიის სასკოლო საზოგადოებისათვის წერილობითი მიწოდება/გაზიარება და უკუკავშირის მიღება. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.02.2025-15.06.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა „მეტწილი”.

აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით სკოლას დამატებით არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, თუმცა ვადა, რომელიც სკოლას მითითებული აქვს შესაბამისობის გეგმაში ჯერ არ არის დამდგარი. სკოლას შესაძლებლობა აქვს 2025 წლის 15 ივნისამდე განახორციელოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობები. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", შეიცვალა შეფასებით - „მეტწილად შეესაბამება".

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის მიერ წარმოდგენილი ,,სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით" დადგენილია თუ რა ეტაპებითა და წესებით უნდა განხორციელდეს სკოლაში სტრატეგიული დაგეგმვა. დოკუმენტის თანახმად, ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ეტაპზე სკოლის დირექტორი აქტიურ კომუნიკაციას ამყარებს სასკოლო საზოგადოებასა და პედაგოგიურ საბჭოსთან, ისმენს მათ შენიშვნებს და რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს აღნიშნული რეკომენდაციების დასკვნით დოკუმენტებში ასახვას.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით ვერ დადგინდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლის ფილოსოფიის შემუშავების ვერცერთ ეტაპზე. სკოლამ ვერ წარმოადგინა ინფორმაციის შეგროვების, მისი ანალიზის დამადასტურებელი მასალები. სკოლის მიერ გადმოგზავნილ პედაგოგიური საბჭოს პირველ ოქმში 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვის ეტაპზე, ასევე, განხილულია სკოლის მისია ხედვა და ღირებულებებიც. თუმცა, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებმა არ იცოდნენ მათი სკოლის მისიისა და ხედვის შინაარსი.

სკოლამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტი, რომლითაც დაადასტურებდა საბოლოოდ ფორმულირებული სკოლის ფილოსოფიის სასკოლო საზოგადოებისათვის (თანამშრომელი, მოსწავლე, მშობელი) გაცნობის/გაზიარების ფაქტს/პროცესს. სკოლის ფილოსოფია განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ინტერვიუების დროს მოსწავლეებმა და მშობლებმა ვერ გაიხსენეს კონკრეტულად მათი სკოლის მისია/ხედვა ან/და მათი შინაარსი. ისინი საუბრობდნენ, მხოლოდ, ზოგადად სკოლის არსზე და იმაზე თუ რა ვალდებულებები გააჩნიათ სკოლებს კარგი მოქალაქის აღზრდის საქმეში, რაც ნებისმიერ სკოლის ვალდებულებაა და არა კონკრეტული მისია ან ხედვა.

მნიშვნელოვანია, რომ სკოლის ფილოსოფიის გაზიარება განხორციელდეს შემუშავების ეტაპიდანვე, რათა მიღწეული იყოს გაზიარების არსი და მიზანი. სკოლამ გაზიარებისთვის უნდა გამოიყენოს მრავალფეროვანი მეთოდები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობა და პროცესში მონაწილეობის ხელმისაწვდომობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ *სკოლის ფილოსოფია არ არის სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებული შემუშავების არცერთ ეტაპზე. აქედან გამომდინარე <u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>*

სკოლამ დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა, რომ სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდება სკოლის ფილოსოფიის სასკოლო საზოგადოებისათვის წერილობითი მიწოდება/გაზიარება და უკუკავშირის მიღება. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.02.2025-15.06.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა „მეტწილი".

აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით სკოლას დამატებით არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, თუმცა ვადა, რომელიც სკოლას მითითებული აქვს შესაბამისობის გეგმაში ჯერ არ არის დამდგარი. სკოლას შესაძლებლობა აქვს 2025 წლის 15 ივნისამდე განახორციელოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობები. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", შეიცვალა შეფასებით - „მეტწილად შეესაბამება".

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლას შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ აქვს განთავსებული სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - https://almasi.edupage.org/. შესაბამისად, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას, რომლის ნაწილიც არის სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა, ღირებულებები).

<u>სკოლას მიეცა რჩევა</u> მეტი ხელმისაწვდომობისათვის, თვალსაჩინო ადგილას, სკოლის შენობაში/საინფორმაციო დაფაზე გამოაკრას შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები, ასევე, ვებ-გვერდზე განათავსოს უფრო თვალსაჩინო განყოფილებაში.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერებიდან დგინდება, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს: შეზღუდული

პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სახელწოდება: კერძო სკოლა ალმასი. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- მისია, ხედვა, ღირებულებების სამუშაო ჯგუფი ოქმი;
- სკოლის თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის ოქმი;
- შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების სამუშაო ჯგუფი შექმნის ბრძანება;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა დოკუმენტი სახელწოდებით ,,სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია''. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დადგენილია თუ რა ეტაპებითა და წესებით უნდა განხორციელდეს სკოლაში სტრატეგიული დაგეგმვა. დოკუმენტის მიხედვით

სტრატეგიული დაგეგმვის პირველ ეტაპზე ხდება სკოლის პერსონალის, ბენეფიციარებისა (მშობლები, მოსწავლეები) და სხვა დაინტერესებული პირებისაგან ინფორმაციის შეგროვებას დაწესებულების შიდა პროცესების, დამოკიდებულებებისა და ხედვების შესახებ. პირველი საფეხურის დასრულების შემდგომ, მიღებული და დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება სიტუაციის ანალიზი. ანალიზისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს SWOT ან რომელიმე სხვა, აპრობირებული მეთოდოლოგია. ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ეტაპზე სკოლის დირექტორი აქტიურ კომუნიკაციას ამყარებს სასკოლო საზოგადოებასა და პედაგოგიურ საბჭოსთან, ისმენს მათ შენიშვნებს და რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში უკუკავშირის გათვალისწინებით უზრუნველყოფს დასკვნით დოკუმენტის ფორმირებას.

შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავების/ცვლილების შეტანის მიზნით, სკოლის დირექტორი ბრძანებით ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელიც შეისწავლის სკოლაში არსებულ ვითარებას სასწავლო, მატერიალური და ადამიანური რესურსების კუთხით და აღნიშნულიდან გამომდინარე შეიმუშავებს სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტს. საბოლოოდ, შვიდწლიან სტრატეგიულ და ერთწლიან სამოქმედო გეგმას ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

აღსანიშნავია, რომ სკოლას აქვს შემუშავებული მეთოდოლოგიური შინაარსის დოკუმენტი, რომლის მოთხოვნების დაცვით უზრუნველყოფილი იქნება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დოკუმენტი საჭიროებს დახვეწას, შესაბამისად, ***სკოლას მიეცა რჩევა „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში“ სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავების ეტაპები იყოს მეტად თანმიმდევრული და სისტემატიზირებული.***

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლამ წარმოადგინა 2024-2031 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა. სკოლას აღნიშნულ დოკუმენტში გამოყოფილი აქვს შვიდი სტრატეგიული მიზანი:

- სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს უზრუნველყოფა
- სასკოლო საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია
- სასწავლო და სააღმზრდელო პროცესის მუდმივი განვითარება
- ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება
- მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში
- პარტნიორებთან თანამშრომლობა, კავშირების დამყარება და მუდმივი განვითარება
- მოსწავლეთა მხარდაჭერა.

სკოლის სტრატეგიული გეგმაში გაცხადებული სტრატეგიული მიზნები ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. თუმცა სტრატეგიული გეგმა, ასევე, მოიცავს მიზნის მიღწევის გზებს, განსახორციელებელ აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს და შესრულების ვადებს. მიზნის მიღწევის თითოეულ გზასთან განსაზღვრულია ერთი განსახორციელებელი აქტივობა. თუმცა, აქტივობები დეტალურად განხილული აქვს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. სტრატეგიული გეგმის ამოცანები (სკოლის განმარტებით „მიზნის მიღწევის გზები“ წარმოადგენს ამოცანებს) თავისი შინაარსით შესაბამისობაშია სკოლის ფილოსოფიასთან, <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილი აქტივობები შესაბამისობაშია სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და გამომდინარეობს მათგან. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა წინა წლის ერთწლიანი გეგმის შესრულების

მონიტორინგი და SWOT ანალიზი. აღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლის სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის თვითშეფასებას. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ამოცანების, ამოცანების შესაბამისი აქტივობების, პასუხისმგებელი პირების, შესრულების ვადების და ინდიკატორების, შესაბამის რესურსების შესახებ ინფორმაციას. აღსანიშნავია, რომ *სკოლას ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ზოგიერთი აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელ პირად მითითებული ჰყავს მაგ.: მოსწავლეთა მხარდამჭერი ჯგუფი, სპეციალური მასწავლებელი. აღსანიშნავია, რომ სკოლამ ვერ წარმოადგინა მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება ან აღნიშნული ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი. ადმინისტრაციასთან ინტერვიუების დროს მათ აღნიშნეს, რომ სკოლაში ზემოხსენებული ჯგუფი არ ფუნქციონირებს. ასევე, სკოლაში დასაქმებული არ არის სპეციალური მასწავლებელი. აღნიშნულ თანამდებობას არ ითვალისწინებს სკოლის სხვა მარეგულირებელი დოკუმენტაციაც.*

სკოლამ დასკვნის პროექტში ასახულ წინამდებარე ხარვეზთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა, რომ 2025 წლის 29 იანვარს განხორციელდა სკოლის დოკუმენტაციაში ცვლილება (ბრძანება N2/011 და N2/012), შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა „შესრულდა" და შესაბამისობის უზრუნველყოფის ქტივობის დასრულების თარიღად მიუთითა 2025 წლის 01 თებერვალი.
ხაზგასასმელია, ის გარემოება რომ სკოლის შესაბამისობის გეგმით, შესრულების თარიღი დამდგარია. სკოლამ წარმოადგინა ბრძანებები. კერძოდ, სამოქმედო გეგმაში ცვლილების განხორციელების ბრძანება, რომლის თანახმადაც გასწორებულია მხოლოდ ერთი პასუხისმგებელი პირის დასახელება. სკოლამ არ წარმოადგინა მთლიანად განახლებული სამოქმედო გეგმა, ასევე, არ წარმოუდგენია სამოქმედო გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხი პასუხისმგებელ პირებში - მხარდაჭერის ჯგუფისა და სპეციალური მასწავლებლის გასწორებასთან დაკავშირებით. ასევე, არ წარმოუდგენია მხარდაჭერის ჯგუფის ფუნქციონირების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა სკოლის დებულებაში ცვლილების განხორციელების ბრძანება, რომლის პირველი პუნქტით დგინდება დებულებაში მხოლოდ ექთნის ფუნქციების ჩამატების საკითხი. სკოლას არ წარმოუდგენია განახლებული დებულება მტკიცებულების სახით. ასევე, არ წარმოუდგენია დებულებაში ცვლილების შეტანის საკითხი დირექტორის მოადგილეების ფუნქციების გამიჯვნასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია ხარვეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებით და ექსპერტთა ჯგუფის შეფასება დარჩა უცვლელი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ეჭვის ქვეშ დგება საკითხი, თუ რამდენად რეალისტურია ზოგადად აქტივობების შესრულების შესაძლებლობა, ვინაიდან, პასუხისმგებელ პირებში განსაზღვრული თანამდებობები სკოლაში რეალურად არ არსებობს, ასევე არ არსებობს აღნიშნულ თანამდებობებზე დასაქმებული და სკოლასთან შრომით ურთიერთობაში მყოფი პირები. შესაბამისად, <u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის

სტრატეგია. სკოლის მიერ დასახული მიზნების მონიტორინგს ახორციელებს ორგანიზაციის ადმინისტრაცია. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს კომპეტენციის შესაბამისად. შესაბამისი პასუხისმგებელი პირები შეისწავლიან საკითხს, აკვირდებიან შესრულების ინდიკატორებს და ახდენენ მათ სისტემატურ გადამოწმებას.

შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს, ახორციელებს სკოლის დირექტორი ან დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით, სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისათვის, საჭიროების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს კომპეტენციის შესაბამისად. პასუხისმგებელი პირები შეისწავლიან საკითხს, აკვირდებიან შესრულების ინდიკატორებს და ახდენენ მათ სისტემატურ გადამოწმებას.

შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს, ახორციელებს სკოლის დირექტორი ან დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი. <u>სკოლას მიეცეს რჩევა,</u> უფრო მკაფიოდ და ნათლად ჩამოაყალიბოს იმ პირთა ვინაობა, ვინც შესაძლებელია მოიაზრებოდეს დირექტორის მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფში.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი დამტკიცებულია 2024 წლის ივნისის ბოლოს, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის თარიღისთვის არ იყო დამდგარი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების ვადა და ვერ განხორციელდებოდა შედეგების გასაჯაროება.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი დამტკიცებულია 2024 წლის ივნისის ბოლო. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის თარიღისთვის არ იყო დამდგარი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების ვადა, აქედან გამომდინარე, შესრულების შედეგების ანალიზი სკოლას ვერ ექნებოდა განხორციელებული.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- წინა სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანალიზი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

დაწესებულების დოკუმენტაციის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის სტრუქტურა მოიცავს პარტნიორთა საერთო კრებას, სკოლის ადმინისტრაციას (სკოლის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, ხარისხის მართვის მენეჯერს, ბუღალტერს), დამხმარე პერსონალს (საქმისმწარმოებელს, სამეურნეო და ტექნიკური ბაზის მენეჯერს, სკოლის ექიმს, ფსიქოლოგს, ბიბლიოთეკარს), პედაგოგიურ საბჭოს (სკოლის ყველა მასწავლებელს), საგნობრივ კათედრებს, ტექნიკურ პერსონალს (დამლაგებელს, დარაჯს). სკოლამ წარმოადგინა დებულება, რომელშიც, ასევე, ჩაშენებულია სკოლის სტრუქტურა გრაფიკული სახით. წინამდებარე დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი სკოლაში არსებული თანამდებობრივი პოზიციების დასახელებები და შესაბამის პოზიციებზე დასაქმებულ პირთა სამუშაო აღწერილობები. *აღსანიშნავია, რომ სკოლას წარმოდგენილი მასალებით განსაზღვრული აქვს სკოლის ექიმის ფუნქციები. თუმცა, ვიზიტის განხორციელების დროისათვის, სკოლაში დასაქმებული იყო ექთანი, რომლის ფუნქციების შესახებ ინფორმაციასაც სკოლის დებულება არ შეიცავს. გარდა აღნიშნულისა, სკოლის სხვა მარეგულირებელ დოკუმენტაციაში გვხვდება - სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილის პოზიცია (მაგ. სასკოლო სასწავლო გეგმაში ნახსენებია, რომ კათედრების საქმიანობაზე კონტროლი ევალება სწორედ დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში). სკოლაში ადგილზე ვიზიტის დროს დადგინდა, რომ დირექტორს ჰყავს ორი მოადგილე, თუმცა სკოლის დებულებაში თითოეული მოადგილის ფუნქციები არ არის გამიჯნული.*

სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრულია ამოცანებისა და აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, რომელთა საქმიანობის სფეროსთანაც თავსებადია დაკისრებული პასუხისმგებლობები. *თუმცა, სკოლას ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ პასუხისმგებელ პირად მითითებული ჰყავს მაგ.: მოსწავლეთა მხარდამჭერი ჯგუფი, ასევე, სპეციალური მასწავლებელი. აღსანიშნავია, რომ სკოლამ ვერ წარმოადგინა მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება ან აღნიშნული ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, ასევე, სკოლაში დასაქმებული არ არის სპეციალური მასწავლებელი, შესაბამისად მის ფუნქციებსა და მოვალეობებს, სკოლის დებულება არ შეიცავს.*
სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, სკოლის დასაქმების პოლიტიკას აყალიბებს სკოლის დირექტორი,ხოლო მის რეალიზაციას აწარმოებს არმ მენეჯერი. სავარაუდოა, რომ არმ მენეჯერში სკოლა მოიაზრებს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს. თუმცა, აღნიშნულ თანამდებობაზე სკოლაში არ არის კადრი დასაქმებული, გარდა ამისა, წინამდებარე დასახელებით არც სტრუქტურაშია გათვალისწინებული პოზიცია.

სკოლამ, ვერ წარმოადგინა ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქციის დაკისრების ბრძანებები, როგორებიცაა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის/პირების, ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე უფლებამოსილი პირის, უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანებები და სხვა.

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეული - პედაგოგიური საბჭო, ფუნქციების შესრულებისას ხელმძღვანელობს სკოლის მიერ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისთვის შემუშავებული დებულებით. პედაგოგიური საბჭოს დებულებაში გაწერილია, რომ პედსაბჭო იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სკოლიდან გარიცხვაზე, თუ პედაგოგიური და დისციპლინარული სხვა ღონისძიებები გატარებულია და შედეგი არ ჩანს. აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და სკოლის დირექტორის ფუნქციებს, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვა/ამორიცხვა/სტატუსის შეჩერება და სხვა. გარდა ამისა, სკოლის მიერ წარმოდგენილი პედაგოგიური საბჭოს ოქმის თანახმად, სკოლის პედსაბჭოს მიერ მოხდა 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება, მაშინ როდესაც აღნიშნული ფუნქცია სკოლის დებულების თანახმად, სკოლის დირექტორის პრეროგატივაა. ამასთან, გაურკვეველია თუ ვისი ფუნქციაა პედსაბჭოს თავმჯდომარის არჩევა/დანიშვნა. ვინაიდან, პედაგოგიური საბჭოს დებულების თანახმად, პედსაბჭოს თავმჯდომარეს, თავისი მოადგილეებიდან ერთ-ერთს, ნიშნავს დირექტორი. ხოლო, სკოლის დებულების მიხედვით, პედაგოგიურ საბჭოს ხელმძღვანელობს პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც 3 წლის ვადით აირჩევა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

საგნობრივ კათედრებთან მიმართებით, შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლას არ წარმოუდგენია კათედრის მუშაობის დებულება. გარდა ამისა, კათედრის თავმჯდომარის არჩევის/დანიშვნის საკითხი ორაზროვნადაა განსაზღვრული. კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმაში მითითებულია, რომ მას ნიშნავს დირექტორი, ხოლო სკოლის დებულებით, კათედრა თავად ირჩევს თავმჯდომარეს. როგორც პედსაბჭოს თავმჯდომარის, ასევე, აღნიშნულ შემთხვევაშიც გაურკვეველია თუ ვისი ფუნქციაა რეალურად თავმჯდომარის არჩევა/დანიშვნა.სკოლას მიეცეს რჩევა, უზრუნველყოს კათედრების მუშაობის მარეგულირებელი დოკუმენტის ცალკე შემუშავება, რათა გაბნეულად არ იყოს კათედრის მუშაობის მექანიზმი დარეგულირებული და თავიდან აიცილოს დოკუმენტაციაში ურთიერთსაწინააღმდეგო ჩანაწერები.

სკოლის ზოგიერთი მასწავლებლები ასწავლიან რამდენიმე საგანს, ასევე, სკოლის დარაჯი ამავდროულად არის სკოლის დამლაგებელიც. თუმცა, აღნიშნულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ეხება მხოლოდ ერთ პოზიციას. კერძოდ, მასწავლებლის ხელშეკრულებებში არ არის დაკონკრეტებული ყველა ის საგანი, რომელსაც ასწავლის აღნიშნული მასწავლებელი, ხოლო მეორე შემთხვევაში გაფორმებულია მხოლოდ დარაჯის ხელშეკრულება. შესაბამისად, ფუნქციები არ არის მკაფიოდ რეგულირებული სკოლის ხელშეკრულებებში.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 3.1.1.1 ინდიკატორთან მიმართებით დაფიქსირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით, ასევე, წარმოდგენილია თანდართული დოკუმენტაცია. სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა, რომ 2025 წლის 29 იანვარს განხორციელდა სკოლის დოკუმენტაციაში ცვლილება (ბრძანება N2/011, N2/012, N2/013), შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა „შესრულდა" და შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის დასრულების თარიღად განსაზღვრა 2025 წლის 01 თებერვალი. ხაზგასასმელია, ის გარემოება რომ სკოლის შესაბამისობის გეგმაზე დაყრდნობით, შესრულების თარიღი დამდგარია.

სკოლამ მტკიცებულებების სახით წარმოადგინა გარკვეული დოკუმენტაცია. კერძოდ, სამი ბრძანება: სკოლის სამოქმედო გეგმაში, დებულებასა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე. სკოლის ორი ბრძანების პირველი პუნქტებით დაკონკრეტებულია თუ რა სახის ცვლილებელი განახორციელა სკოლამ ამა თუ იმ დოკუმენტში. თუმცა, თავად შეცვლილი დოკუმენტაცია (დებულება, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა), მტკიცებულების სახით სკოლას არ აქვს წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, ბრძანებებით ხარვეზი აღმოფხვრა მხოლოდ შემდეგ საკითხებთან მიმართებით: დებულებაში განსაზღვრა ექთნის ფუნქციები და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით სკოლის დასაქმების პოლიტიკასა და მის რეალიზებაზე პასუხისმგებლად განსაზღვრა სკოლის დირექტორი.

რაც შეეხება ინდიკატორში აღწერილ სხვა ხარვეზებს, არ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კერძოდ:

1. *სკოლამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმაში ცვლილების განხორციელების ბრძანება, რომლის თანახმადაც გასწორებულია მხოლოდ ერთი პასუხისმგებელი პირის დასახელება. სკოლამ არ წარმოადგინა მთლიანად განახლებული სამოქმედო გეგმა, ასევე, არ წარმოუდგენია სამოქმედო გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხი პასუხისმგებელ პირებში - მხარდაჭერის ჯგუფისა და სპეციალური მასწავლებლის გასწორებასთან დაკავშირებით. ასევე, არ წარმოუდგენია მხარდაჭერის ჯგუფის ფუნქციონირების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი.*
2. *სკოლამ წარმოადგინა სკოლის დებულებაში ცვლილების განხორციელების ბრძანება, რომლის პირველი პუნქტით დგინდება დებულებაში მხოლოდ ექთნის ფუნქციების ჩამატების საკითხი. სკოლას არ წარმოუდგენია განახლებული დებულება მტკიცებულების სახით ასევე, არ წარმოუდგენია დებულებაში ცვლილების შეტანის საკითხი დირექტორის მოადგილეების ფუნქციების გამიჯვნასთან დაკავშირებით.*
3. *საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად, უფლებამოსილი პირი არის სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირი, რომელიც სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უზრუნველყოფს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას იმ სკოლებში, სადაც არ არის მანდატური. სკოლამ წარმოადგინა საგანგებო შტაბის შექმნის ბრძანება, თუმცა სკოლის მხრიდან წარმოდგენილი არ არის საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ დოკუმენტაცია.*
4. *სკოლას არ წარმოუდგენია ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე უფლებამოსილი პირის შესახებ ინფორმაცია;*
5. *სკოლას არ წარმოუდგენია პედაგოგიური საბჭოს დებულების/ფუნქციების ცვლილებაზე რაიმე დამატებითი მტკიცებულება;*
6. *სკოლას არ წარმოუდგენია დამატებით ხელშეკრულებები, რომლებშიც ფუნქციები იქნებოდა მკაფიოდ რეგულირებული თითოეული პოზიციის შესაბამისად.*

მიუხედავად იმისა, რომ სკოლამ ხარვეზები ჩათვალა აღმოფხვრილად, ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა ხარვეზების სრულად აღმოფხვრასთან დაკავშირებით ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების გამო. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება არ შეცვლილა.

დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ არ არის განსაზღვრული. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლით და 3.1.1.1 ინდიკატორის აღწერილობიდან გამომდინარე დადგინდა, რომ ***ფუნქციების და პასუხისმგებლობების გადანაწილება არ არის სრულყოფილი.***

სკოლის პედაგოგიურ საბჭოს პირველ სხდომაზე შეთანხმებული აქვს სამუშაო გეგმა, რომელიც მოიცავს მხოლოდ პედაგოგიური საბჭოს სხდომების რაოდენობას და სავარაუდო თარიღებს. ხოლო, რა საკითხების განხილვა იგეგმება წინასწარ არაა დაკონკრეტებული. ასევე, რამდენიმე საგნობრივმა კათედრამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის სამუშაო გეგმა.

როგორც წინა ინდიკატორის აღწერილობიდან დადგინდა, ორაზროვანია თუ ვისი პრეროგატივაა პედაგოგიური საბჭოს და კათედრის თავმჯდომარეების არჩევის/დანიშვნის საკითხი.

გარდა ამისა, სკოლის მიერ შემუშავებული დებულებით, რიგ შემთხვევებში გაწერილია და დაკონკრეტებულია თუ ვის ექვემდებარება და ვის წინაშე არის უშუალოდ ანგარიშვალდებული საქმიანობის განხორციელებისას ზოგიერთი თანამშრომელი. მაგალითად, აღნიშნულია, რომ დირექტორის მოადგილე იბარებს კათედრებისაგან ანგარიშებს და აწვდის მათ სკოლის დირექტორს, ასევე, სემესტრისა და წლის ბოლოს პედაგოგიურს საბჭოს წარუდგენს თავისი სამუშაოს შესრულების ანგარიშს. სკოლის დირექტორი, საჭიროების შემთხვევაში პარტნიორთა კრებას წარუდგენს საგანმანათლებლო და ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშს. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ანგარიშვალდებულების სისტემა მოიცავს, მხოლოდ რამდენიმე რგოლსა და პოზიციას, სხვა პოზიციებზე დასაქმებული პირები, თავიანთი ფუნქცია-მოვალეობების შესრულების ნაწილში ვის მიმართ არიან ანგარიშვალდებულები ვერ დგინდება. გარდა აღნიშნულისა, დებულების მიხედვით, პედაგოგიური საბჭო არის სკოლის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო, რომელშიც შედის სკოლის ყველა მასწავლებელი. ხოლო, პედაგოგიური საბჭოს დებულების შესაბამისად, პედსაბჭოს შემადგენლობაში შედიან: სკოლის დირექტორი, მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, პედაგოგები, ფსიქოლოგი, ბიბლიოთეკის გამგე და სკოლის თვითმმართველობის სხვა ხელმძღვანელი პირები. ასევე, მოსწავლეები შეიძლება არჩეული იყვნენ პედსაბჭოს შემადგენლობაში. სკოლის მიერ მოწოდებულ პედაგოგიური საბჭოს ოქმში, გადაწყვეტილების მიმღებ პირთა რაოდენობა შემოიფარგლება 21 მასწავლებლით. აღნიშნული

ბუნდოვანებები აჩენს ეჭვს, რომ **სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს ვერ შეუწყობს სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, რადგან ფაქტობრივად, რიგ შემთხვევებში გაურკვეველია სტრუქტურული ერთეულების ფორმირების, მათი შემადგენლობის და ფუნქციების საკითხები.**

პედაგოგიურ საბჭოში მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე იქმნება ცალკეული სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ასრულებენ საბჭოს დავალებებს და ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე. სკოლამ ვერ წარმოადგინა ცალკეული სამუშაო ჯგუფების შექმნის, არსებობის, შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 3.1.1.2 ინდიკატორთან მიმართებით დაფიქსირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით, ასევე, წარმოდგენილია თანდართული დოკუმენტაცია. სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა, რომ 2025 წლის 29 იანვარს განხორციელდა სკოლის დოკუმენტაციაში ცვლილება (ბრძანება N2/011), შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა „მეტწილი" და შესაბამისობის უზრუნველყოფის ქტივობის დასრულების თარიღად განსაზღვრა 2025 წლის 01 თებერვალი. ხაზგასასმელია, ის გარემოება რომ სკოლის შესაბამისობის გეგმაზე დაყრდნობით, შესრულების თარიღი დამდგარია.

სკოლამ მტკიცებულებების სახით წარმოადგინა ბრძანება: სკოლის სამოქმედო გეგმაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე, რომლის თანახმადაც გასწორებულია მხოლოდ ერთი პასუხისმგებელი პირის დასახელება. სკოლამ არ წარმოადგინა მთლიანად განახლებული სამოქმედო გეგმა, ასევე, არ წარმოუდგენია სამოქმედო გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხი პასუხისმგებელ პირებში - მხარდაჭერის ჯგუფისა და სპეციალური მასწავლებლის გასწორებასთან დაკავშირებით. ასევე, არ წარმოუდგენია მხარდაჭერის ჯგუფის ფუნქციონირების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი.

გარდა აღნიშნულისა, ხარვეზი შეეხებოდა იმასაც, რომ სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს ვერ უწყობდა სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო საქმიანობას. ინდიკატორის აღწერაში დეტალურად იქნა განხილული პედაგოგიური საბჭოს ფუნქციებთან და პასუხისმგებლობებთან მიმართებით გამოკვეთილი შეუსაბამობები. თუმცა, არგუმენტირებული პოზიციით სკოლას არ წარმოუდგენია პედაგოგიური საბჭოს ფუნქციების/პასუხისმგებლობების ცვლილებაზე რაიმე დამატებითი მტკიცებულება;

მიუხედავად იმისა, რომ სკოლამ შესრულების ტიპში მიუთითა „მეტწილი", ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების გამო. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება არ შეცვლილა.

დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება არ ემთხვევა სკოლის მიერ განხორციელებულ პრაქტიკულ მმართველობით საქმიანობას. გარდა ამისა, როგორც წინა ინდიკატორის აღწერაში იკითხება, სამოქმედო

გეგმაში პასუხისმგებელ პირებში მითითებულია ისეთი თანამდებობები, რომლებიც სკოლის სხვა მარეგულირებელი დოკუმენტაციით არაა გათვალისწინებული და არც ვიზიტის დროისათვის იყვნენ შესაბამისი კადრები დასაქმებულები. აქედან გამომდინარე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება სკოლის საქმიანობის შედეგად საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნების მიღწევის შესაძლებლობა. <u>შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დებულება;
- პედაგოგიური საბჭოს დებულება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც არეგულირებს პერსონალის მართვის საკითხებს. კერძოდ, სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს პერსონალის შერჩევის, მიღების, შეფასების და პროფესიული განვითარების რეგულაციებს.
სკოლას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია შრომითი ურთიერთობის რეგულაციები და პირობები, შრომითი დისციპლინური გადაცდომები, გასატარებელი ზომები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად, სკოლაში სამუშაოდ მიღებულ ყველა თანამშრომელთან სკოლის დირექტორი აფორმებს ხელშეკრულებას, რომელშიც უნდა აღინიშნოს თანამდებობა, თანამდებობრივი სარგო, უფლებამოსილება-ვალდებულებები და დავის წარმოშობის შემთხვევაში-გასაჩივრების მექანიზმები.

საქართველოს ორგანული კანონის, შრომის კოდექსის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები. მაგ.: შრომის ანაზღაურება წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების ერთ-ერთ არსებით პირობას.სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებშიც ანაზღაურების ნაწილი არის გაურკვეველი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 3.1.2.1 ინდიკატორთან მიმართებით დაფიქსირებულ ხარვეზთან დაკავშირებით. სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა - ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა. შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა „მეტწილი" და შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის დასრულების თარიღად განსაზღვრა 2025 წლის 01 თებერვალი. ხაზგასასმელია, ის გარემოება რომ სკოლის შესაბამისობის გეგმაზე დაყრდნობით, შესრულების თარიღი დამდგარია. სკოლამ თანდართულ დოკუმენტად, მტკიცებულების სახით გადმოაგზავნა მხოლოდ ერთი ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ხელშეკრულების არსებით პირობებს, მათ შორის შრომის ანაზღაურებას. გარდა ამისა, სკოლამ გადმოაგზავნა ახალი მასალები კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით და ახალი ბიოლოგიის მასწავლებლის ხელშეკრულება. აღნიშნულ პირს დიპლომით უდასტურდება ბიოლოგიისა და ეკოლოგიის მასწავლებლის კვალიფიკაცია, თუმცა მასთან გაფორმებულია მასწავლებლის მაძიებლის ხელშეკრულება, ხელშეკრულების საფუძველში კი მითითებული აქვს უფროსი მასწავლებლის ხელშეკრულებისათვის საჭირო შესაბამისი სამართლებრივი ნორმები. აქედან გამომდინარე ახალ მასწავლებელთან, ხელშეკრულება გაფორმებულია არასწორი ფორმით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა შეფასება წინამდებარე ინდიკატორთან მიმართებით დარჩა უცვლელი.
დგინდება, რომ პერსონალის მართვის პროცესები არ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. <u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის განხორციელების მიზნით, სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არეგულირებს ვაკანსიის ან/და ახალი პოზიციის საჭიროების გაჩენის შემთხვევაში სკოლის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს. წინამდებარე წესის შესაბამისად, მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე ცხადდება კონკურსი, ხოლო სხვა დასაქმებული შემთხვევაში დაინტერესებული პირის მიერ სკოლაში განცხადების (ზეპირი ან/და წერილობითი) წარდგენით და სკოლის დირექტორთან გასაუბრების საფუძველზე. სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით თანამშრომლის სამუშაოზე მიღება შესაძლებელია კონკურსის საფუძველზეც.

ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესაბამისად, სკოლაში ძირითადი მასწავლებლისათვის დროებით შრომითი ურთიერთობის შეჩერების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისთვის, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია დროებით არმყოფი პირის ჩანაცვლების მიზნით, ვაკანტური ადგილი (საგნის ვაკანტური საათები) შეავსოს კონკურსის გამოცხადების გარეშე. მოცემულ შემთხვევაში, დროებით არმყოფი მასწავლებლის ნაცვლად მიღებულ მასწავლებელთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება დროებით არმყოფი პირის ჩანაცვლების მიზნით, ძირითადი მასწავლებლის სამსახურში გამოცხადებამდე. გარდა ამისა, სკოლის დებულებაში დეტალურადაა გაწერილი თუ ვინ ასრულებს მოვალეობებს სკოლაში კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმებული პირის არყოფნის შემთხვევაში. აღნიშნული პროცესები წარმოადგენს რესურსების მართვის ინტერვენციულ და პრევენციულ პოლიტიკას.
<u>შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ადამიანური რესურსების შერჩევის პროცედურა სკოლას გაწერილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში. სკოლა ვაკანსიებს აცხადებს დასაქმების პორტალზე teacherjobs.ge. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით გათვალისწინებულია კონკურსის ეტაპები, საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება. ***teacherjobs.ge-ს გვერდზე სკოლის მიერ გამოცხადებული ვაკანსიების შესწავლით დადგინდა, რომ ვაკანსიის გამოცხადებისას სკოლას არ აქვს განსაზღვრული საკონკურსო პირობები, სკოლის დოკუმენტში კი მითითებულია, რომ საკონკურსო პირობებს კანონმდებლობის საფუძველზე, ადგენს სკოლის დირექტორი.***
სკოლამ ვერ წარმოადგინა საკონკურსო კომისიის ოქმები, რომლითაც განხორციელდა სკოლაში მასწავლებლების შერჩევა. ასევე, ვერ წარმოადგინა კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანებები. ***ამასთან, არ იქნა წარმოდგენილი დირექტორის მიერ დადგენილი საკონკურსო პირობებიც. შესაბამისად, ვერ დადგინდა, საკონკურსო კომისიის შემადგენლობის და საკონკურსო პირობების შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.***

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრულია სამედიცინო პერსონალის შერჩევა სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ. ***შრომითი ხელშეკრულების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას დასაქმებული ჰყავს ექთანი. სკოლამ ვერ წარმოადგინა ექთნის კონკურსის წესით მიღების დამადასტურებელი საკონკურსო დოკუმენტაცია. გარდა ამისა, teacherjobs.ge-ს გვერდზე სკოლას არაერთხელ აქვს დადებული ექიმის ვაკანსია. თუმცა ვიზიტის დროისათვის სკოლას ექიმი არ ჰყავდა. სკოლამ ვერ წარმოადგინა კონკურსის ჩაშლის შესაბამისი მასალები.***

სკოლას შინაგანაწესითა და ადამიანური რესურსების მართის პოლიტიკით განსაზღვრული აქვს თანამშრომელთა პირად საქმეში შესანახი დოკუმენტაციის ჩამონათვალი. აღნიშნული ჩამონათვალი არ არის თანხვედრაში ერთმანეთთან და განსხვავებულია ორივე დოკუმენტში. ***შესაბამისად, სკოლას მიეცა <u>რჩევა.</u>*** *სკოლის მიერ დადგენილი, პირად საქმეში შესანახი დოკუმენტაციის ნუსხა შესაბამისობაში მოიყვანოს კანონმდებლობასთან და ერთნაირად დაარეგულიროს შინაგანაწესსა და ადამიანური რესურსების მართის პოლიტიკაში.*

სკოლამ წარმოადგინა თანამშრომლების პირადი საქმეები. რომლის შესწავლითაც დადგინდა, რომ მათში სრულყოფილად არ არის განთავსებული სკოლის მიერ გათვალისწინებული დოკუმენტაცია, კერძოდ, ნასამართლეობის ცნობები (ნასამართლეობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ) სრულყოფილად არ აქვს 34 თანამშრომლიდან დაახლოებით 20-ზე მეტ პირს. ერთ მასწავლებელს არ აქვს წარმოდგენილი დიპლომი. გარდა ამისა, სკოლამ ვერ წარმოადგინა 2 თანამშრომლის პირადი საქმე (მრჩეველი, დირექტორი), შესაბამისად, ვერ შემოწმდა აღნიშნულ პირთა პირად საქმეში განსათავსებელი დოკუმენტაცია.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, თუმცა 3.1.2.3 ინდიკატორთან მიმართებით სკოლას არ წარმოუდგენია შესაბამისობის გეგმა. ექსპერტმა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა სკოლის მიერ თანდართული დოკუმენტაცია. კერძოდ,

1. ***teacherjobs.ge-ს გვერდზე, სკოლას, იანვრის თვეში დადებულ ვაკანსიებში განსაზღვრული აქვს საკონკურსო პირობები.***
2. ***სკოლამ წარმოადგინა ახალი ბიოლოგიის მასწავლებლის კონკურსის ოქმები, თუმცა სკოლის მხრიდან წარმოდგენილი არ იქნა კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანებები, ექიმის კონკურსის ჩაშლის მასალები და ექთნის კონკურსის ჩატარების მასალები, რომლებიც ვიზიტის განმავლობაში მოთხოვილ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ.***
3. ***სკოლამ ვერ წარმოადგინა ნასამართლეობის ცნობები (ნასამართლეობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ), რომლებიც სრულყოფილად არ იყო განთავსებული დასაქმებულთა პირად საქმეებში.***

4. *სკოლამ მტკიცებულების სახით გადმოაგზავნა მხოლოდ დირექტორის დიპლომი, პირადობის ასლი და მრჩევლის პირადობის ასლი. სკოლის შესაბამისობის გეგმიდან, რომელიც 3.1.2.4. ინდიკატორთან მიმართებით აქვს გაწერილი, ირკვევა, რომ პირადი საქმის დოკუმენტაციის სრულყოფას განახორციელებს 2025 წლის 01 მარტამდე. ამ ნაწილში, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია.*

ვინაიდან, 3.1.2.3 ინდიკატორთან მიმართებით სკოლას არ წარმოუდგენია შესაბამისობის გეგმა ან/და ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სრულყოფილად, ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასება ინდიკატორთან მიმართებით არ შეცვლილა. შესაბამისად, არ დასტურდება კადრების მოზიდვა და დასაქმება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლის თანამშრომელთა ბაზის გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია 34 თანამშრომელი, მათგან 26 დასაქმებულია მასწავლებლის პოზიციაზე, ხოლო დანარჩენი პირები ადმინისტრაციულ პოზიციებზე. სკოლას განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეულ ადმინისტრაციულ პოზიციასთან მიმართებით, ხოლო მასწავლებლის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია კანონმდებლობით. ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

მასწავლებელთა ბაზის გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია 14 უფროსი და 3 წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე პირი, ასევე, 4 მასწავლებლობის მაძიებელი. *სკოლის დოკუმენტაციისა და პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ სკოლაში სპორტის მასწავლებლის პოზიციაზე, დაწყებით კლასებში, დასაქმებულები არიან პირები, რომლებიც დიპლომით არიან დაწყებითების პედაგოგები, ერთ პედაგოგს პირად საქმეში არ ჰქონდა დიპლომი, შესაბამისად ვერ მოხერხდა მისი პირადი საქმისა და კვალიფიკაციის სრულყოფილად შეფასება. გარდა ამისა, მათემატიკის პედაგოგების კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურებზე. დაწყებით საფეხურზე დასაქმებულია დიპლომით ქართულის მასწავლებელი, რომელსაც აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი, თუმცა სკოლას არ წარმოუდგენია სხვა დამატებითი დოკუმენტი, რომლითაც დადგინდებოდა, რომ მასწავლებელს აქვს მათემატიკის საათების ჩატარების უფლება. ასევე, საბაზო, საშუალო საფეხურზე მასწავლებლები არიან დიპლომით ფიზიკოსები. საქართველოს მთავრობის 241-ე დადგენილების თანახმად, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნის – ფიზიკის ან ტექნოლოგიების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნის/საგნების მასწავლებელს დიპლომით უნდა უდასტურდებოდეს აღნიშნული საგნებიდან (გარდა იმ საგნისა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს სქემით განსაზღვრული ერთ-ერთი სტატუსი) ერთ-ერთი საგნის სწავლების უფლება ან დიპლომის დანართით უნდა უდასტურდებოდეს შესაბამისი საგნის გავლა; სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა დიპლომის დანართი, რომლის საფუძველზეც ზემოაღნიშნულ პირებს დაუდასტურდებოდათ მათემატიკის საგნის გავლა. გარდა აღნიშნულისა, სკოლამ ვერ წარმოადგინა*

2 თანამშრომლის პირადი საქმე (მრჩეველი, დირექტორი) შესაბამისად, ვერ მოხერხდა მათი კვალიფიკაციის შემოწმება და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 3.1.2.4 ინდიკატორთან მიმართებით დაფიქსირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით: 1. სკოლამ შესაბამისობის გეგმაში მიუთითა, რომ განხორციელდა სპორტის მასწავლებლისათვის საათების გადაცემა (ბრძანება N1/006). შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა „შესრულდა" და დასრულების თარიღად მიუთითა 2025 წლის 01 სექტემბერი. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის შესაბამისობის გეგმაზე დაყრდნობით, შესრულების თარიღი არ დამდგარია, სკოლას მითითებული აქვს, რომ წინამდებარე აქტივობა შესრულებულია და გადმოგზავნილი აქვს შესაბამისი მტკიცებულებაც - ბრძანება. ბრძანების შინაარსიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ სპორტის მასწავლებელს, რომლის კვალიფიკაციაც აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს, დაემატა 6 საათი და ჯამში მისმა დატვირთვამ შეადგინა 16 საათი. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმიდან გამომდინარე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კვირეული საათობრივი დატვირთვა ყველა კლასში ჯამურად შეადგენს 22 საათს. აღსანიშნავია, რომ მტკიცებულების სახით სკოლამ გადმოაგზავნა, მხოლოდ ბრძანება, თუმცა საათობრივი დატვირთვა მათი მხრიდან არ იქნა მოწოდებული. შესაბამისად გაურკვეველია თუ რომელ კლასებში გადაუნაწილდა სპორტის მასწავლებელს დამატებითი საათები და ასევე, ვერ დგინდება ვინ ახორციელებს დარჩენილი 6 საგაკვეთილო საათის ჩატარებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება არ შეცვლილა სპორტის მასწავლებლის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

2. სკოლამ, მათემატიკის მასწავლებელის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, შესაბამისობის გეგმაში, შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა - კონკურსის გამოცხადება. შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა „მეტწილი" და დასრულების თარიღად მიუთითა 2025 წლის 01 სექტემბერი. სკოლამ მტკიცებულების სახით გადმოაგზავნა ერთ-ერთი პედაგოგის დიპლომი და მისი დანართი, რომლითაც დგინდება სკოლის მასწავლებლის - ლ.ს. -ის მიერ მათემატიკის საგნის გავლა. თუმცა სკოლას არ გამოუგზავნია მათემატიკის დანარჩენ მასწავლებლებთან მიმართებით შესაბამისი დოკუმენტაცია.

3. სკოლამ დირექტორის, მრჩევლის პირადი საქმისა და ერთი მასწავლებლის დიპლომის საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისობის გეგმაში, შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა - დოკუმენტაციის სრულყოფა. შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა „მეტწილი" და დასრულების თარიღად მიუთითა 2025 წლის 01 მარტი. სკოლამ მტკიცებულების სახით გადმოაგზავნა მხოლოდ დირექტორის დიპლომი, პირადობის ასლი და მრჩევლის პირადობის ასლი. გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან დგინდება დირექტორის კვალიფიკაცია, რომელიც შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებთან. სკოლას არ წარმოუდგენია მასწავლებლის დიპლომი, შესაბამისად კვლავ ვერ განხორციელდა მისი კვალიფიკაციის შემოწმება. წინამდებარე ხარვეზის აღმოფხვრის ვადა, რომელიც სკოლას მითითებული აქვს შესაბამისობის გეგმაში ჯერ არ არის დამდგარი. სკოლას შესაძლებლობა აქვს 2025 წლის 01 მარტამდე

განახორციელოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობა და უზრუნველყოს დირექტორის პირადი საქმის სრულყოფა და მრჩეველის დიპლომის წარდგენა. ამ ნაწილში, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასება უცვლელი დარჩა მასწავლებლის დიპლომთან დაკავშირებით, ვინაიდან ვერ განხორციელდა მისი კვალიფიციურობის შემოწმება და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა.

ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია 3.1.2.4. ინდიკატორის ხარვეზების მომავალში აღმოფხვრის გეგმასთან დაკავშირებით, სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების არსიდან გამომდინარე. კერძოდ, დადგინდა, რომ სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შეუსაბამო მასწავლებლების მეშვეობით. შესაბამისად, ინდიკატორში აღწერილი ხარვეზი წარმოადგენს წარსულში დამდგარ ფაქტს. გარდა ამისა, სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად განსაზღვრა 2025 წლის 01 სექტემბერი, რაც ნიშნავს იმას, რომ არაკვალიფიციური მასწავლებლების მეშვეობით გაგრძელდება სასწავლო პროცესის წარმართვა მომდევნო სემესტრის განმავლობაში. ასევე, ექსპერტთა ჯგუფს არ მიეცა შესაძლებლობა შეესწავლა ერთ-ერთი მასწავლებლის დიპლომი და შესაბამისად, მისი კვალიფიკაცია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასება ინდიკატორთან მიმართებით არ შეცვლილა.

დგინდება, რომ პერსონალის კვალიფიკაცია არ არის შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან და <u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლაში ფუნქციონირებს 4 საგნობრივი კათედრა. კათედრებს გააჩნიათ წლის დასაწყისში დამტკიცებული სამოქმედო გეგმები. სკოლამ წარმოადგინა კათედრების ოქმები და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. სკოლაში, ასევე, ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული - პედაგოგიური საბჭო. სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. გასაუბრების ეტაპზე, ადმინისტრაცია, მასწავლოებლები და თანამშრომლები აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში არის ოჯახური, კოლეგიალური გარემო და ისინი მუშაობენ ერთ გუნდად.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული.</u>

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს წახალისების ფორმები. კერძოდ, დღესასწაულებთან დაკავშირებით, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის და სხვა საფუძვლით წახალისება. გაწერილი აქვს წახალისების ფორმები, როგორიცაა მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით დაჯილდოება და სხვა. სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ ხშირია სიტყვიერი წახალისება, თუმცა წახალისების რომელიმე ზომის გამოყენებისას არ ახდენს დოკუმენტირებას.

სკოლას მიეცა რჩევა. *დასაქმებულების წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და წახალისების ფორმების გამოყენების შემთხვევაში განახორციელოს მათი დოკუმენტირება.*

შესაბამისად, სკოლის დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამშრომელთა ბაზა;
- მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა;
- Teacherjobs.ge-ზე გამოცხადებული კონკურსები;
- თანამშრომელთა ხელშეკრულებები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- კათედრების სხდომების ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმებს და ეტაპებს.

დოკუმენტის თანახმად, სკოლა პირველ ეტაპზე ახდენს პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირებას, შემდგომ, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/დაგეგმვას, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის რეგულარულ შეფასებას.
აღნიშნული მიზნების მისაღწევად, სკოლა:

- ახორციელებს საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგს, სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის მიზნით;
- რეგულარულად ამოწმებს მასწავლებელთა პროფესიულ ცოდნასა და უნარებს;
- სასწავლო წლის განმავლობაში შერჩევითობის პრინციპით ესწრება გაკვეთილებს;

გარდა აღნიშნულისა, დოკუმენტის თანახმად, სკოლაში მოქმედებს პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები შემდეგი სახით:

- სხვადასხვა პროექტების ფარგლებში სკოლის თანამშრომლობით დაგეგმილი ტრენინგები/სემინარები/სამუშაო შეხვედრები;
- სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სკოლის თანამშრომლობის ფარგლებში დაგეგმილი ტრენინგები/სემინარები/სამუშაო შეხვედრები;

სკოლა,როგორც პედაგოგიური, ასევე, ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის დამატებით უზრუნველყოფს შემდეგ ღონისძიებებს:

- ტრენინგები და სამეცნიერო კონფერენციებზე მივლინება;
- ანაზღაურებადი სასწავლო შვებულება და სხვა.

ასევე, სკოლის სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები პრიორიტეტებში ითვალისწინებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას და შესაბამის აქტივობებს.

გარდა ამისა, სკოლაში დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის დებულება, რომლის თანახმადაც დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება). დოკუმენტის მიხედვით, თუ შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გარკვეული ხარვეზებია, ან მასწავლებლები საჭიროებენ გარკვეულ საკითხზე ტრენინგის ჩატარებას ადგილობრივი რესურსით, ან მოწვეული სპეციალისტების დახმარებით, სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთათვის ტრენინგების ჩატარებას და მათ პროფესიულ განვითარებას.

<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u> *ადამიანური რესურსების მართის პოლიტიკაში, ასევე, გაითვალისწინოს მასწავლებლების გარდა სხვა თანამშრომლების პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირებისა და საჭიროებების გამოვლენის მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის დებულებით, ასევე, გაითვალისწინოს სხვა თანამშრომლების შესრულებული სამუშაოს მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების შემდგომ განსახორციელებელი ღონისძიებები.*

დგინდება, რომ სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. შესაბამისად, <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული საჭიროებების დადგენა და შემდგომი რეაგირების მექანიზმები გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, სკოლა არ ახდენს პრაქტიკაში მსგავსი მეთოდების გამოყენებას. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების კვლევის მიზნით შემუშავებული კითხვარები, თუმცა აღნიშნულ კითხვარში მხოლოდ ერთი შეკითხვა ეხებოდა პროფესიულ განვითარებას. კერძოდ შეკითხვა მდგომარეობდა შემდეგში - „როგორ შეაფასებდით ჩვენს სკოლაში შემდეგ მიმართულებას - სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მექანიზმები“. აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხი მეტწილად შეფასებულია 2 და 3 ქულით (მაქსიმალურ ქულას წარმოადგენდა - 4). ამასთან, სხვა კითხვის პასუხებში, მასწავლებლების ნაწილი ეფექტურ მუშაობაში ხელშემშლელ ფაქტორად ტრენინგების ნაკლებობას ასახელებს. საყურადღებოა, რომ წინამდებარე კითხვარი შევსებული იყო მხოლოდ, სკოლის მასწავლებლების მიერ. შესაბამისად, დანარჩენი თანამშრომლების საჭიროებების კვლევა კითხვარის მეშვეობით არ განხორციელებულა. ხოლო, მასწავლებლების კითხვარში დასმული კითხვა, ფაქტობრივად გამორიცხვას საჭიროების დადგენის შესაძლებლობას, ვინაიდან არის ზოგადი და არ იძლევა კონკრეტულ ინფორმაციას. გარდა ამისა, სკოლას შვიდწლიან სტრატეგიულ

გეგმაში ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად და სტრატეგიულ მიზნად გამოტანილი აქვს - ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება. აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის კი, სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, მოაზრებული აქვს სხვადასხვა აქტივობები. კერძოდ, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების დაგეგმვა, ტრენინგების შეთავაზება, ინფორმაციის მოძიება და გავრცელება, კონფერენციებსა და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში მასწავლებელთა ჩართულობის ხელშეწყობისათვის ინფორმაციის მოძიება და გავრცელება, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და სხვა. წინამდებარე აქტივობების შესრულების ვადები კი განსაზღვრულია ძირითადად სექტემბრის/ოქტომბრის თვიდან.

გარდა ამისა, სკოლამ წარმოადგინა რამდენიმე კათედრის პირველი ოქმი. აღნიშნულ ოქმებში ერთ-ერთ საკითხად განხილულია - მასწავლებლის პროფესიული განვითარება. წინამდებარე საკითხი, უფრო მეტად ინფორმაციული ხასიათისაა და მასწავლებლებს ინფორმაციას აწვდის მასზედ, რომ ევალებათ ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, საჭიროებებიდან გამომდინარე, მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებული ან დადგენილი წესის შესაბამისად აღიარებული ტრენინგკურსის/კურსების გავლა. გარდა ამისა, კათედრის სხდომაზე მასწავლებლებს შეახსენებს, რომ მასწავლებლის პროფესიული ვალდებულებაა, ყოველი სემესტრი/სასწავლო წლის ბოლოს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთან ან ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფთან ერთად განიხილოს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების შედეგები, რის შედეგადაც დირექტორისგან ან ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერის ჯგუფისგან მიიღებს განმავითარებელ უკუკავშირს;

ადგილზე ვიზიტის დროისათვის, სკოლის ადმინისტრაციასთან და დირექციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ პროფესიული განვითარების მიმართულებით სკოლას არ განუხორციელებია არცერთი აქტივობა. ასევე, მათ აღნიშნეს, რომ სკოლაში ხარისხის მიმართულებით მუშაობს ხარისხის მართვის მენეჯერი და რაიმე ჯგუფი შექმნილი არ ჰყავთ. დოკუმენტაციაში კი სკოლას შეფასებისა და საჭიროებების დადგენის ერთ-ერთ მექანიზმად ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობა აქვს მითითებული.

სკოლამ ვერ დაადასტურა პერსონალის საჭიროებების კვლევის ფაქტი და ადმინისტრაციასთან გასაუბრებითაც დადგინდა, რომ არ ახორციელებს პროფესიული განვითარების კუთხით აქტივობებს. შესაბამისად, <u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

სკოლამ დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა, რომ განხორციელდება თანამშრომელთა თვითშეფასება და მათი განვითარების სამოქმედო გეგმის შემუშავება. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.03.2025-01.09.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა „მეტწილი”.

აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით სკოლას დამატებით არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, თუმცა ვადა, რომელიც მითითებული აქვს შესაბამისობის გეგმაში ჯერ არ არის დამდგარი. სკოლას შესაძლებლობა აქვს 2025 წლის 01 სექტემბრამდე განახორციელოს შესაბამისობის

გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულება. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", შეიცვალა შეფასებით - „მეტწილად შეესაბამება".

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით ითვალისწინებს პერსონალის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილებას, ორგანიზაციული სტრუქტურით გათვალისწინებულ პოზიციებზე; იმისათვის, რომ სკოლაში ფუნქციები მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისი დებულებაც. გარდა ამისა, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის კარიერული ზრდის ხელშეწყობის მექანიზმები, კერძოდ, ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და სხვა. აღსანიშნავია, რომ სკოლის ერთ-ერთი მასწავლებელი, მიმდინარე წელს დაწინაურდა და ის სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერად დაინიშნა.

გარდა ამისა, პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებული ოთხი მასწავლებლის კვალიფიკაცია შეესაბამება - მასწავლებლობის მაძიებლობას. ელექტრონულ სისტემაშიც აღნიშნული ადამიანები ჩართულნი არიან მაძიებლობის პროგრამაში. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, კანდიდატის სამსახურში მიღების და მასთან ხელშეკრულების დადების შემდეგ სკოლა უზრუნველყოფს მისი სკოლაში წარმატებული ადაპტაციისათვის პროგრამის შემუშავებას. ამ მიზნით დირექტორის მოადგილე ახალი პერსონალისთვის გეგმავს ღონისძიებების ერთობლიობას, კერძოდ:

- ახალი პერსონალისთვის სამუშაო სივრცის გაცნობას;
- ახალი პერსონალის წარდგენას სკოლის პერსონალისათვის;
- შინაგანაწესის, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის, შრომითი ხელშეკრულებისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცნობას;
- გაცნობითი ხასიათის მოკლე ტრენინგის ჩატარებას საქმისწარმოების სისტემის ან სხვა საჭიროების შემთხვევაში;
- მნიშვნელოვანი დოკუმენტების გადაცემას;
- შესაძლებელია მენტორის დანიშვნა და სხვა.

ვიზიტის დროისათვის, მიმდინარე წელს, სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები, სკოლას უკვე გადანაწილებული ჰყავდა შესაბამის საგნობრივ კათედრებზე. ისინი უკვე ჩართულები იყვნენ სასწავლო პროცესში, გაფორმებული ჰქონდათ ხელშეკრულება და სხვა.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს დაადასტურა, რომ ისინი მუდმივად გამოთქვამენ მზაობას წაახალისონ პერსონალის სურვილის შემთხვევაში, მათ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. თითოეულ დასაქმებულს აქვს საშუალება პირადად შეხვდეს დირექტორს და დააფიქსიროს ინიციატივა, რასაც მხარს დაუჭერს დირექტორი.
<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u> *შეიმუშაოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით ინიციატივის დაყენების და მასზე რეაგირების მარეგულირებელი შიდა წესები.*
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- საჭიროებების კვლევის კითხვარების ფორმა და ანალიზი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დებულება, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. დოკუმენტი განსაზღვრავს ხარისხის მართვის შიდა და გარე მექანიზმების არსებობას. შიდა ხარისხის მართვა ეფუძნება ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე.

დოკუმენტი აღწერს ადამიანური რესურსების შეფასების და მათი გაუმჯობესების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმებისა და მათი გაუმჯობესების, ასევე სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების და მართვის მიზნით დადგენილ ღონისძიებებს.

ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი არ მიემართება სკოლაში მიმდინარე ძირითად, მმართველობით და დამხმარე პროცესებიდან ყველას, შესაბამისად, თითოეულ პროცესთან მიმართებით არ არის განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფაში მონაწილე პირები, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები, არ არის გათვალისწინებული რა პერიოდულობით და რა ვადებში უნდა მოხდეს ხარისხის შემოწმება და მიღებულ რეკომენდაციებზე რეაგირება.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

სკოლამ დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა - ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტის განხილვა, ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმის შემუშავება და ხარისხის მართვაში განსაზღვრული პირების პროცესში ჩართვის უზრუნველყოფა. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 28.01.2025-01.07.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა „მეტწილი".

აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით სკოლას დამატებით არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, თუმცა ვადა, რომელიც მითითებული აქვს შესაბამისობის გეგმაში ჯერ არ არის დამდგარი. სკოლას შესაძლებლობა აქვს 2025 წლის 01 ივლისამდე განახორციელოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულება. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", შეიცვალა შეფასებით - „მეტწილად შეესაბამება".

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. კერძოდ, მმართველობით პროცესად განსაზღვრულია მისიის და ღირებულებების მიხედვით სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განვითარების პროცესი. ძირითად პროცესად მოიაზრება სასკოლო კურიკულუმის შემუშავება და განვითარება, ხოლო დამხმარე პროცესებად პერსონალის მართვა და განვითარება, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება, ინფრასტრუქტურის განვითარება, სასკოლო საზოგადოების ინფორმირება, ფინანსური მართვა, მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლას შემუშავებული აქვს განცხადებისა და საჩივრების განხილვის მექანიზმები, რომელშიც აღწერილია განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, განხილვის ვადები, დისციპლინური სახდელის შესახებ გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესი, მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და ვადები. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები შეიცავს მითითებას სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრების უფლების თაობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას არ ჰქონია გადაწყვეტილების გასაჩივრების ან დირექტორის მიმართ პრეტენზიის დაფიქსირების შემთხვევა.

სკოლის მიერ შემუშავებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურა მთლიანობაში ქმნის საჩივრების განხილვის სისტემას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი სახელწოდებით - მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, მასწავლებლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია სკოლამ უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების წევრების უსაფრთხოებისა და მათი კანონიერი უფლებების დაცვა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმებს წარმოადგენს სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაცია, როგორიცაა სკოლის შინაგანაწესი, გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმები, პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავს მოსწავლის უფლებების დაცვის დებულებებს და შესაბამისობაშია ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით დადგენილ უფლებებთან.

სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და დისციპლინური გადაცდომების შესახებ ინფორმაციას, რაც წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების კანონიერი უფლებების დაცვის გარანტიებს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის დებულება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- განცხადებისა და საჩივრების განხილვის წესი;
- პერსონალური მონაცემთა დაცვის წესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის დებულება, რომელიც განსაზღვრავს მშობლის სკოლაში გამოცხადების, მასთან კომუნიკაციის, ურთიერთობის ფორმებისა და პრინციპების შესახებ საკითხებს. აღნიშნული დოკუმენტით, მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ მათი ინფორმირება ხდება:

✓ მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით);
✓ ელექტრონული ჟურნალების მეშვეობით;
✓ მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს;
✓ ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით;
✓ სოციალური ქსელის მეშვეობით, სადაც მშობლებისათვის შექმნილია თითოეული კლასის დახურული ჯგუფი.
გარდა ამისა, სკოლაში ყოველი კვირის პარასკევი მშობლებთან შეხვედრის დღეა და მათ შეუძლიათ დამრიგებელთან შეთანხმებით ჩანიშნონ შეხვედრა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ.

თუმცა, ზემოთ აღნიშნული დოკუმენტი ეხება კონკრეტულად მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს და უზრუნველყოფს მათთვის მათი შვილების აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას. რაც შეეხება, მართვის პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაციის სრულიად სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარებას, სკოლამ აღნიშნული საკითხის დამადასტურებელი რაიმე მასალა ვერ წარმოადგინა.

გარდა ამისა, უკუკავშირის მიღების მიზნით, სკოლას 2024 წელს ჩატარებული ჰქონდა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა სკოლაში მიმდინარე პროცესებთან მიმართებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მშობელთა და მოსწავლეთა კითხვარები არ შეიცავდა მართვის პროცესებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მათზე უკუკავშირის გაზიარების შესაძლებლობას. კითხვარი ეხებოდა მხოლოდ მასწავლებელთა შეფასებას.
<u>აქედან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

სკოლამ დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა - სამართლებრივი დოკუმენტაციის გაცნობა, პრეზენტაციებისა და დისკუსიების გამართვა სასკოლო საზოგადოების დაინტერესებულ სხვადასხვა ჯგუფებთან. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.02.2025-01.05.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა ,,მეტწილი".

აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით სკოლას დამატებით არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, თუმცა ვადა, რომელიც მითითებული აქვს შესაბამისობის გეგმაში ჯერ არ არის დამდგარი. სკოლას შესაძლებლობა აქვს 2025 წლის 01 მაისამდე განახორციელოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულება. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", შეიცვალა შეფასებით - „მეტწილად შეესაბამება".

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

კოლეგიური ორგანოების სახით სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო და საგნობრივი კათედრები. აღნიშნულ კოლეგიური ერთეულების საქმიანობაში ჩართულები არიან სკოლის მასწავლებლები. კათედრებს წლის დასაწყისში შემუშავებული აქვთ სამოქმედო გეგმები.

მშობლებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან სასკოლო ცხოვრების შესახებ, მჭიდრო კომუნიკაციაში არიან დამრიგებლებთან და ფლობენ ინფორმაციას სკოლის საქმიანობის შესახებ, თუმცა *სკოლის პრაქტიკაში კონკრეტულ გადაწყვეტილებებში მოსწავლეთა ან/და მშობელთა თანამონაწილეობა და ჩართულობა არ დასტურდება.*

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

სკოლამ დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა - მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულების შემუშავება და მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.03.2025-15.10.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა ,,მეტწილი".

აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით სკოლას დამატებით არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, თუმცა ვადა, რომელიც მითითებული აქვს შესაბამისობის გეგმაში ჯერ არ არის დამდგარი. სკოლას შესაძლებლობა აქვს 2025 წლის 15 ოქტომბრამდე განახორციელოს ინდიკატორის შესრულების მიზნებისათვის აუცილებელი აქტივობები. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და

ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", შეიცვალა შეფასებით - „მეტწილად შეესაბამება".

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- კათედრის ოქმები;
- მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის დებულება.
- კითხვარები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

სკოლის შენობის შესასვლელი კარი იკეტება და მხოლოდ ზარის ღილაკის მეშვეობით არის შესაძლებელი შენობაში შესვლა. ***სკოლას დამტკიცებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია უფლებამოსილ ორგანოსთან. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.***

სკოლაში უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებად განსაზღვრულია ვიდეოკამერები სკოლის შენობასა და მიმდებარე ტერიტორიაზე; ევაკუაციის გეგმის შესაბამისად განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული ევაკუაციის გეგმა.

სკოლას შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისათვის წარდგენილი აქვს განაცხადი, რათა მიიღოს მომსახურება ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის სისტემებთან დაკავშირებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, აღსანიშნავია, რომ სკოლის ტერიტორია შემოღობილია, თუმცა, არსებობს რიგი მონაკვეთები, სადაც დაბალია ღობის სიმაღლე (ფაქტობრივად ავტოფარეხის უკანა კედელი წარმოადგენს სკოლის ღობეს და სკოლას ცალკე დამოუკიდებელი დამცავი

მექანიზმი არ აქვს) და მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აძვრეს მაგ.: ავტოფარეხის სახურავზე. გარდა ამისა, ერთ ადგილას დაზიანებულია სკოლის მოქსოვილი ბადე - ე.წ. სეტკა.

შენობის დათვალიერებით დადგინდა, რომ შენობის ღია სივრცეებში დასაწყობებულია ამორტიზებული ნივთები, რომელთაც არ აქვთ არანაირი დამცავი მექანიზმი და ხელმისაწვდომია ყველა პირისათვის, მათ შორის მოსწავლეებისათვის (მაგ.: პირველ სართულზე სპორტ დარბაზისაკენ მიმავალ გზაზე დასაწყობებულია გატეხილი მერხები, სკამები, ძველი ცეცხლმაქრი, კიბე, დენის გამათბობელი და სხვა).

აღნიშნული ნივთები არ არის უსაფრთხო სკოლის მოსწავლეებისათვის. სკოლის მეორე სართულიდან არის დამატებითი კიბე, საიდანაც ხდება პირველ სართულზე ჩასვლა. პირველი სართულის აღნიშნული ტერიტორია არ გამოიყენება სასწავლო მიზნებისათვის, მხოლოდ, დასაწყობებულია სხვადასხვა ნივთები. აღნიშნულ მონაკვეთში ოთახის კარებები ჩაკეტილია, თუმცა წინამდებარე ტერიტორია არ კონტროლდება ვიდეოკამერებით და შესაძლოა მოსწავლე ისე ჩავიდეს, რომ ვერ მოხდეს მისი დაფიქსირება.

ასევე, ვიდეომონიტორინგის სისტემის გადამოწმებისას დადგინდა, რომ ზოგადად სკოლის ტერიტორიაზე კამერები არ იძლევა სრული სივრცის კონტროლის საშუალებას.

სკოლას წინა ავტორიზაციის დროს მიეცა რეკომენდაცია, რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში დაემონტაჟებინა ხელსაბანი. აღსანიშნავია, რომ სკოლამ ხელსაბანი დაამონტაჟა, თუმცა ის არის უფუნქციო, ვინაიდან მასში წყალი არ მოდის. სკოლა იყენებს იმგვარ ხელსაბანს, რომელიც პერიოდულად საჭიროებს წყლის ჩასხმას. სკოლას მიეცა რჩევა მომავალში ლაბორატორიაში უზრუნველყოს გამდინარე წყლის გამოყენების შესაძლებლობა.

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, *სკოლას მიეცა რჩევა დაასაქმოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფას.*

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

სკოლამ დასკვნის პროექტში 3.4.1.1. ინდიკატორში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. 1. სკოლის ტერიტორის შემოღობვასთან დაკავშირებით - შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა - მორიგეობის განრიგის შედგენა და ავტოფარეხებთან ღობის აწევა/მოწყობა. ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 30.01.2025-01.09.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა „მეტწილი". აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით სკოლამ დამატებით წარმოადგინა მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკი. ასევე, ვადა, რომელიც მითითებული აქვს შესაბამისობის გეგმაში ჯერ არ არის დამდგარი. სკოლას შესაძლებლობა აქვს 2025 წლის 01 სექტემბრამდე განახორციელოს ინდიკატორის შესრულების მიზნებისათვის აუცილებელი აქტივობები. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია წინამდებარე ხარვეზთან დაკავშირებით.

2. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის, შესაბამისობის გეგმის და თანდართული დოკუმენტაციით დაადასტურა, რომ განახორციელა სკოლის ღია სივრცეებიდან ამორტიზირებული ნივთების გატანა. კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა ფოტოსურათი, სადაც ჩანს, რომ ტერიტორია არის დალაგებული და გატანილია ყველა არასაჭირო ნივთი.

3. ვიდეოკამერებთან დაკაშირებით, სკოლამ შესაბამისობის გეგმაში - შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა - მორიგეობის განრიგის შედგენა, ვიდეოკამერების შეძენა/დამატება და დამონტაჟება. ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 29.01.2025-01.09.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა „მეტწილი". ვადა, რომელიც სკოლას მითითებული აქვს შესაბამისობის გეგმაში ჯერ არ არის დამდგარი. სკოლას შესაძლებლობა აქვს 2025 წლის 01 სექტემბრამდე განახორციელოს ინდიკატორის შესრულების მიზნებისათვის აუცილებელი აქტივობები. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია წინამდებარე ხარვეზთან დაკავშირებით.

ვინაიდან ექსპერტმა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", შეიცვალა შეფასებით - „მეტწილად შეესაბამება".

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლაში განთავსებულია სამედიცინო ოთახი. სკოლაში დასაქმებულია ექთანი. სკოლას შემუშავებული აქვს პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი. ***სკოლას მიეცა რჩევა*** *დამტკიცებული პირველადი დახმარების აღმოჩენის წესის დანართი (სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა) მოიყვანოს საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. ასევე, არ ხორციელდება ამავე ბრძანებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოება.*

აღსანიშნავია, რომ სამედიცინო კაბინეტი განთავსებული არ იყო სკოლის პირველ სართულზე. გარდა ამისა, დათვალიერებისა და სკოლის ექთანთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ***სამედიცინო კაბინეტი არ არის აღჭურვილი*** *საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანების შესაბამისი ინვენტარით.*

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

სკოლამ დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა - სამედიცინო აღჭურვილობის შეძენა. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.02.2025-01.03.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა „მეტწილი".

აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით სკოლამ დამატებით წარმოადგინა სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი. აქტივობების შესრულების ვადა, რომელიც მითითებული აქვს შესაბამისობის გეგმაში ჯერ არ არის დამდგარი. სკოლას შესაძლებლობა აქვს 2025 წლის 01 მარტამდე განახორციელოს ინდიკატორის შესრულების მიზნებისათვის აუცილებელი ქმედებები. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", შეიცვალა შეფასებით - „მეტწილად შეესაბამება".

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლამ წარმოადგინა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შიდა წესი, თუმცა აღნიშნული წესი არ არის შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებულია ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობებით". სკოლის ტერიტორიაზე გამოკრულია 112-ის ნომერი, თუმცა სკოლას არ ჰყავს განსაზღვრული საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირები, უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირები და შესაბამისად არ არის თვალსაჩინო ადგილას განთავსებული მათი ტელეფონის ნომრები და ვინაობა.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

სკოლამ დასკვნის პროექტში 3.4.1.3. ინდიკატორში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. 1. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის შეთანხმებასთან დაკავშირებით - შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში სკოლამ მიუთითა, რომ წესი გაგზავნილია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში შესათანხმებლად. ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.09.2025წ., ხოლო შესაბამისობის ტიპში მიუთითა ,,მეტწილი". ვადა, რომელიც სკოლას მითითებული აქვს შესაბამისობის გეგმაში ჯერ არ არის დამდგარი. სკოლას შესაძლებლობა აქვს 2025 წლის 01 სექტემბრამდე განახორციელოს ინდიკატორის შესრულების მიზნებისათვის აუცილებელი აქტივობები. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია წინამდებარე ხარვეზთან დაკავშირებით.

2. საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრასთან დაკავშირებით, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა ,,შესრულდა" და შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის დასრულების თარიღად განსაზღვრა 2025 წლის 20 იანვარი. სკოლამ მტკიცებულების სახით გადმოაგზავნა ბრძანება. ხაზგასასმელია, ის გარემოება რომ სკოლის შესაბამისობის გეგმაზე დაყრდნობით, შესრულების თარიღი დამდგარია.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად, უფლებამოსილი პირი არის სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირი, რომელიც სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უზრუნველყოფს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას იმ სკოლებში, სადაც არ არის მანდატური. სკოლამ წარმოადგინა საგანგებო შტაბის შექმნის ბრძანება (N2/012) და არა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ დოკუმენტაცია. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ ხარვეზთან მიმართებით ექსპერტთა პოზიცია დარჩა უცვლელი.

3. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრასთან დაკავშირებით, შესაბამისობის გეგმაში - შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა - შესაბამისი პირის ბრძანებით დანიშვნა. ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.02.2025-15.02.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა „მეტწილი". ვადა, რომელიც სკოლას მითითებული აქვს შესაბამისობის გეგმაში ჯერ არ არის დამდგარი. სკოლას შესაძლებლობა აქვს 2025 წლის 15 თებერვლამდე განახორციელოს ინდიკატორის შესრულების მიზნებისათვის აუცილებელი აქტივობები. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია წინამდებარე ხარვეზთან დაკავშირებით.

საბოლოოდ, ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ (ორ ხარვეზთან დაკავშირებით) გაიზიარა სკოლის პოზიცია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის შეფასება დარჩა უცვლელი.

დადგინდა, რომ სკოლა ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, რაც მდგომარეობს შემდეგში: სკოლას არ ჰყავს განსაზღვრული საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირები და შესაბამისად არ არის თვალსაჩინო ადგილას განთავსებული მათი ტელეფონის ნომრები და ვინაობა; <u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული</u>

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლის სტრუქტურული სქემა ითვალისწინებს ფსიქოლოგის პოზიციას. სკოლის დებულებით განსაზღვრულია, რომ ფსიქოლოგის ფუნქციაა სწავლა-აღზრდის ყველა ასაკობრივ საფეხურზე ხელი შეუწყოს მოსწავლის სრულყოფილ ფსიქიკურ განვითარებას, ჩაატაროს სათანადო მუშაობა მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან. ხელი შეუწყოს ბავშვებსა და პედაგოგიურ კოლექტივებში ჯანსაღი ფსიქოლოგიური ურთიერთობის დამკვიდრებას. ჩაატაროს ლექციები, საუბრები, პედაგოგ–აღმზრდელთა, მშობელთა და აღსაზრდელთა ფსიქოლოგიური კულტურის ასამაღლებლად და სხვა. ვიზიტის დროისათვის სკოლაში დასაქმებული იყო ფსიქოლოგი. მან გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ იყო ახალი თანამშრომელი და აწარმოებდა მოსწავლეებზე და ზოგადად სკოლაში არსებულ გარემოზე დაკვირვებას. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის კუთხით სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, რომელშიც გაწერილია სკოლის შენობის დალაგების წესები. ***სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა სკოლის დამლაგებელთან გაფორმებული ხელშეკრულება. თუმცა, ადმინისტრაციამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სკოლის დარაჯი ამავდროულად არის სკოლის დამლაგებელიც.***

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის თანახმად, საკლასო ოთახების და სხვა სასწავლო და დამხმარე ოთახების დალაგება ხორციელდება და სკოლის დამლაგებლები ვალდებულები არიან შეასრულონ თავისი მოვალეობები მეცადინეობების დამთავრების შემდეგ. სკოლის სანიტარული კვანძებში განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები. სანიტარული კვანძები მარაგდება წყლით. ვიზიტის დროისათვის სკოლის ტერიტორია იყო დასუფთავებული.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, რომელიც აღწერს პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობებს. სკოლამ ასევე, წარმოადგინა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე შესაბამისი თანხმობის ფორმები.

სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, თუმცა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია მისი დანიშვნის/განსაზღვრის შესახებ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი ითვალისწინებს ოფიცრის შესახებ ინფორმაციის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის მიწოდების ვალდებულებას, რომელიც ქვეყნდება სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. შესაბამისი სამსახური ვებ-გვერდის გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლას გამოქვეყნებული აქვს საჭირო ინფორმაცია

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

მოსწავლეთა და პერსონალის პირადი საქმეები ინახება საქმისმწარმოებელთან, დაცულ ოთახში. კომპიუტერები, რომლებშიც მუშავდება კონფიდენციალური ინფორმაცია დაცულია პაროლებით, პროგრამული განახლების სისტემებით. თითოეულ ელექტრონულ პლატფორმას, რომელსაც სკოლა იყენებს, აქვს ინდივიდუალური მომხმარებლის სახელი და პაროლი. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება, შედეგების დოკუმენტირება და შედეგების გაუმჯობესება. შესაბამისად, ***სკოლა არ ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შესაბამისად, შეფასების შედეგების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის გამოყენებას.***

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

სკოლამ დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა, რომ სკოლა განახორციელებს შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.02.2025-01.05.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა „მეტწილი".

აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით სკოლას დამატებით არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, თუმცა ვადა, რომელიც მითითებული აქვს შესაბამისობის გეგმაში ჯერ არ არის დამდგარი. სკოლას შესაძლებლობა აქვს 2025 წლის 01 მაისამდე განახორციელოს ინდიკატორის შესრულების მიზნებისათვის აუცილებელი აქტივობები. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", შეიცვალა შეფასებით - „მეტწილად შეესაბამება".

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- განცხადება სახანძრო უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანება შენობის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და წერილი საგანგებოს სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების თაობაზე;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები;
- პირველადი სამედიცინო დახმარების წესი;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სკოლის საკუთრებაშია თბილისში, გლდანის მასივში, მე-2 მ/რ-ის 45ა მიმდებარედ არსებული ტერიტორია. კერძოდ - საერთო ფართი: 1779.8 კვმ (მათ შორის დამხმარე ფართი - 912.5 და ავტოსადგომი, ფართი 69 კვ.მ).

ძირითადი შენობები შედგება 4 სართულისგან. შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სპორტული დარბაზი, ასევე, სხვადასხვა ოთახები, ძველი სველი წერტილები, ძველი ბუფეტი. სპორტული მოედნის გარდა, პირველ სართულზე ყველა ოთახი დახურულია და გამოიყენება სასაწყობედ. შენობის მეორე სართულზე განთავსებულია რამდენიმე მოქმედი საკლასო ოთახი. ერთი ფლიგელი მთლიანად ჩაკეტილია და გამოიყენება სასაწყობედ.

შენობის მესამე სართულზე კი განთავსებულია ადმინისტრაციის ოთახები/კაბინეტები, სამასწავლებლო, ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ოთახი, საკლასო ოთახები, სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისთვის, ადაპტირებული სველი წერტილი, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა. საკლასო ოთახებს აქვს ბუნებრივი განათება და დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა.

ინფრასტრუქტურის დათვალიერებით დადგინდა, რომ შეცვლილია საკლასო ოთახების რაოდენობა და ტიხრები. შესაბამისად, <u>სკოლას მიეცა რჩევა,</u> სკოლის შიდა აზომვითი ნახაზები შესაბამისობაში მოიყვანოს ფაქტობრივ მდგომარეობასთან.

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ საკლასო ოთახები და სათავსები აღჭურვილია მერხებითა და სკამებით. საკლასო ოთახები აღჭურვილია დაფებით, მასწავლებლის სკამითა და მაგიდით. *სასაწყობედ გამოყენებული ოთახების მდგომარეობა არ იძლეოდა საშუალებას განსაზღვრულიყო მერხების ზუსტი ფაქტობრივი რაოდენობა. სკოლამ ვერ წარმოადგინა მერხების და კომპიუტერების საკუთრებაში/კანონიერი მფლობელობის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. წარმოდგენილ იქნა ექსელის ცხრილები, რომლითაც ვერ დგინდება ინვენტარის რაოდენობა. შესაბამისად, ვერ დადგინდა სკოლის საკუთრებაში/კანონიერ მფლობელობაში არსებული მერხების, სკამებისა და კომპიუტერული ტექნიკის ჯამური რაოდენობა შეესაბამება თუ არა სკოლის მიერ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას.*

გარდა აღნიშნულისა, სკოლის სანიტარული კვანძების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ როგორც ბიჭების, ასევე, გოგონების საპირფარეშოებში კაბინები არაა იზოლირებული, კერძოდ, მათ არ აქვთ კარებები. ამასთან, მოსწავლეებმა გასაუბრების ეტაპზე, სურვილი გამოთქვეს საპირფარეშოების მოწესრიგებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ვერ ხდება პრივატულობის დაცვა მოსწავლეების მიერ საპირფარეშოთი სარგებლობისას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული დოკუმენტაცია დასკვნის პროექტში წინამდებარე ინდიკატორთან მიმართებით არსებულ ორ ხარვეზთან დაკავშირებით. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

1. *სკოლამ წარმოადგინა ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა, რომ 01.02.2025-01.08.2025 პერიოდში სკოლაში განხორციელდება ინვენტარიზაცია და რესურსების სახეობებისა და რაოდენობების ზუსტად განსაზღვრა. შესრულების ტიპში მიუთითა - „მეტწილი“.*
2. *სკოლამ, ასევე, სანიტარულ კვაძებში კარებების განთავსებასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მიუთითა 01.02.2025-01.05.2025 პერიოდი. შესრულების ტიპში კი - „მეტწილი“.*

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება" შეიცვალა შეფასებით - ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა ,,მეტწილად" დაკმაყოფილებულია.</u>

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სასკოლო საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები, სკოლის ბიბლიოთეკა, ეზო, ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. სკოლის ეზო წარმოადგენს სივრცეს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სპორტული აქტივობებისთვის, სხვადასხვა ღონისძიებებისა და შესვენების პროცესისთვის. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა სხვადსხვა ღონისძიებების ჩატარებისას გამოიყენონ პროექტორი, ლეპტოპები. სკოლის ბიბლიოთეკის დებულებით უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობა როგორც სკოლის პერსონალისთვის, ასევე მოსწავლისა და მშობლისთვის. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლას აქვს საბიბლიოთეკო სივრცე, სადაც განთავსებულია საბიბლიოთეკო რესურსები. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომლის ფუნქციებშიც შედის საბიბლიოთეკო ფონდების რაციონალურად ფორმირება და ორგანიზება, მათი დაცვა, აღრიცხვა, დამუშავება, საცნობარო-საძიებო საშუალებების შექმნა და მათი გამოყენების ორგანიზება საბიბლიოთეკო დარგში მოქმედი წესების დაცვით, ფონდის კატალოგიზაცია - კლასიფიკაცია (ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების აღრიცხვა და კატალოგების შექმნა), წიგნადი ფონდის მოწესრიგება, მოსწავლეებისთვის დამატებითი საკითხავი ლიტერატურის შერჩევაში და წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების შეძენაში დახმარება და სხვა. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. საბიბლიოთეკო რესურსების გადამოწმებით დადგინდა, რომ წიგნები რეგისტრაციაში გატარებული, მოსწავლეების მიერ წიგნის გატანის შემთხვევაში ივსება მკითხველის ბარათი. საკითხავი ლიტერატურა აღრიცხული და დამუშავებულია, ასევე კლასიფიცირებულია სისტემურად. სკოლის ბიბლიოთეკის დებულების თანახმად, ბიბლიოთეკა ყოველდღიურად მუშაობს 09:30 საათიდან 16:00 საათამდე. ***ადმინისტრაციასთან და ბიბლიოთეკართან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლას არ აქვს ცალკე გამოყოფილი კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია, ამიტომ ტექნოლოგიების გაკვეთილები ტარდება ბიბლიოთეკაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაკვეთილის მიმდინარეობის დროს სხვა მოსწავლეები და თანამშრომლები ფაქტობრივად შეზღუდულნი არიან და ვერ იყენებენ საბიბლიოთეკო სივრცეს.***

სკოლას მიეცეს რჩევა: ბიბლიოთეკის საქმიანობა განსაზღვროს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს საბიბლიოთეკო რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის შენობის პირველ სართულზე შესასვლელად მოწყობილია პანდუსი, ასევე, სართულებზე გადასაადგილებლად სკოლას აქვს მოძრავი პანდუსი. სკოლას არ აქვს რესურსოთახი, თუმცა სსსმ მოსწავლის ყოლის შემთხვევაში, ინფრასტრუქტურა იძლევა საშუალებას მოეწყოს რესურს ოთახი.

<u>*სკოლას მიეცა რჩევა*</u> *სკოლა აღჭურვოს რესურს ოთახის მოსაწყობად საჭირო ინვენტარით და სასწავლო რესურსებით, იმისათვის, რომ შექმნას მზაობა სსსმ მოსწავლის მისაღებად.*

სკოლის შენობის მეორე სართულზე მოწყობილია საპირფარეშო, რომლის კარსაც აქვს ზღურბლი, ამასთან, ვიზიტის დროისათვის საპირფარეშო განთავსებული იყო დამლაგებლისათვის საჭირო ინვენტარი და ფაქტობრივად გამოიყენებოდა ნივთების, ქიმიური საშუალებების შესანახად. შენობის სპორტული დარბაზის შესასვლელს აქვს ჩასასვლელი საფეხური, რის გამოც ეტლით მოსარგებლე პირებს ეზღუდებათ სპორტული დარბაზით სარგებლობის საშუალება.

შესაბამისად, სკოლის ინფრასტრუქტურა არ ქმნის ინკლუზიურ გარემოს. <u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

სკოლამ დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა, რომ მოხდება სანიტარული კვანძისა და სპორტული სივრცის ადაპტირება. სკოლამ ორივე ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.02.2025-01.09.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა „მეტწილი".

აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით სკოლამ დამატებით წარმოადგინა თანდართული დოკუმენტაცია. კერძოდ, სკოლის მხრიდან წარმოდგენილი იქნა ფოტოსურათი სპორტული სივრცის ადაპტირებასთან დაკავშირებით - სპორტდარბაზში ჩასასვლელ კიბეებზე დამონტაჟებულია პანდუსი. შესაბამისად დადგენილი ხარვეზი, ამ ნაწილში აღმოფხვრილია. რაც შეეხება საპირფარეშოს აპტირების საკითხს, სკოლას დამატებითი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია, თუმცა ვადა, რომელიც მითითებული აქვს შესაბამისობის გეგმაში ჯერ არ არის დამდგარი. სკოლას შესაძლებლობა აქვს 2025 წლის 01 სექტემბრამდე განახორციელოს ადაპტირებული საპირფარეშოს მოწყობა. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", შეიცვალა შეფასებით - „მეტწილად შეესაბამება".

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

სკოლას აქვს შიდა დახურული ეზო, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადსხვა სოციო-კულტურული და არაფორმალური აქტივობებისთვის. სკოლას, ასევე, აქვს სპორტდარბაზი, ბიბლიოთეკა და აღნიშნული სივრცეები, თავისუფალ დროს დამატებით გამოიყენება სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისა თუ ღონისძიებების ჩატარებისათვის. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის ინფრასტრუქტურა;
- სკოლის სართულების გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სკოლის შენობის მესამე სართულზე განთავსებულია საქმისმწარმოებლის, დირექტორის კაბინეტები. აღნიშნული ოთახები აღჭურვილია კომპიუტერებით. სკოლის სხვა სივრცეებში, როგორებიცაა ექიმის კაბინეტი და სამასწავლებლო - კომპიუტერი ან ლეპტოპი განთავსებული არ არის.

სკოლას არ აქვს კომპიუტერული ლაბორატორია. ტექნოლოგიების გაკვეთილები ტარდება ბიბლიოთეკაში. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ბიბლიოთეკაში განთავსებული იყო დაახლოებით 4-5 ლეპტოპი და 1 კომპიუტერი. მოსწავლეთა რაოდენობა კლასებში კი არის დაახლოებით 10-12 მოსწავლე. სკოლის მეორე სართულის დათვალიერებისას, დახურულ/ჩაკეტილ სივრცეში აღმოჩნდა კომპიუტერები, თუმცა ისინი ერთი შეხედვით იყო დამტვერილი და გამოსაყენებლად გამოუსადეგარი. ადმინისტრაციის განცხადებით კომპიუტერები იყო მუშა მდგომარეობაში, თუმცა აღნიშნული ვერ დადასტურდა. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტი. სკოლას აქვს მოძრავი პროექტორი, რომელიც ასევე, განთავსებული იყო ბიბლიოთეკაში.

სკოლას არ აქვს შემუშავებული კომპიუტერული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის განრიგი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობა საგაკვეთილო პროცესის მიღმა.

სკოლა ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურას იყენებს Eschool-ის ბაზაში საქმიანობის განხორციელებისას, ელექტრონული ფოსტით სარგებლობისას, ელექტრონული ჟურნალის წარმოებისას. თუმცა საგაკვეთილო პროცესის სრულფასოვანი წარმართვისათვის, ტექნოლოგიების გამოყენება ვერ დადასტურდა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

სკოლამ დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა - ტექნოლოგიური ბაზის საჭიროებების ანალიზი და ტექნიკის შესყიდვა. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 01.04.2025-01.09.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა ,,მეტწილი".

აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით სკოლას დამატებით არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, თუმცა ვადა, რომელიც მითითებული აქვს შესაბამისობის გეგმაში ჯერ არ არის დამდგარი. სკოლას შესაძლებლობა აქვს 2025 წლის 01 სექტემბრამდე განახორციელოს ინდიკატორის შესრულების მიზნებისათვის აუცილებელი აქტივობები. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და

ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", შეიცვალა შეფასებით - „მეტწილად შეესაბამება".

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შიდა წესები, აღნიშნული გათვალისწინებულია, როგორც მატერიალური რესურსებით, ასევე, ლაბორატორიებით სარგებლობის წესებში. აღნიშნულ დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ სკოლას აქვს IT ლაბორატორია. *გარდა ამისა, სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ლაბორატორიის ხელმძღვანელი შეიმუშავებს კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობის განრიგს. თუმცა, აღნიშნული განრიგი სკოლამ ვერ წარმოადგინა.*

სკოლამ დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში მიუთითა, რომ განრიგი შედგენილია. სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 15.01.2025-30.01.2025 პერიოდი, ხოლო შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა „შესრულებული".

აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით სკოლამ დამატებით წარმოადგინა თანდართული დოკუმენტაცია, კერძოდ ფოლდერი სახელწოდებით ბიბლიოთეკითა და ისტ-ით სარგებლობის გრაფიკი. აღნიშნულ ფოლდერში განთავსებული იყო მხოლოდ ბიბლიოთეკით სარგებლობის განრიგი. რომელი კლასი, კვირის რომელ დღესა და რომელ საათებში სარგებლობს კომპიუტერული ტექნოლოგიებით - სკოლას განრიგი არ წარმოუდგენია. ამასთან, ვადა, რომელიც სკოლას მითითებული აქვს შესაბამისობის გეგმაში დამდგარია. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის პოზიცია და ინდიკატორის შეფასება დარჩა უცვლელი.

დადგინდა, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაარ არის ხელმისაწვდომი მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. <u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების შიდა წესი, რომელიც ადგენს სკოლის საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, სკოლაში შემოსულ დოკუმენტებზე, განცხადებებსა და წერილებზე მუშაობის წესებს. დოკუმენტი განსაზღვრავს შემოსული დოკუმენტაციის მიღებისა და დამუშავების წესებს, გასული დოკუმენტაციის წარმოების წესებს, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების და სხვა დოკუმენტების გაფორმების წესებს. საქმისწარმოების წესის შესაბამისად, დოკუმენტების აღრიცხვის მიზნით, გარდა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემისა, სკოლაში არსებობს, საკადრო და საერთო ბრძანებების, შრომითი და მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან დადებული ხელშეკრულებების, შემოსული და გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალები. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა აღნიშნული ჟურნალები თუმცა ისინი არ იყო აკინძული, დანომრილი და დამოწმებული შესაბამისი ბეჭდით.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლა საქმიანობის პროცესში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს როგორიცაა eschool.emis.ge-ს სისტემა, ელექტრონული ფოსტა, ორისის ბუღალტრული პროგრამა. პირველკლასელთა რეგისტრაციას სკოლას ახორციელებს ბმულზე - registration.emis.ge, საკომუნიკაციოდ იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. ასევე, სკოლა საქმისწარმოების პროცესში იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული.ა</u>

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლას გააჩნია პროფილი, რომელშიც შეყვანილია ინფორმაცია სკოლის შესახებ, პერსონალის, მოსწავლეებისა მშობლების შესახებ. შეყვანილია არჩეული სახელმძღვანელოების შესახებ ინფორმაცია და მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლა კომუნიკაციას ამყარებს გლდანი-ნაძალადევის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და აწვდის მოთხოვნილ ინფორმაციას. სკოლა ასევე წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებას შემოსავლების სამსახურში. საჭიროების შემთხვევაში კომუნიკაციას ამყარებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და სხვა უწყებებთან.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- სკოლის ელექტრონული ფოსტა;
- სკოლის პროფილი eschool.emis.ge-ზე;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

მშობლებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ დამრიგებლები მშობლების ინფორმირებას ახორციელებს სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების მეშვეობით, ასევე ზეპირსიტყვიერად, სკოლაში ვიზიტისას და სატელეფონო კავშირის საშუალებით. მშობლებმა გასაუბრებისას დაადასტურეს, რომ აქტიურ კომუნიკაციაში იმყოფებიან როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან, ასევე კლასის დამრიგებელთან.

სკოლის საკომუნიკაციო ფუნქციას ასევე ასრულებს ელექტრონული ჟურნალი.

სკოლის ვებ-გვერდი https://almasi.edupage.org/ შედგება შემდეგი განყოფილებებისგან: მთავარი გვერდი, სიახლეები, სკოლის შესახებ, სასწავლო პროცესი, კონტაქტი, ანგარიშში შესვლა. განყოფილება - „სკოლის შესახებ“ ჩაშლილია და მასში განთავსებულია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაცია.

ვებ-გვერდზე მთავარ გვერდის, სიახლეების განყოფილებაში შეტანილია 2024 წლის აქტივობების შესახებ ინფორმაცია.

სასწავლო პროცესის განყოფილებაში მოცემულია ფოტო გალერეა, კალენდარი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, მასწავლებლებისა და საგნების შესახებ ინფორმაცია. ბიბლიოთეკის განყოფილებიდან ელექტრონულ კატალოგში გადასვლა არ ხდება. მითითებულია, რომ მიმდინარეობს ელექტრონული კატალოგის შექმნა. კალენდრის ველში წარმოდგენილია 2023-2024 სასწავლო წლის კალენდარი, ხოლო საგნების ველში ჩამოთვლილთაგან (მაგ.: საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება) ზოგიერთი არ ისწავლება სკოლაში, არ არის საათობრივი გადით და საგაკვეთილო ცხრილით გათვალისწინებული. სკოლის ფეისბუქ გვერდზე არ ხდება ინფორმაციის განთავსება სკოლის საქმიანობის და აქტივობების შესახებ.

სკოლის ვებ-გვერდზე საჭიროა ინფორმაციის განახლება, *მაგალითად, სასწავლო წლის კალენდრის.* ***ასევე, სოციალურ ქსელში სკოლის შესახებ განთავსებული ინფორმაცია არის მოძველებული, არ ხდება სიახლეების განთავსება, ინფორმაცია განთავსებულია უმეტესწილად 2021 წელს განხორციელებული აქტივობების შესახებ. სოციალურ ქსელში არ არის განთავსებული სასკოლო ცხოვრების დაგეგმილი თუ განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია, რომელიც დაინტერესებულ პირს შეუქმნის წარმოდგენას სკოლის საქმიანობის შესახებ.*** *სკოლას მიეცა* ***<u>რჩევა</u>*** *ვებ-გვერდზე განაახლოს კალენდარი. ასევე, უზრუნველყოს სოციალურ ქსელში შექმნილ სკოლის გვერდზე ინფორმაციის განახლება.*

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლის საქმისმწარმოებელი, მასზე დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე, პასუხისმგებელია სკოლის შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებასა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე.

დგინდება, რომ სკოლის ვებ-გვერდით ხორციელდება განხორციელებული აქტივობებისა და საგანმანათლებლო სივრცეში არსებული სიახლეების შესახებ დაინტერესებულ პირთა ინფორმირება.

ხდება მოსწავლეთა და თანამშრომელთა მიღწევების, განხორციელებული აქტივობებისა და საგანმანათლებლო სივრცეში არსებული სიახლეების შესახებ ვებ-გვერდის ან/და სოციალური ქსელის მეშვეობით. ასევე სკოლის შენობაში არსებულ საინფორმაციო დაფაზე არ იყო განთავსებული ასეთი სახის ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაციისა და სიახლეების სანდოობა დასტურდება ჩატარებული ღონისძიებების, პროექტების, შეჯიბრებების ამსახველი ფოტომასალით.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

სკოლა ინფორმაციის შესაგროვებლად იყენებს არსებულ საკომუნიკაციო არხებს: **<u>skolaalmasi@gmail.com,</u>** სკოლის კანცელარია, ელექტრონული ჟურნალი, ჩატი სოციალურ ქსელში. სკოლამ წარმოადგინა ფორმები, რომლებიც მიზნად ისახავს მშობელთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევას, ასევე, წარმოადგინა კვლევის ანალიზი.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე. სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი https://almasi.edupage.org/, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, კერძოდ, სწავლების განხორციელების ენაზე.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის

სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა, ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესის აუცილებელი მოთხოვნები, 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და საკონტაქტო ინფორმაცია.

ვებ-გვერდზე არ არის განთავსებული სტანდარტის შესაბამისი ინდიკატორით გათვალისწინებული შემდეგი ინფორმაცია: პროგრამების სახელწოდებები, რომელზეც ახორციელებს საგანმანათლებლო პროცესს, მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, სკოლის ფინანსური მდგრადობის შესახებ ინფორმაცია და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები, რომელიც სკოლას გაკეთებული აქვს 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმასთან მიმართებით.

სკოლამ წინამდებარე ხარვეზთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. აქტივობაში მიუთითა, რომ ვებგვერდზე განთავსებულია შესაბამისი ინფორმაცია. შესრულების ტიპში განსაზღვრა „შესრულებული“, შესრულების პერიოდად 30.01.2025.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის ვებ-გვერდი, თუმცა მასზე განახლებული ინფორმაცია განთავსებული არ არის. ვინაიდან, შესაბამისობის გეგმით შესრულების ვადა დამდგარია, ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის პოზიცია და წინამდებარე ინდიკატორის შეფასება დარჩა უცვლელი.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ-გვერდი
- სოციალური ქსელი;
- დებულება;
- ელექტრონული ჟურნალი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სკოლას ეთხოვა წარმოედგინა ბიუჯეტი იმისათვის, რომ შეფასებულიყო ფინანსური რესურსების არსებობა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების შესაძლებლობა. სკოლის ბუღალტერმა ვიზიტის დროს წარმოადგინა ბიუჯეტის ფორმა, რომელშიც გაწერილი იყო სკოლის შემოსავლები და ხარჯვითი ნაწილი. *უნდა აღინიშნოს, რომ ხარჯვით ნაწილში მოცემული იყო ზოგადად ხელფასებზე გასაცემი თანხების ჯამური რაოდენობა და სხვა თანხების ჯამური რაოდენობა. თუმცა, ბიუჯეტში დეტალურად არ ყოფილა განხილული თუ რა მიმართულებით და რა რაოდენობის თანხის დახარჯვას გეგმავს სკოლა, რათა უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შესრულება.* <u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

სკოლამ დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, თანდართული დოკუმენტი და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც, შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა „შესრულებული’.

აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით სკოლამ დამატებით წარმოადგინა ბიუჯეტი, რომელშიც განხილულია თუ რა მიმართულებით და რა რაოდენობის თანხის დახარჯვას გეგმავს სკოლა, რათა უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შესრულება.. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება”, შეიცვალა შეფასებით - „შეესაბამება“.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლის ბუღალტერმა გასაუბრებისას განაცხადა, რომ სკოლისათვის რესურსების შეძენის საჭიროებას ადგენენ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და შესაბამისად იღებენ გადაწყვეტილებას. *სკოლამ ვერ წარმოადგინა ფინანსური მართვის, კერძოდ, შემოსავლისა და ხარჯის დაგეგმვის და ფინანსების მონიტორინგის სისტემის არსებობის ვერანაირი შიდა მოქმედი მექანიზმი.*

სკოლამ დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, თანდართული დოკუმენტი და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც, შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა ,,შესრულებული'. აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით სკოლამ დამატებით წარმოადგინა ბიუჯეტი, რომელშიც განხილულია თუ რა მიმართულებით და რა რაოდენობის თანხის დახარჯვას გეგმავს სკოლა, თუმცა, დაწესებულების მხრიდან არ იქნა წარმოდგენილი ფინანსური მართვის, კერძოდ, შემოსავლისა და ხარჯის დაგეგმვის და ფინანსების მონიტორინგის სისტემის არსებობის შიდა მოქმედი მექანიზმი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ხარვეზთან მიმართებით ექსპერტთა პოზიცია არ შეცვლილა. დგინდება, რომ სკოლას არ აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიუჯეტი;
- ფინანსური ანგარიშგება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სკოლას შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციები როგორიცაა შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმა, მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი, პირველადი დახმარების აღმოჩენის ინსტრუქცია, გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურა, ბიბლიოთეკის დებულება და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები. ყველა შიდა სასკოლო რეგულაცია ემსახურება სკოლაში მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებას და მათი ინტერესების დაცვას.

*სკოლის შინაგანაწესში მოცემულია დებულება, რომლის თანახმადაც სკოლაში ყოფნის დროს მობილური ტელეფონის გამოყენების პირველ შემთხვევაში მოსწავლეს ჩამოერთმევა ტელეფონი და ის დაუბრუნდება მშობელს, მეორე შემთხვევაში ტელეფონი ჩამოერთმევა მოსწავლეს და მშობელი დაჯარიმდება 5 ლარით. ხოლო, მესამე და შემდგომ შემთხვევაში ტელეფონი ჩამოერთმევა მოსწავლეს და დაუბრუნდება სემესტრის ბოლოს. ამგვარი ზომის გამოყენებით ირღვევა მოსწავლის უფლება, ვინაიდან მოსწავლეს ეზღუდება ტელეფონით სარგებლობის უფლება ხანგრძლივად და არასასწავლო დროს. **სკოლას მიეცა რჩევა**, აღნიშნული საკითხი დაარეგულიროს იმგვარად, რომ არასასწავლო მიზნით ტელეფონის გამოყენების უფლება შეზღუდოს მხოლოდ სასწავლო პროცესის განმავლობაში.*

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის წესები, განცხადებისა და საჩივრის წარდგენის წესი. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა უფლებების დაცვის რეგულაციები. მშობლებთან გასაუბრებისას მათ განაცხადეს, რომ დამრიგებლები ხვდებიან მშობლებს როგორც ინდივიდუალურად, ისე მშობელთა კრებებზე და აცნობენ სასკოლო რეგულაციებს, აწვდიან ინფორმაციას ცვლილებებზე. თუმცა, სასკოლო რეგულაციებიდან შეძლეს მხოლოდ სკოლის შინაგანაწესის დასახელება.

სკოლას მიეცა რჩევა *უზრუნველყოს მოსწავლეების და მშობლების უფრო მეტად ინფორმირება მოქმედი სასკოლო რეგულაციების შესახებ და აღნიშნული რეგულაციები განათავსოს საჯაროდ, სკოლის საინფორმაციო დაფასა და ვებ-გვერდზე.*

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის, ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად, გაფორმებულია ხელშეკრულება საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ, რომელიც შეესაბამება განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები, მომსახურების საფასური, სერვისის მიწოდების რეგულაციები და მნიშვნელოვანი საკითხები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი;
- პირველადი დახმარების აღმოჩენის ინსტრუქცია;
- განცხადებისა და საჩივრის წარდგენის წესი;
- მოსწავლეთა ქცევის წესები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი, რომელიც არეგულირებს ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და არეგულირებს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს.
ზემოთ აღნიშნული შიდა რეგულაციები შეესაბამება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებას და ეროვნულ სასწავლო გეგმას.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
სკოლისადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ბოლო წლებში არ ჰქონიათ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შემთხვევა.

მოსწავლეთა პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ მათში სრულყოფილად არ არის განთავსებული მოთხოვნილი და აუცილებელი ინფორმაცია. ასევე, პირველკლასელთა პირადი საქმეები არ იყო შევსებული, კერძოდ მითითებული არ იყო მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი.

სკოლის დირექტორს, ბრძანებით განსაზღვრული ჰყავდა მოვალეობის შემსრულებელი, მისი მოადგილე. გარდა ამისა, მას გენერალური მინდობილობა ჰქონდა გაცემული სხვა პირზე. მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის ბრძანება არ შეესაბამებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებს. კერძოდ, არ შეიცავდა ისეთ სავალდებულო რეკვიზიტებს, როგორებიცაა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სათაური, მისი გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია, ასევე, გასაჩივრების ადგილის მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობებში, წარმომადგენლობის უფლება აქვს გენერალური მინდობილობის მქონე პირს და არა ბრძანებით განსაზღვრულ მოვალეობის შემსრულებელს.
სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეების ჩარიცხვისა და ამორიცხვის ბრძანებები. აღნიშნულ ბრძანებებს ხელს აწერს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, დირექტორის მოადგილე. თუმცა, ვინაიდან, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვა-ამორიცხვა წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას, ის არ არის უფლებამოსილი განახორციელოს წინამდებარე ბრძანებებზე ხელმოწერა. შესაბამისად, სკოლის მიერ გამოცემული ჩარიცხვის-ამორიცხვის ბრძანებები - არარა აქტებია.

მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის ბრძანებებში შეცდომითაა მითითებული ბრძანების გასაჩივრების ადგილი, კონკრეტულად მისამართი. ***<u>სკოლას მიეცა რჩევა</u>*** *შემდგომში გამოცემულ ბრძანებებში მიუთითოს ბრძანების გასაჩივრების ადგილის - თბილისის საქალაქო სასამართლოს სწორი მისამართი და გასაჩივრების ვადა.*

სკოლამ წინამდებარე ხარვეზთან დაკავშირებით გამოაგზავნა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც აქტივობაში მიუთითა რომ ბრძანებების გამოცემისას გათვალისწინებული იქნება აღნიშნული გარემოება. შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა „მეტწილი“, ხოლო შესრულების ვადად 27.01.2025-01.07.2025.

შემოწმების არსიდან გამომდინარე, სკოლის პოზიცია აღნიშნულ ხარვეზთან მიმართებით არ იქნა გათვალისწინებული, ვინაიდან ბრძანებების გამოცემის საკითხი, რომელიც შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფმა, წარმოადგენს წარსულში დამდგარ ფაქტს. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს სკოლის პოზიციას ხარვეზის 2025 წლის 01 ივლისამდე აღმოფხვრასთან დაკავშირებით. მოსწავლის მობილობის, ჩარიცხვა/ამორიცხვის ბრძანებები სკოლებში თითქმის ყოველდღიურად იწერება. შესაბამისად, აღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობაში ბრძანებების გამოცემა უნდა განახორციელოს უფლებამოსილმა პირმა. <u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლაში დღის მეორე ნახევარში, დაწყებით კლასების მოსწავლეებისათვის მოქმედებს პანსიონი - „გახანგრძლივებული დღის“ ჯგუფები, სადაც მოსწავლეებს ეხმარებიან დავალებების მომზადებაში. სკოლის ადმინისტრაციასთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში მიმდინარე სასწავლო წელს არანაირი დამატებითი სერვისი არ ხორციელდება.

სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ მშობელთა დაკვეთით, დამატებით I კლასის პირველ სემესტრში ისწავლება ინგლისური ენა, ხოლო II-IV კლასების ორივე სემესტრში - რუსული ენა. სკოლის მიერ წარმოდგენილი საათობრივი დატვირთვით დასტურდება მხოლოდ II-IV კლასებში რუსული ენის სწავლება. სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს სხვა დამატებით მომსახურებებს.

სკოლას მიეცეს რჩევა, რომ სკოლამ დამატებითი სავალდებულო საგნის შესახებ ინფორმაციის მეტი საჯაროობისათვის გამოიყენოს მის ხელთ არსებული საშუალებები და ინფორმაცია განათავსოს სკოლის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლა მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებზე, ასევე, ვებ-გვერდის საშუალებით ავრცელებს საჭირო ინფორმაციას აქტივობებისა და სკოლაში არსებული სერვისების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლეთა ბრძანებები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- სკოლის საინფორმაციო დაფა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, რომელშიც აღწერილია მოსწავლის პირველ კლასში მიღებისას და სხვა სკოლიდან გადმოსვლისას ადაპტაციის ხელშემწყობი პროცედურები. მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები მოიცავს დამრიგებლისა და მშობლის აქტიურ ჩართულობას და მათ მიერ გასატარებელ ღონისძიებებს. ადაპტაციის მექანიზმის დაცვის კონტროლი ევალება დირექტორის მოადგილეს.

*ვინაიდან სკოლაში დასაქმებულია ორი დირექტორის მოადგილე **სკოლას მიეცა რჩევა.** დოკუმენტში დააკონკრეტოს თუ რომელ მოადგილეს ევალება ადაპტაციის მექანიზმის დაცვის კონტროლი.*
*ასევე, დოკუმენტი ითვალისწინებს მხოლოდ ახლად მიღებული მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის შემთხვევას. შესაბამისად, **სკოლას მიეცა რჩევა.** დოკუმენტში ასახოს სასწავლო პროცესის განმავლობაში, ადაპტაციის პრობლემის გამოვლენის და მიზეზის დადგენის გზები ნებისმიერ მოსწავლესთან მიმართებით, განსაზღვროს აღნიშნულ პროცესში ჩართული მხარეები და ადაპტაციის განხორციელების პროცედურა.*
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
სკოლის მიერ შემუშავებულია მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი მოიცავს რეგულაციებს პირველი კლასის მოსწავლეებთან მიმართებით. კერძოდ, იმართება შეხვედრა მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან სასკოლო გარემოსა და სასწავლო გეგმის გაცნობის მიზნით, ივსება საინფორმაციო კითხვარი მოსწავლის საჭიროებების დადგენის მიზნით, სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით იგეგმება სადღესასწაულო აქტივობები და სხვა.

მობილობით გადმოსული მოსწავლის შემთხვევაში კი დამატებით კლასის დამრიგებელი მოსწავლეს წარადგენს კლასში, ხოლო მშობელს მშობელთა კრებაზე, ხელს უწყობს მშობებისა და მოსწავლეების ერთმანეთთან დაახლოებას.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

მშობლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ საგნის მასწავლებლები, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ჩამორჩენის დასაძლევად ხშირად მუშაობენ მოსწავლეებთან ინდივიდუალურად. საგნის მასწავლებლები საჭიროების მიხედვით უტარებენ კონსულტირებას სწავლის დასრულების შემდგომ არა საგაკვეთილო დროს. აღნიშნული დაადასტურეს მოსწავლეებმაც გასაუბრების ეტაპზე. თუმცა, მშობლებმაც და მოსწავლეებმაც დასძინეს, რომ მათ რიგ საგნებში სჭირდებათ რეპეტიტორებთან მომზადება.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
სკოლის მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მუდმივად მზადყოფნაშია მოსწავლეების საჭიროებების შესაბამისად განახორციელოს ადმინისტრაციული მხარდაჭერა აკადემიური თუ

საორგანიზაციო კუთხით. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა კონსულტაციებს უწევს მოსწავლეებს ექსტერნატის გამოცდების წინ. სკოლა გამოყოფს სასკოლო სივრცეებს აქტივობების განსახორციელებლად. სკოლის ვებ-გვერდის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლა ორგანიზებას უწევს სხვადასხვა გასვლით ღონისძიებებს და მასში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მოსწავლეები.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
სკოლას შექმნილი აქვს მოსწავლის მხარდამჭერის ჯგუფის დებულება, რომლის ფუნქციებია დაეხმაროს სკოლაში ჩარიცხულ ნებისმიერ მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში, სირთულეების იდენტიფიცირებასა და გადაჭრის გზების ძიებაში, სასკოლო ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობაში და სხვა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროისათვის სკოლაში წინამდებარე ჯგუფი არ იყო შექმნილი. გარდა ამისა, აღნიშნული დებულების შესახებ ინფორმაციას არ ფლობდნენ დირექტორის მოადგილეებიც.

ადმინისტრაცია ინტერვიუს დროს აღნიშნავდა, რომ მოსწავლის ინიციატივების წარდგენა შესაძლებელია განხორციელდეს წერილობით ან/და ზეპირად. მოსწავლეს ან/და მოსწავლეთა გარკვეულ ჯგუფს შეუძლია ინიციატივით მიმართოს კლასის დამრიგებელს/დირექციას და ჩაერთოს ინიციატივის განხილვის პროცესში. კლასის დამრიგებელი უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს მოსწავლის ან/და მოსწავლეთა გარკვეული ჯგუფის ინიციატივას და მიმართოს სკოლის დირექციას. გასაუბრების ეტაპზე მათ ვერ გაიხსენეს რაიმე კონკრეტული ფაქტი მოსწავლეთა მიერ ინიციატივების გამოხატვისა.
აღნიშნულის შესახებ გამოიკითხნენ მოსწავლეებიც, მათ აღნიშნეს, რომ თუკი მიმართავენ დირექციას ისინი აუცილებლად დაეხმარებიან, თუმცა ინტერვიუს დროს კონკრეტული მაგალითები ვერ გაიხსენეს.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.
სკოლამ წარმოადგინა გამოკითხვის მიზნით შემუშავებული ფორმები, რომლებიც მიზნად ისახავს მშობელთა და მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევას და უკუკავშირის მიღებას. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა კვლევის ანალიზი. კითხვარები შეეხებოდა მხოლოდ იმას თუ რომელი საგნის მასწავლებლები მოსწონდათ და რომელთა მუშაობა, გამოკითხვის მეთოდები, კომუნიკაციის ფორმები იყო მისაღები. ***<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u>*** რომ კითხვების მრავალფეროვნებით მოახდინოს სკოლაში ზოგადად მიმდინარე პროცესების, მატერიალურ რესურსების, უსაფრთხოების და სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მათ ანალიზი.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი;
- მოსწავლის მხარდამჭერის ჯგუფის დებულება;
- კითხვარები და მისი ანალიზი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის კუთხით არანაირი ღონისძიება არ მიმდინარეობს. მათ ვერ წარმოადგინეს რაიმე სახის დოკუმენტი, რომლითაც დაადასტურებდნენ მოსწავლეებისათვის სანდო ინფორმაციის მიწოდებას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. პროფესიული ორიენტაციის შესახებ აქტივობას ან სასაუბრო თემას არ მოიცავს სკოლის მიერ მოწოდებული სადამრიგებლო პროგრამაც. სკოლას არ აქვს მემორანდუმები გაფორმებული შესაბამის კოლეჯებთან და უნივერსიტეტებთან.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

სკოლამ დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, თანდართული დოკუმენტი და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც, შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა „შესრულებული“.

აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით სკოლამ დამატებით წარმოადგინა სადამრიგებლო პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებულია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის კუთხით აქტივობები. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა

სკოლის პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", შეიცვალა შეფასებით - „შეესაბამება".

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

მოსწავლეებმა გასაუბრებაზე განაცხადეს, რომ მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ, წინა წლებში ერთ-ერთი უნივერსიტეტიდან იყვნენ წარმომადგენლები სკოლაში და შეხვდნენ მათ. გააცნეს თავიანთი უნივერსიტეტის პროგრამა. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით კათედრის ერთ-ერთ ამოცანად და ფუნქციად განსაზღვრული აქვს გამოსაშვები კლასების მომზადება უმაღლესი სასწავლებლებისათვის და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით სამუშაოების ჩატარება. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით სკოლაში არ ხორციელდებოდა ღონისძიებები, ასევე, კათედრებს არ წარმოუდგენიათ რაიმე დამადასტურებელი მასალა.

ვიზიტის დროისათვის სკოლა არ ახორციელებდა ინფორმაციის მიწოდებას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

სკოლამ დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, თანდართული დოკუმენტი და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც, შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა „შესრულებული".

აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით სკოლამ დამატებით წარმოადგინა სადამრიგებლო პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებულია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის კუთხით აქტივობები. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", შეიცვალა შეფასებით - „შეესაბამება".

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლა ვიზიტის დროისათვის არ ახორციელებდა აქტივობებს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების გაწევისათვის. შესაბამისად, სკოლამ ვერ წარმოადგინა გაწეული მომსახურების შეფასებები.

სკოლამ დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, თანდართული დოკუმენტი და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც, შესაბამისობის ტიპში განსაზღვრა „შესრულებული". შესრულების ვადად

მიუთითა 15.01.2025-01.02.2025 პერიოდი. აქტივობებში კი განსაზღვრა - სადამრიგებლო პროგრამები, პროფესიულ სასწავლებლებში ვიზიტები და სოციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია.

აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა სადამრიგებლო პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებულია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის კუთხით აქტივობები. თუმცა, სკოლას არ წარმოუდგენია გაწეული მომსახურების შეფასებები, რომლებსაც გამოიყენებს შემდგომში, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. გარდა ამისა, სკოლის ვებ-გვერდძე და Facebook გვერდებზე არ არის განახლებული ინფორმაცია განთავსებული კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის კუთხით განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შესაბამისობის გეგმით ხარვეზის აღმოფხვრის ვადა დამდგარია, ხოლო სკოლის მხრიდან არაა შესაბამისი მტკიცებულებები გამოგზავნილი, ექსპერტთა შეფასება წინამდებარე ხარვეზთან მიმართებით არ შეცვლილა.

დგინდება, რომ სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში არ ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. სკოლაში მონიტორინგის განხორციელების პროცესში არ ირიცხებოდა სსსმ მოსწავლე, თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყოლის შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მუშაობის ასპექტებს, შეფასების პრინციპს, ისგ ჯგუფის საქმიანობის რეგულაციას, ასევე აღნიშნულ პროცესში ჩართულ მხარეებს, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასებას და სხვა.

სკოლას მიეცა რჩევა. 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი მომწესრიგებელი ნორმები შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროა მიერ 2018 წლის 21 თებერვლის 16/ნ ბრძანების დანართით დამტკიცებულ ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესებთან, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმებთან. გარდა ამისა, ***სკოლას მიეცა რჩევა,*** განაახლოს 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, კერძოდ, ისგ ჯგუფის შექმნას, რომელშიც ჩართულები იქნებიან როგორც საგნების მასწავლებლები, ასევე სკოლის ფსიქოლოგი, კლასის დამრიგებელი და მშობელი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სკოლის ადმინისტრაციამ გასაუბრების დროს განაცხადა, რომ სკოლაში არ ფუნქციონირებს კვების ობიექტი. გასაუბრების დროს მშობლებმა განაცხადეს, რომ ისინი კმაყოფილები არიან და მისაღებია მათთვის, რომ ყოველდღიურად თავიანთ შვილებს გაატანონ სახლიდან საკვები. მოსწავლეების ნაწილმა კი დააფიქსირა, რომ სურს სკოლაში იყოს ბუფეტი. ასევე, სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს ტრანსპორტის მომსახურებას. <u>შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორის შეფასება ვერ ხერხდება.</u>

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

ვიზიტის დროისათვის, სკოლა არანაირ დამატებით მომსახურებას არ სთავაზობდა სკოლის მოსწავლეებს. აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურეს ბავშვებმაც და მათმა მშობლებმაც.

<u>შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორის შეფასება ვერ ხერხდება.</u>

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სკოლა არ ახორციელებს დამატებით სერვისებსა და მომსახურებებს, <u>შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორის შეფასება ვერ ხერხდება.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული (იხ. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმა).

3. ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული (იხ. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმა).

4. ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული (იხ. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმა).

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმები;*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *სკოლის შინაგანაწესი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა მასალები;*
- *სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;*
- *შეფასების მასალები;*
- *კათედრის ოქმი N 1; სამოქმედო გეგმა*

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. **ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული** (იხ. სახელმწიფო ენის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტების საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმები).
2. **ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული** (იხ. სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმა).
3. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
4. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
5. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმები;*
- *შემოქმედებითი დავალებების ბარათები;*
- *თემატური სასწავლო ერთეულების დანართები(მატრიცები);*
- *სკოლის შინაგანაწესი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა მასალები;*
- *სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;*
- *მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;*
- *შეფასების მასალები;*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- *სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
- *კათედრის სამოქმედო გეგმა, კათედრის ოქმი*

- *სასწავლო გეგმის შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები*
- *პედაგოგიური საბჭოს დებულება*
- *მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი*
- *ხარისხის უზრუნველყოფის დებულება*
- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*
- *შეფასების რუბრიკები*
- *საათობრივი დატვირთვა*
- *მოსწავლეების ნამუშევრები*
- *ფოტო მასალა*
- *სკოლის მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი*
- *2024-2025 სასწ.წლის სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზი (შეფასებები, თუმცა ანალიზის გარეშე);*
- *ბუნებისმეტყველება VI კლასის საკონტროლო-შეფასება (ანალიზის გარეშე)*
- *მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს კურიკულუმები*
- *მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს კურიკულუმები;*
- *შემოქმედებითი დავალების ბარათი;*
- *შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები;*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზი; ჩვენი საქართველოს სემესტრული შეფასება;*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზი; ჩვენი საქართველოს სემესტრული შეფასება; შეფასების სისტემა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული (იხ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმა.)

4.ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის შინაგანაწესი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა მასალები;*
- *სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;*
- *მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;*
- *შეფასების მასალები;*
- *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- *სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
- *კათედრის სამოქმედო გეგმა, კათედრის ოქმი*
- *სასწავლო გეგმის შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები*
- *პედაგოგიური საბჭოს დებულება*
- *ხარისხის უზრუნველყოფის დებულება*

- *შეფასების რუბრიკები*
- *ფოტო მასალა*
- *სკოლის მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი*
- *2024-2025 სასწ.წლის სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *VI კლასის შემაჯამებელი დავალების ანალიზი (№1, №2) (შეფასებები, თუმცა ანალიზის გარეშე);*
- *ბუნებისმეტყველება VI კლასის საკონტროლო-შეფასება (ანალიზის გარეშე)*
- *მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს კურიკულუმები*
- *მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს კურიკულუმები; სასკოლო სასწავლო გეგმა- საათობრივი ბადე*
- *საგნობრივი კურიკულუმები; შემოქმედებითი დავალების გარათი;*
- *შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები;*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზი; ჩვენი საქართველოს სემესტრული შეფასება;*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზი; ჩვენი საქართველოს სემესტრული შეფასება; შეფასების სისტემა*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

   მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.
4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
2. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
3. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
4. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული** (იხ. მათემატიკის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი ექსპერტების საგნობრივი კურიკულუმების შეფასების ფორმები).

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმები;*
- *თემატური სასწავლო ერთეულების დანართები(მატრიცები);*
- *სკოლის შინაგანაწესი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა მასალები;*
- *სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;*
- *შეფასების მასალები;*
- *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები*
- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- *სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*
- *კათედრის სამოქმედო გეგმა, კათედრის ოქმი*
- *სასწავლო გეგმის შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები*
- *პედაგოგიური საბჭოს დებულება*
- *მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი*
- *ხარისხის უზრუნველყოფის დებულება*
- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*
- *შეფასების რუბრიკები*
- *საათობრივი დატვირთვა*
- *თემატური მატრიცა*
- *მოსწავლეების ნამუშევრები*
- *ფოტო მასალა*
- *სკოლის მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი*
- *2024-2025 სასწ.წლის სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *ბუნება - VI კლასის შემაჯამებელი დავალების ანალიზი (№1, №2) (შეფასებები, თუმცა ანალიზის გარეშე);*
- *ბუნებისმეტყველება VI კლასის საკონტროლო-შეფასება (ანალიზის გარეშე)*
- *მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს კურიკულუმები*
- *მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს კურიკულუმები; სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *საგნობრივი კურიკულუმები; შემოქმედებითი დავალების ბარათი;*
- *შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები;*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზი; ჩვენი საქართველოს სემესტრული შეფასება;*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზი; ჩვენი საქართველოს სემესტრული შეფასება; შეფასების სისტემა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სასწავლო გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
4. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლა ალმასის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლა ალმასის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

